ქუთაისმა ბენიძის ფულის ხარჯვა დაიწყო A2
საბანკო მონიტორინგი A8
"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 19 ივლისი, 2004 წელი. №169 (718)

ფასი 50 თეთრი

## ოსებისთვის ჩამორთმეულ იარაღს რუსი სამშვიდობოები დაეძებენ



რუსი სამშვიდობოები აგრძელებენ ტენდენციურ ქმედებას კონფლიქტის ზონაში.

იური ლობოდინის ფოტო

თამარ კაციტაძე

გუშინ ქართველმა სამართალდამცველებმა სამაჩაბლოს ტერიტორიაზე იარაღით დატვირთული მორიგი სატვირთო ავტომობილი დააკავეს. პირველადი მოკვლევით დადგინდა, რომ იარაღი ოსებს ეკუთვნოდათ, თუმცა მისი წარმომავლობა, ჯერჯერობით, უცნობია.

**"იარაღი კეხვის საგუშაგოზე ადგილობრივი პოლიციის და მოსახლეობის ხელშეწყობით იქნა აღმოჩენილი და დაკავებული",** - განაცხადა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა.

შს მინისტრის განცხადებით, სატვირთო მანქანაში, რომელსაც ოსი პიროვნება მართავდა, აღმოჩენილია ტანკსაწინააღმდეგო სამი მართვადი ჭურვი, თავისი სასროლი დანადგარით. იარაღმა ცხინვალის და თამარაშენის საგუშაგოები გამოიარა და იგი ჯავის რაიონში უნდა შესულიყო.

**"რუსმა სამშვიდობოებმა წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მაგრამ, საბოლოოდ, იარაღის კონფისკაცია მაინც მოხერხდა",** - ამბობს ირაკლი ოქრუაშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

## მახე

ნიკა იმნაიშვილი

"სამხრეთ ოსეთში" კრიზისის კულმინაციისას, როდესაც რუსეთის (და, ზოგადად, ძლიერი სახელმწიფოებისათვის) ჩვეული "ორმაგი სტანდარტის" შესაბამისად ჯავაში ჩრდილოკავკასიელმა "ბოევიკებმა" დაიწყეს შემოსვლა, ცნობილმა "ტელეკილერმა" მიხეილ ლეონტიევმა, რომელიც დერჟავული შოვინიზმისა და ლიბერალიზმის მსოფლმხედველობათა უცნაურ ნაზავს წარმოადგენს, პროგრამა "ოდნაკოს" მორიგი "ბომბარდირებისას" ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივი ფრაზა თქვა: "ქართველებს მახე დავუგეთ და როგორც ჩანს, ამჯერად გაებნენო".

თანაც, არგუმენტად მოიტანა საქართველოს ხელისუფლების სავსებით გულწრფელი განცხადებები (მათ შორის, გოგა ხაინდრავას სიტყვები), რომ საქართველოს არაფრის დიდებით არ სურს ომის გაჩაღება, "რადგან ეს ქვეყნის მოდერნიზაციის ყველა ჩვენი გეგმის ჩაშლა იქნებოდა".

ჭეშმარიტად ასეა, მაგრამ ამ ლოგიკით, "სამხრეთ ოსეთის მახეში" ჩვენი გაბმა და მორიგი დამანგრეველი ომის გაჩაღება სწორედ რუსეთის იმპერიულ გეგმათა განხორციელებაა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## იჩქარე ნელა

### სტრატეგია ოსური თამასის გადასალახავად

გიორგი ასანიშვილი

*ვარდების რევოლუციიდან თითქმის რვა თვე გავიდა. ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებას ერთი წუთითაც არ ჰქონია მშვიდი ცხოვრება. პირველ ეტაპზე მას ყურადღება გადატანილი ჰქონდა საარჩევნო (საპრეზიდენტო, საპარლამენტო) ციკლზე და ახალი ადმინისტრაციის ჩამოყალიბებაზე; მოგვიანებით, აჭარის თემატიკაზე გადაერთო; დღეს კი მთლიანად ცხინვალის რეგიონის პრობლემებით არის დაკავებული.*

პრეზიდენტ სააკაშვილს არაერთხელ განუცხადებია, რომ მისი ცხოვრების მთავარ მიზანს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს. ამ მიმართულებით აჭარის ფრონტზე მან შედარებით იოლ და სწრაფ წარმატებას მიაღწია, რის შემდეგაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეინტეგრაციის საკითხი.

მის მოგვარებას საქართველოს ხელისუფლება კომპლექსურად მიუდგა: პოლიტიკურ ძალისხმევასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა მიენიჭა

გაგრძელება A3 გვერდზე

### ეკონომიკა

**ახალი კოდექსი ექსპორტს ვერ წაახალისებს**

ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, 2005 წელს ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 14.9 პროცენტამდე შემცირდება. ეს კი წლევანდელ მაჩვენებელზე, დაახლოებით, ორი პროცენტით ნაკლებია.

A4

### უცხოეთი

**თუ მშვიდობა გინდა, ემზადე ომისთვის**



პენტაგონის წლიური ბიუჯეტი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის მთლიან ბიუჯეტს აღემატება.

A5

### საზოგადოება

**ცრუ ზარი სამხატვრო აკადემიიდან**



გუშინ სამხატვრო აკადემიის შენობასთან, აბიტურიენტების გარდა, ჟურნალისტების სიმრავლეც იგრძნობოდა.

A6

### სამართალი

**თავისუფალი ცხოვრებისთვის მზადება ინგლისურის სწავლით იწყება**



ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებს და მინისტრს შორის მეგობრული დამოკიდებულებაა.

A7

### ამინდი

| | 19/7 | 20/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 30 |
| ქუთაისი | 27 | 33 |
| ბათუმი | 23 | 30 |
| სოხუმი | 28 | 31 |
| ფოთი | 26 | 31 |
| თელავი | 27 | 29 |
| ზუგდიდი | 28 | 32 |
| გორი | 24 | 27 |
| ახმეტა | 27 | 29 |
| ჭიათურა | 26 | 31 |
| გაგრა | 28 | 28 |
| სამტრედია | 27 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9100 |
| ევრო | 2.3631 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5396 |
| რუბლი | 0.0657 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

## კორუფციასთან მებრძოლი თაღლითი

პროკურატურისა და შსს კახეთის მთავარი სამმართველოს მსგავსად, ფართომასშტაბიან სპეცოპერაციებს, ამჯერად უკვე, ფინანსური პოლიციის დეპარტამენტიც ახორციელებს. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ამ უწყების თანამშრომლებმა თელაველი ალექსანდრე ჯანდიერი დააკავეს: **ძალიკა ჯანდიერი სხვადასხვა სახის ყალბ საბუთებს ამზადებდა. რამდენადაც ჩვენთვის იყო ცნობილი, იგი ყალბ ატესტატებს, პირადობის მოწმობებს და დაბადების მოწმობებს სპეციალური დანადგარით ბეჭდავდა და შემდეგ ყიდდა,"** - განაცხადა ფინანსური პოლიციის რეგიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ შალვა ერისთავმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თაღლითობაში ეჭვმიტანილი ჯანდიერი, არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის უფლებების დაცვისა და კორუფციასთან ბრძოლის კავშირის" თავმჯდომარეა. შალვა ერისთავის თქმით, წინასწარი გამოძიების შედეგად ირკვევა, რომ "**არასამთავრობოს ხელმძღვანელი, სწორედ თავისი ორგნიზაციის სახელით, პირადობის მოწმობებს გასცემდა და თავის კლიენტებს, ამ მოწმობებში, ხუთიდან-ათ ლარამდე სძალავდა".** ერისთავი აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ამ დროისთვის უკვე ამოღებულია ის ბეჭედი, რომლითაც ჯანდიერი ყალბ დიპლომებს ამზადებდა. ამ ფაქტს თვით ალიკა ჯანდიერი კატეგორიულად უარყოფს. რაც შეეხება თანხას, დანაშაულში ეჭვმიტანილი აცხადებს, რომ ეს კავშირის ყოველთვიური გადსახადი იყო. "**მე ჩემი ორგანიზაცია რაიონულ სასამართლოში ოფიციალურად დარეგისტრირებული მაქვს. რაც შეეხება ბრალდებას, თითქოს მე კავშირის საბუთების გამზადებაში ვინმეს ფულს ვძალავდი, აბსურდია, რადგან ხუთი ლარი ყოველთვიურად საწევროს გადასახადი იყო,"** - გვითხრა დანაშაულში ეჭვმიტანილმა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ალექსანდრე ჯანდიერი, თავის დროზე, პოლიტიკური მოძრაობა "ერთობის" წევრი იყო. ფინანსურმა პოლიციამ კი, მისი ბინის ჩხრეკისას, "ნაციონალური მოძრაობის" მანდატიც აღმოაჩინა. როგორც ჯანდიერი ამბობს, იგი ამ მოძრაობაში "ვარდების რევოლუციის" დღიდან არის. გარდა ამისა, ალექსანდრე ჯანდიერი თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზკულტურის ფაკულტეტის კათედრის ლექტორია.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მასალების მოკვლევას თელავის რაიონული პროკურატურა აწარმოებს. პროკურორი ვაჟა მაღრაძე კი მომხდართან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებს.

*ზვიად რუაძე*

## აბაშიძის დროინდელი თანამდებობის პირების დაკავება გრძელდება

ბათუმში კვლავაც გრძელდება ასლან აბაშიძისდროინდელი თანამდებობის პირების დაპატიმრება.

გუშინ, აჭარის პროკურატურამ დააკავა შპს „გზების" ყოფილი ხელმძღვანელი შალვა დუნდუა, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცველები ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებენ. წინასწარი ინფორმაციით, მას თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალს წაუყენებენ.

აჭარის პროკურორის გიორგი პაპუაშვილის თქმით, დუნდუას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე ეპიზოდს აერთიანებს. ერთი ასეთი ეპიზოდია ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში ბათუმქობულეთის გზაზე საავტომობილო გვირაბის მშენებლობა, რომლის გამოძიებისას ფინანსური მაქინაციების ფაქტები გამოვლინდა. გარდა ამისა, საუბარია 700 ათას ლარზე, რომელიც დუნდუამ საბიუჯეტო თანხებიდან მოხსნა და დასასვენებელ კომპლექს „რივიერას" მშენებლობას მოახმარა.

შალვა დუნდუა ბათუმის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული და ბრალს მას, სავარაუდოდ, დღეს წაუყენებენ.

გუშინვე, აჭარის პროკურატურამ ბათუმის ტექნიკური ბიუროს უფროსი რესან აბაშიძე დააკავა. რესან აბაშიძე ეჭვმიტანილია სამსახურებრივი სიყალბის ჩადენაში და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბებაში.

რესან აბაშიძის დაკავება ბათუმის საბინაო სამსახურის უფროსის რუსტამ ბადოევის დაკავების ფაქტს უკავშირდება, რომელიც პროკურატურამ ერთი თვის წინ ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დააკავა.

რესან აბაშიძეს ბინების ყიდვისა და გაყიდვის ყალბი დოკუმენტები აღმოუჩინეს. დღეს პროკურატურაში აბაშიძის მოადგილე არჩილ ვარშანიძეა დაბარებული.

პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამოძიებას ვარშანიძის მიმართ სერიოზული ეჭვები აქვს, რაც შეიძლება მისი დაკავების საფუძველიც გახდეს.

*24 საათი*

## გაძარცული რედაქტორი მძარცველს ასახელებს

კახეთის რეგიონული გაზეთის "ობიექტივის" მთავარი რედაქტორი ზურაბ ქაჩლიშვილი გუშინწინ, ღამის 3.00 საათზე თელავში, ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე გაძარცვეს და მობილური ტელეფონი წაართვეს. გარდა ამისა, ძარცვის დროს მან თავის, ხელის და მუცლის არეში მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

ზურაბ ქაჩლიშვილმა მძარცველის ვინაობა პოლიციას უკვე აცნობა. მიმდინარეობს გამოძიება. თელავის რაიონის პროკურორის ვაჟა მაღრაძის განცხადებით, ჟურნალისტის ძარცვის ფაქტი ჩვეულებრივი კრიმინალია და პოლიტიკური დატვირთვა არ გააჩნია. **"ჩვენების დროს, პოლიტიკური მოტივი თავად დაზარალებულმაც არ დაასახელა,"** - აღნიშნა პროკურორმა.

ამავე დროს, ქაჩლიშვილმა აღნიშნა, რომ პიროვნება, რომელიც მან ამოიცნო, აჩიკო თარაშვილია. **"იგი "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის აქტივისტია. თარაშვილი თელავის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან, გოჩა მამაცაშვილთან დაახლოებული პირია და ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს მიმართ მიზანმიმართული ქმედება განხორციელდა,"** - აღნიშნა ქაჩლიშვილმა.

მამაცაშვილსა და ქაჩლიშვილს შორის, უკვე დიდი ხანია, გარკვეული დაპირისპირება არსებობს. გავრცელებული ინფორმაციით, გაზეთის მთავარ რედაქტორს მხარს ადგილობრივი დეპუტატი თამაზ ხიდაშელიც უჭერს, რომელიც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან ასევე დაპირისპირებულია.

*ინტერ-პრესი*

## ჰააგის გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, საპარლამენტო კომისიის მოქმედება დააჩქაროს

უმრავლესობის ფრაქციის წევრი, პარლამენტარი შოთა მალაშხია პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე, რომელიც, სავარაუდოდ, 28 ივლისს გაიმართება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებთან დაკავშირებით ახლად შექმნილი დროებითი კომისიის დაკომპლექტების საკითხს დასვამს. "ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, ამ კომისიის ამოქმედება აუცილებელია. ამ პროცესის შეფერხებით დაინტერესებულნი მხოლოდ ის ადამიანები არიან, რომლებიც შიშობენ, რომ ჰააგაში აფხაზეთის საქმის განხილვამ, შესაძლოა, მათი პასუხისმგებლობაც გამოააშკარაოს," - განუცხადა "მედია-ნიუსს" შოთა მალაშხიამ. შეგახსენებთ, რომ ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურატურის ანალიტიკურმა ჯგუფმა თითქმის უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო - მან რეკომენდაცია მისცა ჰააგის საერთაშორისო პროკურატურას აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების იუსტიციის ყოფილი მინისტრის პაატა დავითაიას მასალებისა და ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, აფხაზეთში გენოციდისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

*მედია-ნიუსი*

## აშშ საქართველოში სამხედრო ბაზებს არ განათავსებს

აშშ საქართველოში სამხედრო ბაზების განთავსებას არ აპირებს. ეს არც საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ იგეგმება, - აცხადებს რუსეთის ფედერაციაში აშშ-ს ელჩი ალექსანდრ ვერშბოუ, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე ნატო-ში აშშ-ს წარმომადგენელი იყო. რაც შეეხება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, ვერშბოუს მიაჩნია, რომ ამისათვის ქვეყანას გარკვეული დრო დასჭირდება. მისივე თქმით, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ღიაა ევროპის ყველა ქვეყნისთვის, რომელსაც რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის თავისი წვლილის შეტანა სურს.

*მედია-ნიუსი*

## ქუთაისმა ბენიძის ფულის ხარჯვა დაიწყო

ქუთაისის მერიამ, უკვე დაიწყო საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის დათო ბენიძის მიერ ბიუჯეტისთვის ნებაყოფლობით გადარიცხული 318 ათასი ლარის ხარჯვა. ქუთაისის თვითმმართველობაში გამოძიების დამთავრებას არ ელოდებიან და აცხადებენ, რომ აღნიშნული თანხის ხარჯვითი ნაწილი ჟურნალისტებისთვის გამჭვირვალე იქნება. ბენიძის მიერ ქუთაისის მერიის ანგარიშზე გადარიცხული თანხის დიდი ნაწილი მასწავლებელთა საშვებულებო ხელფასების დროულად გასტუმრებას, სპორტული მოედნებისა და სკვერების აღდგენას მოხმარდება. მერიაში ამჟამად მოუთმენლად მოელიან ბონდო შალიაკინის მიერ გადმოსარიცხ 3 მილიონზე მეტ ლარს.



*ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა საზოგადოებას ჩააბარა ანგარიში.*

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის გია გიორგაძის განმარტებით, დათო ბენიძის მიერ გადახდილი თანხა მერიის საფინანსო ანგარიშზე 12 ივლისს აღმოჩნდა. ოფიციალური მიზეზი ბენიძის მხრიდან აღნიშნული თანხის გადარიცხვისა "ადგილობრივი ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის ნებაყოფლობითი ანაზღაურება" გახლავთ. "**პირველი, რაც გავაკეთეთ, სახელოვნებო განათლების პედაგოგთა საშვებულებო თანხის გასტუმრება დავიწყეთ, რითაც პედაგოგებს ნორმალური დასვენების საშუალება მივეცით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შარშან მასწავლებელთა სახელფასო დავალიანების გასტუმრებისათვის ადგილობრივმა ბიუჯეტმა 900 000 ლარის საბანკო კრედიტი აიღო და ეს მემკვიდრეობა დღესაც კისერზე გვაწევს.... გარკვეული თანხა დაიხარჯება ბაღების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობისათვის. შევიძენთ საბავშვო ატრაქციონებს, ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მარტივი ტიპის სპორტული მოედნები გაკეთდება. გარკვეული თანხა ჩაიდება ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის. დაახლოებით 20 000 ლარია საჭირო ასფალტის ქარხნის შესაკეთებლად. ყოველი თეთრი, რომელიც ამ თანხიდან დაიხარჯება, ღია და გამჭვირვალე იქნება."**-აცხადებს მერის მოვალეობის შემსრულებელი გია გიორგაძე. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ობიექტს, რომელიც დათო ბენიძის "ნებაყოფლობით" გადახდილი თანხით იქნა აღდგენილი, შესაბამისი წარწერის მქონე ტრაფარეტები გაუკეთდება.

ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებით, სექტემბრიდან ქუთაისში სასწრაფო სამედიცინო დახმარება უფასო იქნება. აღნიშნული საკითხის მოგვარებისთვის ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება. ამავე პერიოდისთვის დაგეგმილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების ჩამოყვანაც. ამჟამად ქუთაისელებს სასწრაფოს ერთი გამოძახება 20 ლარი უჯდებოდათ.

გარკვეული ღონისძიებები ტარდება ქალაქის "წყალკანალის" კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად. როგორც შემოწმებისას აღმოჩნდა, ქუთაისის ყველა მსხვილი დაწესებულება წყალს არტეზიული ჭებიდან მოიხმარს და წყალკანალს ერთ თეთრსაც არ უხდის. გადახდისუუნარო მოსახლეობის იმედზე მყოფი "წყალკანალი" კი, კარგა ხანია, გაკოტრების პირასაა. არტეზიული ჭებით სარგებლობა კი სანიტარული ნორმების მხრივ მიუღებელია. არადა, აღნიშნული ჭების მომხმარებელთა რიცხვში, რამდენიმე მსხვილი რესტორანიც აღმოჩნდა. "**ადრე წყალკანალის ყოველთვიური შემოსავლები თვეში 30-დან 40 ათას ლარამდე მერყეობდა. ამჟამად კი უკვე 50 000 ლარამდე გაიზარდა. ამავე დროს ქალაქში არის 77 მსხვილი ორგანიზაცია, რომლებიც არ იხდიან წყლისა და კანალიზაციის ფულს. მათგან ნახევარზე მეტმა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი უკვე გამოთქვა. რის შედეგადაც "წყალკანალის" ყოველთვიური შემოსავალი 20 000 ლარით გაიზრდება,"** - აცხადებს გიორგაძე.

*ბექა სისაური*
*ქუთაისიდან*

## ბოლნისელი პენსიონერები 3 ლარით მდიდრები იქნებიან

### რაიონის ბიუჯეტში ძირითადი აქცენტი სოციალურ და ჯანდაცვის სფეროებზე გაკეთდა

ქვემო ქართლის მხარეში ბოლნისის რაიონი, აქაური ოქროს საბადოების წყალობით, ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ რაიონად ითვლება. დღემდე ეს სიკეთე ბოლნისელებს მხოლოდ ნაწილობრივ ეტყობოდათ, თუმცა როგორც რაიონის და მხარის ახალი ხელისუფლება აცხადებს, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

"ბოლნისის რაიონის ბიუჯეტი 10 მილიონ ლარს შეადგენს. რადგან რაიონში ეკოლოგიური პრობლემები ბევრია, ამ თანხის 12% ჯანდაცვას მოხმარდება და ბოლნისელებისათვის ნებისმიერი სახის სამედიცინო მომსახურება ადგილზე უფასო იქნება. ასევე, უფასო იქნება რაიონულ ცენტრსა და სოფლებს შორის ავტობუსით მგზავრობა. ბიუჯეტიდან უკვე გამოიყო 85 ათასი ლარი 5 ავტობუსის შესაძენად. ბოლნისელები გათავისუფლებულნი არიან წყლის გადასახადისაგანაც. ბიუჯეტში წყლის ხარჯების დასაფარად 260 ათასი ლარია გათვალისწინებული. ბიუჯეტიდან 400 ათას ლარს მიიღებს ბოლნისელთა საფეხბურთო კლუბი "სიონი"," - განუცხადა "24 საათს" ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა იოსებ მაზმიშვილმა. მან მაღალი შეფასება მისცა პოსტრევოლუციური ბოლნისის პირველ ბიუჯეტს და განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა რაიონის გამგებლის ზვიად ვეშაპიძის მუშაობაზე.

რაიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით, ბოლნისის რაიონი ერთადერთია საქართველოში, სადაც 1 ივლისიდან ყველა კატეგორიის პენსიონერებს მომატებულ პენსიებზე კიდევ სამი ლარი დაემატათ, ანუ ვისაც 18 ლარი უნდა მიეღო, ის 21-ს აიღებს, ვისაც 34 - 37-ს და ასე შემდეგ.

"მომავალ წელს გვინდა, რომ ბოლნისელ პენსიონერთა განსხვავება დანარჩენ საქართველოსთან 10 ლარამდე გავზარდოთ. ამის გაკეთება შესაძლებელი გახდა იმის ხარჯზე, რომ ყოფილი გამგებელი ჯაფარიძე ამ თანხებს საკუთარი ჯიბისკენ მიმართავდა. ასეთი რამ დღეს აღარ ხდება," - აცხადებს იოსებ მაზმიშვილი. ბოლნისის რაიონის 10-მილიონიან ბიუჯეტს, ძირითადად, "მადნეული" ავსებს. ამ ფირმას ყოველწლიურად ადგილობრივ ბიუჯეტში 6 მილიონი ლარი შეაქვს. "მადნეულის" ყოფილი დირექტორის ყოფილმა მოადგილემ, რომელიც პროკურატურამ დააკავა, ბიუჯეტში 1 მილიონ 200 ათასი ლარი გადაიხადა. როგორც გუბერნატორი აცხადებს, მთელი თანხა შენახულია და ამჟამად რაიონის საფინანსო ანგარიშზე 2 მილიონ ლარზე მეტი დევს.

დამატებითმა შემოსავალმა ადგილობრივ ხელისუფლებას კიდევ ერთი ინიციატივის განხორციელების საშუალება მისცა - მიმდინარე 2003 წელს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის ბიუჯეტი 500 ათას ლარს გაიღებს და ორ დიდი მოცულობის პროექტს დააფინანსებს. ღია კონკურსი დაახლოებით ერთი კვირის წინ გამოცხადდა.

"მომდევნო ორი წლის მანძილზე ვაპირებთ ეს თანხა 2 მილიონამდე გავზარდოთ, რაც დამატებით რამდენიმე ასეული კაცის დასაქმების საშუალებას მოგვცემს. გვინდა, რომ ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ მრეწველობაში დავასაქმოთ," - ამბობს ქვემო ქართლის გუბერნატორი. ის დარწმუნებულია, რომ მომდევნო 6 თვეში ბოლნისის მოსახლეობა ძველ და ახალ ცხოვრებას შორის სერიოზულ განსხვავებას იგრძნობს.

*მაია მოსიაშვილი*
*რუსთავიდან*

## გურჯაანელები სურმავას ბედზე ღელავენ

*"მიშა პატრიოტია, ის ვინც მასზე ამბობს, რომ საქართველოს მოღალატეა, თავის ერს სწორედ ის ყიდის. ჩვენ კი პირში წყლის ჩაგუბებას არ ვაპირებთ", - ამბობენ აღელვებული მიხეილ სურმავას ახლობლები. იმ შემთხვევაში, თუ ტყვეობაში მყოფი სურმავას დროულად გათავისუფლება არ მოხდება, გურჯაანელები მასობრივი გამოსვლებით იმუქრებიან: 'მას სახლში შვიდი თვის ფეხმძიმე მეუღლე ელოდება. თუ ნინოს რაიმე დაემართება, მასზე პასუხისმგებლობას სახელმწიფოს ვაკისრებთ, რაც ძვირად დაუჯდება", - აცხადებენ სურმავების მეზობლები.*



*მეზობლებსა და ოჯახის წევრებს სურმავას პატრიოტობაში ეჭვი არ ეპარებათ.*

**"ის, რაც მოხდა, სუფთა პოლიტიკური ინტრიგაა. შეუძლებელია ვინმესთან შეუთანხმებლად გაეცა მიშას ბრძანება თავისი ჯარისკაცებისთვის, იარაღის დაყრის და ოსი სეპარატისტების დანებების თაობაზე,"** - აი, ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ დატყვევებული შინაგანი ჯარის კაპიტნის, გურჯაანელი მიხეილ სურმავას მეზობლები და ახლობლები. **"ჩვენ კანონის ფარგლებში ვიმოქმედებთ. არავის ვაპატიებთ უდანაშაულო ადამიანის უკანონოდ გასამართლებას,"** - ამბობს მიხეილ სურმავას მეზობელი მანანა რაზმაძე.

ყველაზე მტკივნეულად მიხეილ სურმავას ახლობლები მისი მოღალატეობის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებს განიცდიან. **"ის პატრიოტი ადამიანია. მან ქართველ ხალხს თავიდან ომი ააცილა. იქ ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო, რა შედეგი მოჰყვებოდა, ყველასთვის ნათელია,"** - ამბობს სურმავების ყველაზე მხცოვანი მეზობელი პოლინე რაზმაძე.

რაიონში ერთ-ერთ ჭკვიან ახალგაზრდად და თავის საქმეში პროფესიონალად ცნობილ მიხეილ სურმავას დაკავებაზე თანატოლები ასე მსჯელობენ: **"ჩვენ ვამბობთ და ვიტყვით ხმამაღლა, რომ მიშიკო ოფიციოზის შეუთანხმებლად გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. როგორც ჩანს, ამ საქმეში ხელი მთავრობაში გავლენიან პირს ურევია, რომლის ვინაობის გამჟღავნება თვით ხელისუფალთ არ სურთ."**

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამდენიმე წელია, რაც გურჯაანის რაიონში ათობით ადამიანმა სასამართლოს ძალით ისტორიულად კუთვნილი გვარები დაიბრუნა. ამ ადამიანთა რიგებში სურმავებიც აღმოჩნდნენ: **"ჩვენი ნამდვილი გვარი სურმავა იყო, მაგრამ, როგორც გადმოცემით ვიცი, გვარის შეცვლა საქართველოში ოსმალების შემოსევის დროს მოხდა,"** - ამბობენ სურმავას ოჯახის წევრები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ სურმავას 28 წლის ასაკში კაპიტნის წოდება მიანიჭეს. მან განათლება ჯერ საქართველოში, შემდეგ თურქეთში, ჟანდარმერიის საერთაშორისო აკადემიაში მიიღო. მანამდე კი მას კრწანისის რეზიდენციასთან არსებული დაზვერვის ბატალიონის მეთაურის მოადგილედ უწევდა მუშაობა.

როგორც სურმავას ოჯახის წევრები აცხადებენ, ტყვეობაში მყოფი კაპიტნის გამოშვება, შესაძლოა, ამ ორ დღეში მოხერხდეს.

*ზვიად რუაძე,*
*კახეთიდან*

### მოკლედ

## "ჩინოვნიკების ცოლებს და ცოლისდებს პრივატიზებასთან არაფერი ესაქმებათ"

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, პარლამენტარი დავით ბერძენიშვილი აჭარაში ზოგიერთი ობიექტის პრივატიზებას მხარს უჭერს, თუმცა, მისი თქმით, პრივატიზება უნდა მოხდეს აუქციონის წესით, გამჭვირვალედ და არა ნომენკლატურულ დონეზე ქონების მუქთად ხელში ჩაგდებით, როგორც ეს "შევარდნაძის დროს ხდებოდა". ამასთან, პარლამენტარი პორტებისა და აეროპორტების გაყიდვის წინააღმდეგია. "ახალ ქართულ ჩინოვნიკობას, მით უფრო - მათ ცოლებს, ცოლისდებს, ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს ბათუმის ზღვისპირა პარკში არაფერი ესაქმებათ. ასეთი გზით არავის არაფერი გამოუვა. არც ბუნგალო უნდა გახდეს რომელიღაც ჩინოვნიკის ცოლის საკუთრება და არც "სალამანდრას" მაღაზია", - აცხადებს ბერძენიშვილი და არ აკონკრეტებს, ვის გულისხმობს.

*მედია-ნიუსი*

## კობა დავითაშვილი აჭარის კულტურის მინისტრს დაუპირისპირდა

პარლამენტარი კობა დავითაშვილი აჭარის განათლებისა და კულტურის მინისტრის ალექსანდრე გეგენავას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასა და თანამდებობიდან მის გათავისუფლებას მოითხოვს. საქმე ეხება ალექსანდრე გეგენავას ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლას, რომელიც ბათუმის კლასიკური საბალეტო სკოლისთვის დაფინანსების შეწყვეტასა და მის შესაძლო დახურვას ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ბათუმის კლასიკურ საბალეტო სკოლაში სკოლის ხელმძღვანელობა და აღსაზრდელების მშობლები შეიკრიბნენ. მათ კობა დავითაშვილიც შეუერთდა. პარლამენტარი ამ საკითხთან დაკავშირებით აჭარაში პრეზიდენტის წარმომადგენლის ლევან ვარშალომიძისგან ახსნა-განმარტებებს ითხოვს.

მისი თქმით, გასარკვევია "ალექსანდრე გეგენავა მარტო მოქმედებს, თუ ლევან ვარშალომიძის დავალებებს ასრულებს. ასევე გასარკვევია მეორე საკითხი - ხომ არ წარმოადგენს ეს მოქმედება გამიზნულ პოლიტიკურ პროვოკაციას იმ მიზნით, რათა აჭარის მოსახლეობას აჩვენონ, რომ რევოლუციის შემდეგ აჭარაში საქმე უკან-უკან წავიდა". კობა დავითაშვილი მიიჩნევს, რომ თუ ამ საქმეში ლევან ვარშალომიძის როლიც გამოიკვეთება, თანამდებობა მანაც უნდა დატოვოს.

*მედია-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** შაბათს, გვიან ღამით, ცხინვალის მხრიდან ერგნეთის მიმართულებით მრავალჯერადი გასროლა მოხდა, - აცხადებენ ცხინვალის რეგიონში დისლოცირებული ქართველი სამშვიდობოები. მათივე განცხადებით, გასროლას მსხვერპლი არ მოჰყოლია, დაზიანდა მხოლოდ სოფელ ერგნეთთან მდებარე ქართული საგზაო პოლიციის შენობა.

ქართველმა სამშვიდობოებმა აღნიშნეს, რომ ბოლო პერიოდში, ცხინვალის მხრიდან ქართული სოფლების მიმართულებით, პროვოკაციის მიზნით ხშირად ისვრიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთიდან, დნესტრისპირეთიდან და ჩრდილო კავკასიის რეგიონებიდან ჩამოსული დაქირავებული მებრძოლები სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას კვირას ავტობუსებით დატოვებენ, - აცხადებს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება. ოსური მხარე იმედოვნებს, რომ მსგავს ნაბიჯს საქართველოს ხელისუფლებაც გადადგამს და კონფლიქტის ზონაში დიდი რაოდენობით მყოფ შეიარაღებულ ფორმირებებს უკან გაიწვევს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი ეროვნების ბავშვების მე-4 ნაკადი ჩაქვში გასამგზავრებლად ემზადება. შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის, მიხეილ ქარელის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში, ამ რეგიონიდან უკვე რამდენიმე ასეულმა ბავშვმა დაისვენა შავი ზღვისპირეთში. მისი თქმით, ბავშვების გამგზავრების ადგილი, მათივე უსაფრთხოების მიზნით, არ სახელდება. აღნიშნული ჰუმანიტარული აქცია მომავალში კვლავაც გაგრძელდება და დარჩენილ ბავშვებს ჩაქვში დასვენების საშუალება მიეცემა, - აცხადებს მიხეილ ქარელი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში აშშ-ს ელჩი რიჩარდ მაილსი კმაყოფილია მოსკოვში გამართული ქართულ-რუსულ-ოსური მოლაპარაკებებით. როგორც გუშინ საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანთან გელა ბეჟუაშვილთან გამართული შეხვედრის შემდეგ მაილსმა განაცხადა, ის მოხარულია დაპირისპირებული მხარეების გადაწყვეტილებით - არსებული კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოაგვარონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი და კომიტეტის წევრი ნიკა გვარამია 23 ივლისს ბუდაპეშტში გაემგზავრებიან. როგორც ცნობილი გახდა, პარლამენტარები ჯორჯ სოროსის უნივერსიტეტის ორგანიზებით მიმდინარე საკონსტიტუციო კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრის ნიკა გვარამიას განცხადებით, ბუდაპეშტის კონფერენციაზე მიწვეული სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტარები და კონსტიტუციონალისტები საქართველოს კონსტიტუციური მოდელის ხარვეზებზე და ნაკლოვანებებზე ისაუბრებენ. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ოსებისთვის ჩამორთმეულ იარაღს რუსი სამშვიდობოები დაეძებენ

პირველი გვერდიდან

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაცია მას შემდეგ გახდება ცნობილი, როცა დაკავებული მძღოლის დაკითხვა დასრულდება.

ერთის თქმა კი ირაკლი ოქრუაშვილს უკვე თამამად შეუძლია.

**"რუსი სამშვიდობოები დაკისრებულ მოვალეობას არ ასრულებენ. მეტიც, ისინი ხელს გვიშლიან, რომ დანაშაული ქართულმა მხარემ აღკვეთოს და ყველაფერს აკეთებენ, რომ ოსებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში დაეხმარონ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მსგავსი შემთხვევები გამოვავლინოთ",** - ასეთი შინაარსის განცხადებით დაასრულა გუშინდელი ბრიფინგი შინაგან საქმეთა მინისტრმა.

იარაღის ჩამორთმევამ ოსები და თვით რუსი სამშვიდობოებიც, როგორც ჩანს, იმდენად გააღიზიანა, რომ მათ რამდენიმედღიანი მოჩვენებითი სიმშვიდეც კი დაარღვიეს და ქართულ მხარეს წითელი მიწებიდან, სადაც ოსების შეიარაღებული რაზმები დგანან, ცეცხლი გაუხსნეს.

**"მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ მანქანა დააკავა, რომელსაც ე.წ. სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი დეპუტატი აცილებდა, ოსებმა დახმარებისთვის რუს სამშვიდობოებს მიმართეს. რამდენიმე წუთში რუსებმა ქართველები ორი "ბეერდეემით" ალყაში მოაქციეს და მანქანის წართმევა სცადეს. მაგრამ ადგილობრივმა პოლიციამ თავისი გაიტანა და მანქანა ჯერ სოფელ ქურთაში დამალეს, შემდეგ კი - სოფელ აჩაბეთაში,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თამჯდომარემ გივი თარგამაძემ, რომელიც ადასტურებს, რომ რუსი სამშვიდობოები ყველაფერს აკეთებენ, რათა ოსებს შეიარაღება დაუბრუნონ. **"მოსკოვის შეთანხმების შემდეგ, რუსმა სამშვიდობოებმა საშინელი პროტესტი გამოთქვეს თამარაშენში ქართული საგუშაგოს გახსნასთან დაკავშირებით. ამის მიზეზი ის არის, რომ მათ არ სურთ ვაკონტროლოთ, როგორ გადააქვთ იარაღი ცხინვალიდან ჯავის ტერიტორიაზე,"** - გვითხრა გივი თარგამაძემ.



იური ლობოდინის ფოტო

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და საგანგებო შტაბი კონფლიქტის ზონაზე კონტროლს ინარჩუნებენ.*

იარაღის გადატანას ჯავაში კი ოსი და რუსი სამშვიდობოებისთვის, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ ტერიტორიაზე საბრძოლო მასალა არ არსებობს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან უახლოეს მომავალში კონფლიქტის ზონაში ევროკომისიის ჯგუფები შევლენ. უცხოელმა დამკვირვებლებმა კი საბოლოოდ უნდა დაადგინონ, არის თუ არა ე.წ. სამხრეთ ოსეთში შეიარაღება.

**"საინტერესოა ერთი გარემოება, ჯავა რატომღაც არ შედის კონფლიქტის ზონაში და ის ტერიტორია, ფაქტობრივად, გაუკონტროლებელია. ოსები ფიქრობენ, რომ ჯავას ევროკომისიის ჯგუფები არ შეამოწმებენ და ამიტომ შეიარაღება იქით გადააქვთ. თუმცა, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უცხოელმა დამკვირვებლებმა დასახელებული ტერიტორიებიც შეამოწმონ და რეალური სურათი ნახონ. ამ გზით ჩვენ ვცდილობთ, მსოფლიოს რეალური სურათი დავანახოთ",** - ამბობს გივი თარგამაძე.

როგორც პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, იარაღით დატვირთული დაკავებული მანქანის ძებნას ამჟამად რუსი სამშვიდობოები აგრძელებენ და არ არის გამორიცხული, რომ მიზნის მისაღწევად, მათ სხვა პროვოკაციული ხერხებიც გამოიყენონ.

# იჩქარე ნელა

პირველი გვერდიდან

საერთაშორისო, სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ასპექტებს.

პოლიტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი დატვირთვის მატარებელი იყო სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრა დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა სამიტის ფარგლებში. თუ ამ შეხვედრის მერე განვითარებული მოვლენების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებმა პრინციპულ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. ყოველ შემთხვევაში, მოსკოვში გამართული საპრეზიდენტო დონის შემდეგ, კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით, რაიმე დადებითი ძვრები არ მომხდარა. პირიქით, კონფლიქტის ზონაში ვითარება უფრო გამწვავდა და პუტინ-სააკაშვილს შორის დაუსწრებელი დავაც კი გაჩაღდა: რუსეთის პრეზიდენტის სახელით ოსური მოსახლეობისთვის გამოგზავნილი საჩუქარი ქართულ მხარეს მაინცადამაინც არ ესიამოვნა და სააკაშვილმა თავის კოლეგას საკმაოდ მკვახედ შეახსენა, რომ ჩეჩნეთში მას ფქვილი არასდროს გაუგზავნია.

ყველასთვის ნათელია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის საბოლოოდ მოწესრიგების საკითხში გადამწყვეტი სიტყვა რუსეთს ეკუთვნის. ასეთი ნაბიჯის გადასადგმელად მოსკოვში რომ მზად არ არიან, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს მიერ იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილი განცხადების ერთხმად მიღებაც ადასტურებს. არანაკლებ ტენდენციური იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის შეფასებებიც.

ერთ-ერთი არგუმენტი, რომლითაც რუსეთი ქართულ-ოსური კონფლიქტში ჩარევის აუცილებლობას ამართლებს, ის არის, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე რუსეთის მრავალი მოქალაქე ცხოვრობს და საჭიროა მათი ინტერესების დაცვა. მაგრამ ოფიციალურ მოსკოვს რატომღაც არ ავიწყდება, რომ თანამოქალაქეების "ინტერესების დაცვასთან" ერთად, მათ ქმედებებზეც აკისრია პასუხისმგებლობა. ამით კი კრემლი ნამდვილად ვერ დაიტრაბახებს - რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ოდნავადაც არ შეწუხებულა, როდესაც მათი **თანამოქალაქის**, ედუარდ კოკოითის უშუალო მითითებით, სოფელ ვანათში 50 ქართველი პოლიციელი აიყვანეს მძევლად. პასუხისმგებლობის კუთხით არც ის შეფასებულა, რომ რუსეთის რამდენიმე ასეულმა ქვეშევრდომმა (კაზაკები, აფხაზები, ინგუშები) იარაღი აისხა, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა და მზად იყო, "სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის" დასაცავად ებრძოლა.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავებამ აჩვენა, რომ არასწორია ჩვენთან ამ ბოლო დროს გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს, ცხინვალის რეგიონი მოსკოვს ნაკლებად აინტერესებს და საქართველოს ხელისუფლებას ამ ტერიტორიაზე თავისი უფლებამოსილების აღდგენაში დაეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო აზრი ერთმნიშვნელოვნად "პროქართული" იყო (ამის დადასტურებაა თუნდაც ეუთო-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია), რუსეთმა ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლება არ გაწირა. მეტიც, საქართველოს ხელისუფლების სიფრთხილე და წინდახედულება რომ არა, საკმაოდ დიდი იყო იმის ალბათობა, ეთნიკურ ნიადაგზე ცხინვალის რეგიონში ახალი სისხლისღვრა დაწყებულიყო. ეს საფრთხე მხოლოდ იმით იქნა თავიდან აცილებული, რომ მიმდინარე მოვლენების შეფასება ოფიციალურმა თბილისმა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პლანში გადაიტანა, რამაც მოსკოვს კონფლიქტის პროვოცირებაზე ხელი აალებინა.

ყოფილ სამხრეთ ოსეთში იურისდიქციის აღსადგენად, საქართველოს ხელისუფლება, პოლიტიკურ ძალისხმევასთან ერთად, ეკონომიკურ და სოციალურ ბერკეტებსაც იყენებს: თითქმის პერმანენტულად მიმდინარეობს ჰუმანიტარული "ექსპანსია" (კონფლიქტის ზონის მოსახლეობისთვის ფქვილისა და სასუქის დარიგება); ჩაქვში დასასვენებლად მიჰყავთ ოსი ბავშვები; სურვილის შემთხვევაში, ოსურ მოსახლეობას შეუძლია "ქართული პენსიის" მიღება...

საქართველოს ხელისუფლების კომპლექსური "მანევრები" ოსეთის სეპარატისტულ რეჟიმს და მის ზურგს უკან მდგარ რუსეთს ძალიან აღიზიანებს. მათთვის ნათელია, რომ ოფიციალური ხელისუფლების ძალისხმევა, ადრე თუ გვაინ, შედეგს გამოიღებს და მოამზადებს ნიადაგს საქართველოს იურისდიქციაში ცხინვალის რეგიონის ინტეგრირებისთვის. ამიტომ, სადღეისოდ, კოკოითისა და მისი რუსი მეგობრებისთვის ყველაზე მისაღებ ვარიანტს წარმოადგენს კონფლიქტის ხელახალი დაკონსერვება, მისი შენარჩუნება იმ მდგომარეობაში, როგორც ის განვლილი ათწლეულის განმავლობაში არსებობდა.

ეს კი საქართველოს ხელისუფლებისთვის სრულიად მიუღებელია. ქვეყნის პრეზიდენტი, თავის გუნდთან ერთად, ოსური და აფხაზური ჩიხიდან გამოსასვლელად "სიგიჟემდე მზადყოფნას" გამოთქვამს, რაც ნიშნავს, რომ "სტატუს-კვოს" შენარჩუნებას (თუნდაც, სტაბილურობის ფასად) საქართველოს ხელისუფლება არ დათანხმდება.

თუმცა, ბოლო დროს კონფლიქტის ზონაში განვითარებულმა მოვლენებმა მმართველ ძალას ისიც დაანახა, რომ ოსური კვანძის გახსნას გარკვეული დრო სჭირდება და ამ საკითხში სწრაფი გარღვევის მიღწევა შეუძლებელია. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლების შემდგომი სტრატეგიაც, სავარაუდოდ, შესაბამისი იქნება. "იჩქარე ნელა" - მიხეილ სააკაშვილი, ალბათ, ამ დევიზით შეეცდება ოსური თამასის გადალახვას, რომლის იქითაც კიდევ უფრო მაღალი, აფხაზური ბარიერია.

# მახე

პირველი გვერდიდან

საბედნიეროდ, ამას თბილისშიც კარგად ხვდებიან (როგორც ჩანს) და ომის თავიდან ასაცილებლად კონფლიქტის ზონაში შინაგანი ჯარების კონტინგენტის შემცირებას იწყებენ, რათა მოწინააღმდეგეს ფორმალური არგუმენტი აღარ დაუტოვონ.

იმავე ლეონტიევის თქმით, რუსულმა სპეცსამსახურებმა თავად მიაწოდეს ინფორმაცია ქართულ მხარეს რაკეტებით დატვირთული მანქანების შემოსვლის თაობაზე, რათა შესაბამისი ინციდენტის პროვოცირება მოეხდინათ და ამით "კაზუს ბელი" მიეღოთ.

ამჟამად კი, 8 ივლისის მოვლენათა და ვანათის წარმატებული ოპერაციის შემდეგ, რუსეთის მთავარი მიზანი "სტატუს-კვოს" სრული აღდგენაა და არა მხოლოდ - სამხრეთ ოსეთის დემილიტარიზაცია.

"სრული სტატუს-კვო" კი გულისხმობს სამხრეთ ოსეთის გავლით, რუსეთიდან – საქართველოს დანარჩენ რეგიონებში კონტრაბანდული ტვირთის თავისუფალი გადაადგილების აღდგენასაც.

მივაქციოთ ყურადღება: გენერალი ნაბზდოროვი და ცხინვალის ხელისუფლება უკვე მოითხოვენ არა მხოლოდ იმ პოსტების ლიკვიდაციას, რომლებიც თვით სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებში შეიქმნა, არამედ ფინანსური პოლიციის იმ საგუშაგოთა გაუქმებას, რომლებიც სამხრეთ ოსეთის მიღმა(!) ანუ კონფლიქტის ზონის ქართულ ნაწილში დაფუძნდა კონტრაბანდის აღსაკვეთად.

კაცმა რომ თქვას, რაკი ოსებიცა და რუსებიც დაგომისის (1992 წლის 24 ივნისის) ხელშეკრულებას იმოწმებენ, იმ ხელშეკრულებაში მართლაც შავით თეთრზე წერია, რომ კონფლიქტის ზონა მოიცავს გორისა და ქარელის რაიონის (!) მნიშვნელოვან ნაწილს და ამ ზონაში ქართულ მხარეს არანაირი პოსტების შექმნის უფლება არა აქვს ე.წ. "სამმხრივ კომისიასთან" შეთანხმების გარეშე.

გარდა ამისა, იმავე ხელშეკრულებით, საქართველოს არა აქვს უფლება, შეზღუდოს ტვირთების გადაადგილება ან რაიმე ეკონომიკური ზემოქმედება განახორციელოს ოსურ მხარეზე.

ესე იგი, ამ ინტერპრეტაციით, საქართველოს (დაგომისის ხელშეკრულებით) იმის უფლებაც კი არა აქვს, რომ ხელი შეუშალოს კონტრაბანდის "ჩანჩქერს", რაც ანადგურებს ქვეყნის ეკონომიკას და ხელს უშლის ხელისუფლებას, ელემენტარული წესრიგი დაამყაროს თავის ეკონომიკურ სივრცეში, რის გარეშეც რაიმე სახელმწიფოებრიობაზე (ევროკავშირში გაწევრიანების ამბიციურ პერსპექტივებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) ლაპარაკი სასაცილოა.

რასაკვირველია, თუ გავიხსენებთ, რა ვითარება შეიქმნა საქართველოში 1992 წლის ზაფხულში, გასაკვირი არ არის, თუ საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ ამგვარ კაპიტულანტურ ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. იგი იმ დროს ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ოდესმე რუსეთთან ეკონომიკური საზღვრის ჩაკეტვა დასჭირდებოდა.

აი, რუსულმა დიპლომატიამ კი, ეს ყოველივე ათწლეულების მიღმა ბრწყინვალედ გათვალა.

აქედან გამომდინარე, არც ისაა გასაკვირი, რომ დღეს მოსკოვი გააფთრებით ცდილობს დაგომისის ხელშეკრულებით დაფიქსირებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას და კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს მცდელობას, შეცვალოს იგი თუნდაც იმ ნაწილში, რაც "კონტრაბანდული ჩანჩქერის" შეკავებას ეხება.

თუ საქართველომ ეს შეძლო, რუსი ექსპერტების აღიარებით, ქვეყნის ბიუჯეტს ყოველწლიური, პირდაპირი და ირიბი დანაკარგი (30-40 პროცენტი) აღუდგება, მეტი რესურსიც ექნება სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადასაწყვეტად, რაც სრულებითაც არ ეპიტნავება რუსეთს.

ამრიგად დღეს რუსეთის მთავარი მიზანი სწორედ სასაქონლო ნაკადთა თბილისის მიერ უკონტროლობის შენარჩუნებაა.

## იმპერიალიზმის დივერსანტი

ამ დღეებში ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური და ანალიტიკური მოსკოვური გამოცემა, გაზეთი "კომერსანტ-დეილი" წერდა: "მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ვერ შეძლო სამხრეთ-ოსეთში მესამე რევოლუციის ორგანიზება, მან მაინც მოახერხა საქართველოსათვის ძალზე მნიშვნელოვანი ტაქტიკური ამოცანის გადაწყვეტა: შეაჩერა კონტრაბანდის ნაკადი რუსეთიდან, სამხრეთ ოსეთის გავლით, საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, რის შედეგადაც, ქვეყნის ბიუჯეტის პირდაპირი და ირიბი დანაკარგები 30-40 პროცენტს აღწევდა."

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ საქართველოს ამჟამინდელი მმართველი გუნდის პრაგმატიზმის გათვალისწინებით, მისი მთავარი მიზანი, იმთავითვე, არა "სამაჩაბლოს დაბრუნების" ილუზორული ამოცანის დაუყოვნებელი განხორციელება იყო, არამედ სწორედ ხსენებული ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა: გამანადგურებელი კონტრაბანდის შეჩერება და შეწყვეტა.

მოსკოვში, შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომის დასრულების შემდეგ, რუსული დიპლომატიის "ბებერმა მგელმა" ვალერი ლოშჩინინმა, როცა შემაჯამებელი დოკუმენტს კითხულობდა, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ დებულებას, რომ "კონფლიქტის ზონაში ტვირთების გადაადგილების შეფერხება" დაუშვებელია.

აქ კიდევ ერთხელ გამოვლინდა ამ ეტაპზე რუსული პოლიტიკის ძირითადი მიზანი: მოსკოვში შესანიშნავად იციან, რომ ის ხერხები და მეთოდები, რასაც საქართველოს ხელისუფლება მიმართავს სამხრეთ ოსეთიდან (ფაქტობრივად, საქართველოს გეოგრაფიული ცენტრიდან) დანარჩენ საქართველოში "კონტრაბანდის ჩანჩქერის" შესაკავებლად – გრძელვადიანი თვალსაზრისით სრულიად ფუჭი და უნაყოფო იქნება.

ელემენტარული ანალიზიც კი ადასტურებს, რომ ერგნეთის ბაზრობის გაუქმება მხოლოდ დროებით ეფექტს გამოიღებს: ბაზრობა, უბრალოდ, გადაინაცვლებს საკუთრივ ცხინვალში და, სამიოდე თვის შემდეგ, იქიდან, წვრილ-წვრილი პარტიებით, "მცირე ნაკადულებით", შეუჩერებლად შემოვა კვლავ საქართველოს ეკონომიკურ სივრცეში, ისევ და ისევ დამანგრეველი და გამანადგურებელი შედეგებით ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ამ ნაკადთა შეჩერების მცდელობა იგივეა, ნავში, რომელსაც ასეულობით ნახვრეტი გაუჩნდა, ხელის გულებით ცდილობდე წყლის ჭავლთა შეკავებას.

ბუნებრივია, ერთადერთი (თეორიულადაც კი) შესაძლებლობაა მხოლოდ და მხოლოდ როკის გვირაბის გაკონტროლება, მაგრამ ამის ალბათობა (ნებისმიერი დათმობის ფასად) ზუსტად ნულის ტოლია, ვინაიდან ამით რუსეთი საქართველოზე ზემოქმედების ძალიან მძლავრ ბერკეტს დაკარგავს და ჩვენი ქვეყნის თავისუფალი განვითარების პერსპექტივას შეურიგდება.

ხოლო ერთადერთი პრაქტიკული გამოსავალია ხელისუფლების მიერ სავსებით სამართლიანი, მაგრამ დრაკონული ზომების მიღება: აღურიცხავი პროდუქციისა და კონტრაბანდის გათანაბრება, სისხლის სამართლებრივი დანაშაულის გამკაცრება ამ კატეგორიისათვის და, რაც მთავარია, კონტრაბანდის ბუდეთა, ანუ ე.წ. ბაზრობების გაუქმება.

მაგრამ, მოსკოვის "ანალიტიკურ ლაბორატორიებში" ზუსტად გათვალეს, რომ ასეთი ზომების მიღება კარდინალურად დაძაბავს ვითარებას ქვეყანაში.

ფაქტობრივად, ხელისუფლებას მოუწევს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდეს (ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე) ქართული სოციუმის მნიშვნელოვან ნაწილს, ასეულობით ათას ადამიანს, რომელიც დემპინგით, კონტრაბანდით, ფალსიფიკაციით, ანუ საკუთარი სახელმწიფოს ნგრევით იკვებება.

არადა, მართლაც ძალიან ძნელია საზოგადოებას აუხსნა, რომ ის საბრალო, მოხუცი ქართველი ქალი, ვინც ორიოდე ლარის მოსაგებად, მთელ დღეს ხარჯავს და ცხინვალიდან გორის ბაზარზე მოსახვედრად სოფელ-სოფელ, ჭალა-ჭალა დადის წვიმასა და სიცივეში (ასეთი ათეულობით ათასია), რეალურად, მისდაუნებურად, იმ "დივერსანტის" ფუნქციას ასრულებს, რომელსაც რუსეთი იყენებს საქართველოს მაქსიმალურად დასასუსტებლად და პრობლემათა გასამრავლებლად.

აქვე, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ რუსეთი გამოსავალსაც გვთავაზობს, რომელმაც უკვე გაიელვა ზოგიერთი მოსკოვური გაზეთის ფურცლებზე: საქართველომ გააფორმოს საბაჟო კავშირი რუსეთთან (ესე იგი, ფაქტობრივად, შევიდეს რუსეთის საბაჟო სივრცეში), ამით გაუქმდება ყოველგვარი ეკონომიკური საზღვარი რუსეთსა და საქართველოს შორის, შეიქმნება ერთობლივი გარე საზღვარი (ვთქვათ, რუსეთ-საქართველოს ერთობლივი საბაჟო სარფში) და ამ გზით, "ოსური კონტრაბანდის" თემა თავისთავად ამოიწურება.

ერთი შეხედვით, მარტივი გამოსავალია. ოღონდ, თუ იმ უდავო დებულებას არ გავითვალისწინებთ, რომ სხვა ქვეყნის საბაჟო სივრცეში შესვლა (თუნდაც "საბაჟო კავშირის" ფორმით) იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლას ნიშნავს.

## წყეული ქართული კითხვა

ბოლოდროინდელი გამწვავების დროს, რომელიც ლამის კიდევ ერთხელ დასრულდა რუსეთ-საქართველოს ომით, თბილისის "ექსპერტულ ბომონდში" კვლავ ისმოდა ჩვენი პოლიტიკური და საზოგადო ელიტისათვის "მარადად" ქცეული მჭმუნვარე კითხვა: მაინც, რა უნდა რუსეთს საქართველოსგან?

ეს კითხვა 1992 წლიდან ისმის ამ ქვეყანაში და, როგორც ჩანს, იმავე "ცნობიერ ფუნქციას" ასრულებს ქართულ მსოფლმხედველობაში, როგორც მე-19 საუკუნის "წყეული რუსული კითხვები" – "რა ვაკეთოთ" და "ვინ არის დამნაშავე".

ცოტა არ იყოს, კომიკურ ელფერსაც კი იძენს, რა დაჟინებით იმეორებენ ერთსა და იმავეს: მთავარია, დავადგინოთ, რა უნდა რუსეთს. თუ დავადგენთ (ანუ, როგორც ჩანს, ამით ქართული პოლიტიკის "ინტელექტუალურ მწვერვალს" მივაღწევთ) მაშინ იმაზე ვიმსჯელებთ, ღირს თუ არა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება და, ამ ფასად, ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ერთი სიტყვით, კვლავ და კვლავ მთავარია გავიგოთ, მივხვდეთ, გამოვიცნოთ, რა უნდა რუსეთს. როგორმე - ხვეწნით, მუდარით, მოსყიდვით, მოთაფვლით - ვათქმევინოთ რუსებს: რა უნდათ ჩვენგან, რას მოითხოვენ, ბოლოს და ბოლოს?

ფედერაციაზეც ხომ თანახმა ვართ, "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" აღდგენაზეც, მათი სამხედრო ყოფნის შენარჩუნებაზეც, ანტიტერორიზმზეც, მაგრამ, ეტყობა, "ეს ის" არ არის – კიდევ უნდათ რაღაც, ანუ, ნეტავ და მართლაც, რა უნდა რუსეთს?!

არადა, პასუხი ამ კითხვაზე, სინამდვილეში, საოცრად მარტივია: არაფერი! რუსეთს საქართველოსაგან არაფერი არ უნდა!!!

მისი ინტერესი მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილოეთ კავკასიას (ანუ რუსეთის ყველაზე პრობლემურ და მნიშვნელოვან რეგიონს), საერთოდ ვერ შედგეს როგორც სახელმწიფო, მუდმივად დარჩეს ღარიბ-ღატაკ, დაგლახავებულ, დაჩანაკებულ ქვეყნად, რომლისკენ გამოხედვაც კი არ მოუნდება ნორმალურ ადამიანს, არათუ აქ ბიზნესის წარმოება ან უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩამოსვლა.

გარწმუნებთ, ორი კი არა, ასი სამხედრო ბაზა თუ "ანტიტერორისტული ცენტრი" რომ გავუხსნათ ჩვენში რუსეთს, - მისი ეს ინტერესი არ შეიცვლება. თუ, რასაკვირველია, საქართველო ეკონომიკური, პოლიტიკური და ყველა სხვა თვალსაზრისით რუსეთის სახელმწიფოებრივი სივრცის ნაწილად არ იქცა და მოსკოვს არ გადააბარა უკლებლივ ყველა პროცესის მართვის ბერკეტი ეკონომიკური საზღვრიდან – სასწავლო პროგრამებამდე.

ასეთ შემთხვევაში, მოსკოვმა, შესაძლოა, კიდეც იზრუნოს თავისი ერთ-ერთი რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში შემავალი "თათარსტანის რესპუბლიკის" ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტს დაახლოებით ოთხჯერ აღემატება - ბევრ რუს პოლიტიკოსს ამგვარი პერსპექტივა სულაც არ მოეჩვენება სიგიჟედ.

# რუსი გენერალი ქართული დროშის ჩამოხსნას ითხოვს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ, სოფელ თამარაშენთან ქართულმა მხარემ პოლიციის დამატებითი საგუშაგო გახსნა. მათი განცხადებით, ჯერ კიდევ არსებობს ცხინვალში იარაღის შეტანის საფრთხე და თამარაშენთან საგუშაგოს გაძლიერება სწორედ ამიტომ გახდა საჭირო. აღნიშნულ ფაქტს აპროტესტებს რუს სამშვიდობოთა სარდალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი. მანვე ქართულ სოფელ კეხვის საგუშაგოზე ქართული სახელმწიფო დროშის ჩამოხსნაც მოითხოვა. მისი პროტესტის მიუხედავად, საგუშაგოს გაუქმებას ან დროშის ჩამოხსნას არავინ აპირებს, რადგან ორივე სოფელს ქართული მხარე აკონტროლებს და, შესაბამისად, გადაწყვეტილებებსაც ის იღებს და არა რუსი გენერალი. როგორც კეხვის მოსახლეობა აცხადებს, ეს დროშა მათ თან ჰქონდათ ნოემბრის ვარდების რევოლუციის დღეებშიც, ბათუმშიც და მისი შეურაცხყოფის უფლებას არავის მისცემენ.

*მედია-ნიუსი*

# კოკოითმა ქველმოქმედებას მიჰყო ხელი

ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა გადაწყვიტა, მესტიის რაიონში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას, ჰუმანიტარული დახმარების სახით, ორი მანქანა საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები გაუგზავნოს. ცხინავლის დე ფაქტო ხელისუფლების ინფორმაციის კომიტეტის ხელმძღვანელის, ირინა გაგლოევას განცხადებით, გორის რაიონის ქართველი მოსახლეობისთვის სარწყავი წყლის მიწოდების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ქართულ მხარესთან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

თბილისში კოკოითის ჰუმანიტარული დახმარების შესახებ არაფერი იციან.

სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი აცხადებს, რომ მან არაფერი იცის ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის ამ ინიციატივის შესახებ. როგორც ზურაბ მელიქიშვილმა განაცხადა, სტიქიით დაზარალებულ ამ რეგიონს საჭირო დახმარებას საქართველოს ხელისუფლება გაუწევს.

ჯერჯერობით, ცხინვალის ხელისუფლებას ოფიციალური თბილისისთვის თავისი ინიციატივის შესახებ არ შეუტყობინებია. არც ის არის ცნობილი, კოკოითის ე. წ. ჰუმანიტარულ ტვირთს სვანეთში ერგნეთის გავლით ჩაიტანენ თუ კვაისი-საჩხერის გავლით.

*მედია-ნიუსი*

# მსოფლიოს უმსხვილესი კომპანიები

*რამდენიმე დღის წინ ამერიკის საქმიანი წრეების ჟურნალმა "Business Week"-მა მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაციების ათასეული გამოაქვეყნა.*

დიანა ჩაჩუა

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლამდე, "Business Week"-ის რეიტინგში განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები არ შედიოდნენ. თუმცა, ამ ჯგუფის ქვეყნების მზარდმა ეკონომიკურმა ტემპმა აიძულა ფართო მასები, მათზე ილაპარაკონ. მეტიც, აღმოჩნდა, რომ სამი გიგანტი - რუსული "გაზპრომი", სამხრეთ კორეის "სამსუნგი" და ჩინური "ჩაინა მობაილი" მსოფლიოს წამყვანი კორპორაციების პირველ ასეულში არიან.

რუსულ კომპანიებს 47-ე ადგილით "გაზპრომი" ლიდერობს. გაზეთი ადგილების განაწილებისას, პირველ რიგში, 2004 წლის 31 მაისისთვის კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის მოცულობას ითვალისწინებდა. "გაზპრომის" ღირებულება კი 70 მილიარდ 784 მილიონი დოლარით არის შეფასებული.

მსოფლიოს ყველაზე ძლიერ კომპანიად "Business Week"-მა კვლავ, 383 მილიარდ დოლარად შეფასებული " General Electric" დაასახელა. სულ, ამ სიაში 423 ამერიკული კორპორაცია აღმოჩნდა, ხოლო სიის პირველ ათეულში რვა ამერიკული კომპანია მოხვდა. სხვა ქვეყნებიდან მხოლოდ ორმა - BP-მ და Royal Dutch Shell-მა მოახერხა ათეულში შეღწევა.

ჟურნალის ინფორმაციით, ერაყის ომის მიუხედავად, ინვესტორებმა გასულ წელს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა დაიწყეს და კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში სულ უფრო მეტი სახსრების ჩადებას მიჰყვეს ხელი. ამის დახმარებით კი, სიაში შემავალი კომპანიების რიცხვი 26 პროცენტით გაიზარდა.

## მოკლედ

### პრეზიდენტის რწმუნებულის მამაც დააწინაურეს

ეროვნული კომპანია "საქნავთობის" გენერალურ დირექტორად გურამ ვარშალომიძე აირჩიეს. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ ამ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა ოთხი ხმით ორის წინააღმდეგ დაამტკიცა. გურამ ვარშალომიძის ძირითადი კონკურენტები, რომლებიც კონკურსის ბოლო ტურში გავიდნენ, იყვნენ "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ვიცე-პრეზიდენტი ლევან ბარდაველიძე, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების სახელმწიფო მარეგულირებელი სააგენტოს ხელმძღვანელი გია ითონიშვილი და ქართულ-ევროპული სამართლებრივი და ეკონომიკური ცენტრის დირექტორი გოგი ძიძიგური. კონკურსში განცხადება 82-მა ადამიანმა შეიტანა. როგორც სააგენტო "მედია-ნიუსს" საქნავთობის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ სოსო ცისკარიშვილმა განუცხადა, გურამ ვარშალომიძის კანდიდატურა და მისი პროგრამა ყველაზე მისაღები აღმოჩნდა. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა "საქნავთობში" სხვადასხვა თანამდებობებზე, ბოლო წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვის ტექნიკისა და ტექნოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა. საქნავთობის გენდირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ვარშალომიძეს რეკომენდაციები მისცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ და საინჟინრო აკადემიამ. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს ახალი ხელმძღვანელი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ეყოლება. ამჟამად ამ ვაკანტურ თანამდებობაზე რამდენიმე, მათ შორის, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლის თეიმურაზ კოპალეიშვილის კანდიდატურა განიხილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია სახელმწიფო კანცელარიაში "ბპ აზერბაიჯანის" პრეზიდენტს დევიდ ვუდვორდს შეხვდა. როგორც ვუდვორდმა განაცხადა, მან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა მოინახულა და კმაყოფილი დარჩა. მისი თქმით, მშენებლობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და მის უსაფრთხოებას არაფერი ემუქრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საშემოდგომო სესიაზე მთავრობა პარლამენტში ბიუჯეტის გადახედვის მოთხოვნით შევა, არა სეკვესტრის, არამედ ხარჯვითი ნაწილის სოლიდური ციფრით გაზრდის მიზნით", - განუცხადა პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო მინისტრმა ჯამბულ ბაკურაძემ. როგორც სახელმწიფო მინისტრმა პრაიმ-ნიუსთან საუბარში აღნიშნა, ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ბიუჯეტის 500-მილიონიან ხარჯვით ნაწილს მთავრობა ვერ უზრუნველყოფდა. მისი ინფორმაციით, წელს, ივნისში, საბაჟო შემოსავლებმა 56 მილიონი ლარი შეადგინა. **პრაიმ-ნიუსი**

# ახალი კოდექსი ექსპორტს ვერ წაახალისებს

ეთერ მამულაშვილი

*ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, 2005 წელს ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 14.9 პროცენტამდე შემცირდება. ეს კი წლევანდელ მაჩვენებელზე, დაახლოებით, ორი პროცენტით ნაკლებია. იმავე სამინისტროს გათვლებით, მომავალ წელს ექსპორტის მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში 2-3 პროცენტით გაიზრდება. ამ ოპტიმისტურ ციფრებს ექსპერტები და ექსპორტიორი კომპანიები ეჭვის თვალით უყურებენ.*

მეტიც - ისინი ირწმუნებიან, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო კოდექსის ამ სახით დამტკიცების შემთხვევაში ქვეყნის სავაჭრო ბალანსი კიდევ უფრო გაუარესდება. ცნობისათვის: სტატისტიკის დეპარტამენტის უკანასკნელი მონაცემებით, წელს საქართველოს, ისევე როგორც გასულ წლებში, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა. 1 ივნისის მდგომარეობით, ქვეყნის სავაჭრო დეფიციტი 376 მილიონ ლარს ოდნავ აჭარბებს. ექსპორტი თითქმის სამჯერ ნაკლებია იმპორტზე, შესაბამისად, 608 მილიონი და 231 მილიონი.

**"ეს არ არის ის კოდექსი, რომელიც ქვეყანაში ექსპორტის განვითარებას შეუწყობს ხელს, იგი ექსპორტის მოცულობას მნიშვნელოვნად შეამცირებს,"** - აცხადებენ ექსპორტიორები. კოდექსის პროექტის მიმართ ძირითადი პრეტენზიები კი იმ საგადასახადო შეღავათებს უკავშირებდა, რის გაუქმებასაც მთავრობა აპირებს. უფრო კონკრეტულად: დღეს მოქმედი კოდექსით იმპორტირებული ნედლეული, ნახევარფაბრიკატი და ტარა-შესაფუთი მასალა, რომელიც განკუთვნილია საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად, დამატებითი ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლებულია.

**"შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთადერთი მნიშვნელოვანი შეღავათი, რომელიც ექსპორტიორებს გარკვეულწილად წაახალისებს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს შპს "ელექტროლიზური მანგანუმის ორჟანგის" (ემო) დირექტორმა ჯემალ შენგელიამ - **"ჩვენი პროდუქცია, რომელიც, ძირითადად, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება, მთლიანად ექსპორტზე გადის. ამ პროდუქციის საწარმოებლად საჭირო ნივთიერება - გოგირდმჟავა და შესაფუთი ტომრები საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს. თუკი დღეს ჩვენი კომპანია წელიწადში საშუალოდ მილიონ-მილიონნახევრის ღირებულების პროდუქციას ქმნის, ახალი კოდექსის ძალაში შესვლის შემთხვევაში, ბუნებრივია, ჩვენი წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდება".**

კიდევ ერთი ნაკლი, რაც ექსპერტების მტკიცებით, საგადასახადო კოდექსის პროექტს გააჩნია, ეს გადამხდელსა და სახელმწიფო ადმინისტრაციას შორის არათანასწორუფლებიანი დამოკიდებულებაა.

"საქართველოს ექსპორტიორთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამაზ აგლაძე ამბობს, რომ კოდექსის ამ პროექტში ამოღებულია პუნქტი, რომლითაც განსაზღვრული იყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გადამხდელისათვის დასაბრუნებელი თანხის დაგვიანებისათვის, რომლის პროცენტი ყოველ კვარტალში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სამთავრობო სესხისათვის დადგენილ განაკვეთს უთანაბრდება. **"საგადასახადო კოდექსის ახალ პროექტში აუცილებლად უნდა ჩაიდოს პუნქტი, სადაც განსაზღვრული იქნება, რომ სახელმწიფოს გადამხდელის მსგავსად დაერიცხოს საურავი დღიური 0.07 პროცენტის ოდენობით, თუკი იგი მეწარმეს თანხას დროულად არ დაუბრუნებს".**

კოდექსის ეს მუხლი ყველაზე მეტად ექსპორტიორებს აზარალებს, რადგან მათ, დღეს მოქმედი და ახალი კოდექსის პროექტითაც საექსპორტოდ წარმოებულ პროდუქციაზე გადახდილი დღგ უკან უბრუნდებათ.

ექსპორტიორთა ასოციაციის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ თუ სახელმწიფო ექსპორტის მხარდაჭერის პოლიტიკას გაატარებს, უახლოეს სამოთხ წელიწადში საქართველოს ამჟამინდელი უარყოფითი სავაჭრო სალდო ნულს გაუტოლდება. ცოტა უფრო შორეულ პერსპექტივაში ადვილი შესაძლებელია ქვეყანას, დეფიციტის ნაცვლად, სავაჭრო პროფიციტიც გაუჩნდეს (როცა ექსპორტი იმპორტს აჭარბებს). ექსპორტის მხარდაჭერის პოლიტიკა კი, თამაზ აგლაძის თქმით, საგადასახადო კოდექსის გარდა, სპეციალურ სახელმწიფო პროგრამებსაც გულისხმობს.

# "დაიმლერკრაისლერის" თანამშრომელთა გაფიცვა გერმანიის ეკონომიკას საფრთხეს უქადის

თორნიკე შარაშენიძე

გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის, "დაიმლერკრაისლერის" გარშემო შექმნილ რთულ ვითარებას გასულ დღეებში თვით ქვეყნის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი გამოეხმაურა. "ფაინენშალ ტაიმსისათვის" მიცემულ ინტერვიუში შრიოდერმა შეშფოთება გამოთქვა კომპანიის მუშაკების მიერ გამოცხადებული გაფიცვის გამო და მხარეებს ("დაიმლერკრაისლერის" ხელმძღვანელობასა და პროფკავშირებს) კომპრომისისაკენ მოუწოდა.

ვითარება გაამწვავა "დაიმლერკრაისლერის" მიერ ანტიკრიზისული გეგმის გამოქვეყნებამ. ავტოგიგანტი აპირებს 500 მილიონი ევროთი შეამციროს ხარჯები და თუკი კომპანიის მუშაკები ამაზე არ დათანხმდებიან, მაშინ 6 ათასი სამუშაო ადგილი გერმანიიდან სამხრეთ აფრიკაში იქნება გადატანილი (სადაც, ცხადია მუშახელი უფრო იაფია).

ამ წინადადებამ პროფკავშირების აღშფოთება გამოიწვია. მათ არანაირად არ აწყობთ ხარჯების 500 მილიონით შემცირების გეგმა, რადგან მისი მიღების შემთხვევაში კომპანიაში დასაქმებულებს მეტი მუშაობა მოუწევთ. გარდა ამისა, მცირდება პრემიები, უქმდება დამატებითი სამუშაო საათების ანაზღაურება და ა.შ. შედეგად, პროფკავშირებმა გაფიცვა გამოაცხადა და ხუთშაბათს პროტესტის ნიშნად სამუშაო "დაიმლერკრაისილერის" 60 ათასმა თანამშრომელმა მიატოვა (სულ გერმანიაში "დაიმლერკრაისლერში" დასაქმებულთა რიცხვი 160 ათასს შეადგენს).

შრიოდერმა პროფკავშირებს მეტი თავშეკავებულობისაკენ მოუწოდა, რადგან, მისი თქმით, მსგავსი გაფიცვები სერიოზულ ზარალს აყენებს გერმანიის ეკონომიკას.

გერმანიაში არსებული ეკონომიკური პრობლემები საიდუმლოს აღარავისათვის წარმოადგენს და მათ უპირველეს მიზეზად სპეციალისტები სწორედ შრიოდერსა და მის ზედმეტად მემარცხენეულ ეკონომიკურ პოლიტიკას ასახელებენ. შედეგად, ახლა უკვე რამდენიმე გერმანული კომპანია (განსაკუთრებით კი ავტოწარმოებაში დასაქმებულნი) ფიქრობს 40 სამუშაო საათიან კვირაზე გადასვლას (რასაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გერმანიაში ჰქონდა ადგილი) დამატებითი ანაზღაურების გარეშე. რა საპროტესტო ტალღები აგორდება, როცა ყველა კომპანია თავისი გეგმების შესახებ ღიად განაცხადებს, ძნელი წარმოსადგენი არა არის. შრიოდერს ალბათ სწორედ ეს აშფოთებს და სურს, რომ "დაიმლერკრაისლერის" პრეცედენტი შორს არ წავიდეს.

შრიოდერმა კომპანიებს მოუწოდა დამატებითი სამუშაო საათებისათვის ანაზღაურების საკითხი თანამშრომლებთან ინდივიდუალური მოლაპარაკებების გზით მოაგვარონ. მაგრამ საეჭვოა ეს გამოსავალი იყოს.

"დაიმლერკრაისლერი" დიდი ხანია განიცდის პრობლემებს. მისი მოგებები მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 19 პროცენტით დაეცა. ეს მოვლენა საკმარისი გახდა იმისათვის, რათა "სტანდარდ ენდ პუერის" სარეიტინგო სააგენტოს კომპანია ერთი საფეხურით ჩამოექვეითებინა. "დაიმლერკრაისლერმა" ბიბიბიპლუსიდან ბიბიბის კატეგორიაში ამოჰყო თავი. კომპანიის ხელმძღვანელობამ ამას "იმედგამაცრუებელი' გადაწყვეტილება უწოდა და განაცხადა. "დაიმლერკრაისლერის"თავკაცთა "იმედგაცრუება" ძირითადად იმან განაპირობა, რომ რეიტინგში ჩამოქვეითების მიზეზად ავტოგიგანტის ამერიკული შტოს, "კრაისლერის" წარუმატებლობა და ჩრდილო ამერიკის ბაზარზე უკიდურესად გაზრდილი კონკურენცია იქცა, რომელსაც "დაიმლერკრაისლერი" პრაქტიკულად ვერ უძლებს.

"სტანდარდ ენდ პუარზის" ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილება ბევრმა ანალიტიკოსმაც გააკრიტიკა. მათი თქმით, "დაიმლერკრაისლერის" აქტივები დივერსიფიცირებულია და აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ რეგიონში პრობლემები კომპანიას სერიოზულ პრობლემებს ვერ შეუქმნის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი რეგიონები არც ისე ცოტაა. ჩრდილო ამერიკა უკვე ვახსენეთ. ამას ემატება იაპონიაც, სადაც "დაიმლერკრაისლერს" ასევე არა აქვს კარგად საქმე მას შემდეგ რაც "მიცუბიში მოტორზის" 37 პროცენტი შეისყიდა. საერთოდ, ზოგიერთი სპეციალისტი უკვე შეცდომად მიიჩნევს 1998 წელს "დაიმლერ-ბენცისა" და "კრაისლერის" შერწყმას. ჯერ კიდევ ორი წლის წინ "კრაისლერის" არნახულმა წაგებებმა ავტოგიგანტი ლამის გაყიდვის საშიშროების წინაშე დააყენა. ასახელებდნენ შესაძლო მყიდველსაც - იაპონურ "ტოიოტას."

გაყიდული ავტომანქანების რიცხვის მოხედვით "დაიმლერკრაისლერი" მეხუთე ადგილზე იმყოფება მსოფლიოში "ჯენერალ მოტორზის," "ფორდის," "ტოიოტასა" და "ფოლკსვაგენის" შემდეგ. თუმცა, მოგებათა მიხედვით იგი მეორეა.



# თუ მშვიდობა გინდა, ემზადე ომისთვის

## მსოფლიოში გამალებული შეიარაღების ხანა ბრუნდება

ნიკა თარაშვილი

*ცივი ომი, თავისი გამალებული შეიარაღებით, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. მესამე მსოფლიო ომის დაწყების საშიშროების თავიდან აცილების შემდეგ, თითქოსდა, მსოფლიოს უნდა დაესვენა და იარაღის წარმოებაზე უზარმაზარი რესურსების ხარჯვა შეეწყვიტა. მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, როდესაც ჯერ კიდევ ძალის პოლიტიკის პრინციპები ინარჩუნებს გადამწყვეტ მნიშვნელობას, საღი აზრი არავის ახსოვს. თუმცა, ექსპერტები საღი აზრის ნაკლებობაზე კი არა, უბრალოდ, საერთაშორისო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, სხვა არჩევანის არარსებობაზე მიუთითებენ. იმ დროს, როდესაც შენს გარშემო ძლიერდებიან, გულხელდაკრეფილ ჯდომას ვერც შენ შეძლებ. მსოფლიო უსაფრთხოების დილემის წინაშე დგას. ყველა ცდილობს, გაძლიერდეს და ამისათვის სამხედრო სფეროს დაფინანსებას ზრდის. და მაინც, თავს უსაფრთხოდ ვერავინ გრძნობს. სამხედრო ხარჯები ზრდას განაგრძობს და, რაც მთავარია, წლიდან წლამდე სულ უფრო სწრაფი ტემპებით.*



*პენტაგონის წლიური ბიუჯეტი მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობის მთლიან ბიუჯეტს აღემატება.*

გასულ თვეში სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტმა (SIPRI) გამოაქვეყნა მოხსენება, სადაც აღნიშნულია, რომ 2003 წელს სამხედრო ბიუჯეტი მთელი მსოფლიოს მასშტაბით 11 პროცენტით გაიზარდა და თითქმის 1 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ასეთი რამ თვით ცივი ომის ხანაშიც (1945-1991 წწ.) წარმოუდგენელი იყო. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა ექსპერტი ასეთი ზრდის ინიციატორად აშშ-ს მიიჩნევს.

ბუნებრივია, აშშ-ს ჰეგემონის სტატუსი ავალდებულებს, სამხედრო სფეროს დაფინანსებაზე ყველაზე დიდი ხარჯები გაწიოს, მაგრამ საერთო ოდენობის 47 პროცენტი მსოფლიო ჰეგემონისთვისაც კი დიდი მაჩვენებელია. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ აშშ-მ გამოიწვია გასულ წელს სამხედრო ხარჯების დონის ზრდა და, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა - ერაყის ომის გამო. წინასწარი პროგნოზების თანახმად, ანტიტერორისტული ოპერაცია რომ არა, სამხედრო ხარჯების ზრდის მაჩვენებელი მხოლოდ 4 პროცენტი იქნებოდა, ნაცვლად დაფიქსირებული 11 პროცენტისა. ეს შვიდპროცენტიანი განსხვავება კი რამდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს აღწევს.

ეს მოვლენა რომ შემთხვევითი სულაც არ ყოფილა და სარეკორდო მაჩვენებელს არ წარმოადგენს, ისიც ადასტურებს, რომ ახლახან აშშ-ს სენატმა აშშ-ს ახალი სამხედრო ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელიც 447 მლრდ დოლარს შეადგენს, ანუ კიდევ უფრო აღემატება 2003 წლის მაჩვენებელს. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ახალ ბიუჯეტში გათვალისწინებულია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამისა და სახმელეთო ჯარის კონტინგენტის 20 ათასით გაზრდა. სიპრი-ს პროგნოზით, აშშ-ს სამხედრო ბიუჯეტი 5 წლის შემდეგ 487 მლრდ დოლარს მიაღწევს, თუმცა, შემდგომში, შესაძლოა, შემცირება დაიწყოს. და არა იმიტომ, რომ მილიტარისტული ტენდენცია მოიკლებს, არამედ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ს ბიუჯეტი, გაზრდილი დეფიციტის გამო, ასეთ ხარჯებს ვერ გაუძლებს.

ყველა დანარჩენი სახელმწიფო აშშ-ს ბევრად ჩამორჩება. 25 ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი, ერთად აღებული, ჯამში ვერ უტოლდება ამერიკისას. იაპონიის წილად მოდის საერთო მაჩვენებლის 5 პროცენტი, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის – 4-4 პროცენტი, რუსეთის, დაახლოებით – 2,5 პროცენტი.

კიდევ ერთი ფაქტია ღირსშესანიშნავი – 2003 წელს მხოლოდ 19 შეიარაღებული კონფლიქტი დაფიქსირდა და ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 1991 წლის შემდეგ (ამაზე მცირე მხოლოდ ერთხელ - 1997 წელს დაფიქსირდა). საინტერესოა, რატომ მოხდა სამხედრო დანახარჯების ასეთი რეკორდული ზრდა? ზოგი მიმომხილველი ამ კითხვის პასუხს იმაში ხედავს, რომ გასული წლის მანძილზე "სამშვიდობო ოპერაციების" რეკორდული მაჩვენებელი – 14 დაფიქსირდა, მათ კი თავისუფლად შეიძლება, შეიარაღებული კონფლიქტის ახალი ტიპი ეწოდოს.

ნიშანდობლივია, რომ გამალებულ შეიარაღებაში მონაწილეობას ვერ გაექცნენ არცთუ ისე მდიდარი აღმოსავლეთის ქვეყნებიც. ჩინეთს არ სურს, განვითარებულ ქვეყნებს ჩამორჩეს და სამხედრო სფეროს დაფინანსებას თავადაც ზრდის (რათა მომავალი ზესახელმწიფოს სტატუსი გაამართლოს). ჩინეთს არც მეზობელი, შედარებით პატარა ქვეყნები ჩამორჩებიან. მაგალითად, სამხრეთ კორეამ მიმდინარე წელს სამხედრო ბიუჯეტის 13 პროცენტით გაზრდის შესახებ გააკეთა განცხადება. ეტყობა, მეზობლისგან გადაედო. მოკლედ, ყველგან შეიარაღების გაზრდაზე საუბრობენ. თუმცა, ერთი გამონაკლისი მაინც არის – ერთადერთი, ვინც, შესაძლოა, არ გაზარდოს სამხედრო სფეროს დაფინანსება, დიდი ბრიტანეთია. პირიქით, გავრცელდა ხმები, რომ ლონდონი სამხედრო ბიუჯეტის 1,5 მლრდ ფუნტი სტერლინგით შემცირებასაც კი გეგმავს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ბრიტანეთის სამხედრო უწყებამ მსგავსი ხმები მაშინვე უარყო.

პაციფისტებმა უკვე გააკეთეს მკაცრი განცხადებები ასეთი, ერთი შეხედვით, უაზრო დანახარჯების გამო. მიახლოებითი დათვლით, მსოფლიოში სამხედრო მიზნებზე ყოველდღიურად 2,2 მლრდ დოლარი იხარჯება. ნუთუ ასეთი გაუგონარი თანხების ხარჯვა ბუნების კანონებს არ ეწინააღმდეგება? შესაძლოა, ეწინააღმდეგება კიდეც, მაგრამ... ბევრს დაავიწყდა, რომ ომი ერთ-ერთი ყველაზე სარფიანი ბიზნესია. მკვლევართა ნაწილი ასაბუთებს, რომ აშშ-ს ეკონომიკის ამჟამინდელი აღმავლობა ერაყში ომის გაჩაღებასთან ერთგვარ კავშირშია. ეს დაკვირვება აღმოჩენა სულაც არ არის – არაერთი ისტორიული ფაქტი ადასტურებს, რომ წარმატებული ომის შედეგად, ეკონომიკა აღმავლობას განიცდის. ასევე, დიდი ხნის წინ არის დადგენილი, რომ მე-20 საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, დიდწილად, სამხედრო მრეწველობის განვითარების აუცილებლობასთან იყო დაკავშირებული. გამოდის, რომ თანამედროვე ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია სიკვდილ-სიცოცხლის თამაშთან.

კაცობრიობას ერთი რამელა რჩება იმედად - საღი აზრი ოდესმე მაინც გაიმარჯვებს და ადამიანთა მიერ დახარჯული რესურსები, საბოლოო ჯამში, თავისივე მსგავსთა განადგურებას არ მოხმარდება.

# ესპანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცხადება სკანდალის მიზეზი ხდება

კოლუმბიის რადიო-სადგურ "კარაკოლთან" ინტერვიუში ესპანეთის ხელისუფლების ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ხოსე მარიო ასნარის მიერ გაკეთებული განცხადება პოლიტიკურ და არა მარტო პოლიტიკურ წრეებში აჟიოტაჟის გამომწვევი მიზეზი ხდება. აღნიშნული განცხადება 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ ესპანეთის ეროვნული სადაზვერვო ცენტრის საიდუმლო დოკუმენტაციას ეხება, რომელსაც ასნარი საკუთარ სახლში ინახავდა.

სკანდალის პარალელურად, კრიტიკამაც არ დაახანა და ექსპრემიერს ბრალი სერიოზულ კანონდარღვევაში დასდეს. კანონდარღვევად კი ის ფაქტი მიიჩნევა, როცა კერძო პირი საიდუმლო დოკუმენტაციას საცხოვრებელ ბინაში ინახავს. კრიტიკოსები ყოფილი პრემიერ-მინისტრისგან პარლამენტის წინაშე თავის მართლებას მოითხოვენ. თავად ყოფილი პრემიერ-მინისტრი ყველაფერს უარყოფს და აცხადებს, რომ სახლში არავითარ დოკუმენტაციას არ ინახავს, რადგან იგი უკვე ცენტრში დაბრუნებული აქვს.

ასნარის მოქმედებას გმობს ესპანეთის მმართველი სოციალისტური პარტიის მდივანიც ხოსე ბლანკო. მისი განცხადებით, ასნარმა ხელი შეუწყო იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაჟონვას, რომელიც საპარლამენტო კომისიის წევრების წინაშე მკაცრად გასაიდუმლოებული პირობებით იყო წარდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ესპანეთის ეროვნული სადაზვერვო ცენტრის საიდუმლო მასალების ის ნაწილი გამოქვეყნდა, რომელიც ხელს სწორედ ასნარის მომხრე კონსერვატორებს აძლევდა.

ახალი პრემიერ-მინისტრი კი წინამორბედის ქცევის შეფასებისაგან თავს იკავებს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ "კონსერვატორებისთვის 14 მარტის არჩევნებში დამარცხების გადატანა რთული იყო და საჭიროა მათი დახმარება".

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**ირანი-სომხეთი.** ირანსა და სომხეთს შორის გაზსადენის თაობაზე დადებული ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად, გაზის მიწოდება 30 პროცენტით გაიზრდება, რაც კონტრაქტით გათვალისწინებულ 20-წლიან ვადაში 36 მლრდ კუბური მეტრიდან 47 მლრდ კუბურ მეტრამდე გაზრდას გულისხმობს. სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის არმენ მოვსისიანის განცხადებით, ზემოხსენებული გაზსადენით თავიდან მხოლოდ 1.1 მლრდ კუბური მეტრი გაზის გადაზიდვა განხორციელდება, კონტრაქტის ბოლოსთვის კი მისმა მოცულობამ უკვე 2.3 მლრდ-ს უნდა მიაღწიოს. მან იქვე აღნიშნა, რომ 20-წლიანი კონტრაქტი შეიძლება კიდევ 5 წლით გაგრძელდეს. სომხეთმა და ირანმა ამ შეთანხმებას ხელი 13 მაისს მოაწერეს. გაზსადენის სიგრძე 141 კმ-ია, აქედან 41 კმ სომხეთის ტერიტორიაა, ხოლო 100 კმ - ირანის. გაზსადენის მთლიანი ღირებულება 210-220 მლნ აშშ დოლარია. გაზის მიწოდება სომხეთში 2007 წლის იანვრიდან დაიწყება, რომელსაც იგი ელექტროენერგიის საწარმოებლად გამოიყენებს და ექსპორტის სახით ირანში გაიტანს. **ინტერფაქსი**

■ ■ ■

**ირანი.** ირანული ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, მათ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი "ალ ქაიდასთან" დაკავშირებული ყველა ჯგუფის აღმოჩენა და განადგურება შეძლეს. თუმცა, ირანული დაზვერვის ხელმძღვანელის, ალი იუნესის მიერ გაკეთებულ განცხადებაში არაფერი იყო ნათქვამი ოპერაციის დეტალებსა და დაკავებულ პირთა რაოდენობაზე. ირანმა მის ტერიტორიაზე "ალ ქაიდას" დაჯგუფებების არსებობა უკვე არაერთხელ უარყო. მიუხედავად ამისა, ვარაუდობენ, რომ ირანის ციხეებში იმყოფებიან "ალ ქაიდას" პრეს-ატაშე სულეიმან აბუ გაითი და ოსამა ბინ ლადენის ვაჟი, საად ბინ ლადენი. ასევე არ გამორიცხავენ, რომ ირანში იმყოფებოდეს "ალ ქაიდას" უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი საიფ ალ ადელი, რომელიც ნომერი მესამე ტერორისტია. მას ბრალად 11 სექტემბრის ტერაქტში მონაწილე ტერორისტების გაწვრთნა ედება. **ბი ბი სი**

■ ■ ■

**სერბეთი.** საბერძნეთის პოლიციამ სერბეთის პრემიერ-მინისტრის ზორან ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კიდევ ერთი პირი დააკავა. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის განცხადებით, საბერძნეთის ხელისუფლება სერბეთის მხრიდან დაკავებული დეან მილენკოვიჩის ექსტრადიციის მოთხოვნას ელოდება. ჯინჯიჩი 2003 წლის 12 მარტს ბელგრადში სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა. სერბეთის პროკურატურა ვარაუდობს, რომ მილენკოვიჩი კარგად ცნობილი "ზემუნის დაჯგუფების" წევრი იყო. სწორედ ეს დაჯგუფებაა ეჭვმიტანილი ჯინჯიჩის მკვლელობაში. როგორც სერბეთის ხელისუფლება ვარაუდობს, ჯინჯიჩის მკვლელობა იმ შეთქმულების ნაწილი იყო, რომელიც მთლიანად ქვეყნის ხელისუფლების ჩამოგდებას ისახავდა მიზნად. ხელისუფლებისა, რომელიც ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალთან თანამშრომლობდა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქონდა განზრახული.

ამჟამად გისოსებს მიღმა 13 ეჭვმიტანილიდან 5 იმყოფება, მათ შორისაა ზვეზდან იოვანოვიჩი (სერბეთის პოლიციის ელიტური ქვეგანყოფილების ხელმძღვანელის ყოფილი მოადგილე), რომელიც სწორედ ჯინჯიჩის მკვლელ სნაიპერად მიიჩნევა. **ბი ბი სი**

■ ■ ■

**პაკისტანი.** პაკისტანმა შორი რადიუსის მოქმედების ბალისტიკური რაკეტის წარმოების ტექნოლოგია ჩრდილოეთ კორეისგან ფხენიანში იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის ბენაზირ ბჰუტოს ვიზიტის შემდეგ მიიღო. ამის შესახებ ექსპრემიერმა გაზეთ "ასაჰისთან" ინტერვიუში განაცხადა. მან უარყო ვარაუდი, თითქოს ზემოხსენებული სამსახურის სანაცვლოდ, პაკისტანს ჩრდილოეთ კორეისთვის ბირთვული იარაღის წარმოების ტექნოლოგია გაეზიარებინოს.

ბჰუტოს განცხადებით, "1993 წლის ვიზიტის შემდეგ შორი რადიუსის ბალისტიკური რაკეტის ტექნოლოგია ჩვენ შევისყიდეთ და ბირთვულ ტექნოლოგიაში არ გაგვიცვლია".

ექსპერტები აცხადებენ, რომ პაკისტანური "ღაურის" ტიპის რაკეტა ჩრდილო-კორეული "ნოდონის" ტიპის რაკეტის ზუსტი ასლია.

მიმდინარე წლის თებერვალში პაკისტანის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ბირთვული იარაღის წარმოების ექსპერტმა აბდულ კადირ ხანმა პირადად მიჰყიდა წარმოების საიდუმლო ჩრდილოეთ კორეას, ირანსა და ლიბიას. თუმცა, ამ დანაშაულის მიუხედავად, პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა აბდულ კადირ ხანი მაინც შეიწყალა. **ნიუს.რუ**

# ასლან მასხადოვი: ომი რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელდება

*ჩეჩენ ამბოხებულთა ლიდერი, გასაგები მიზეზების გამო, ინტერვიუებს იშვიათად იძლევა. თუმცა, საინფორმაციო სააგენტო "როიტერმა" მასთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაკავშირება გასულ უქმეებზე მაინც მოახერხა. ამბოხებული იჩქერიის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა "როიტერს" განუცხადა, რომ მის მებრძოლებს ყველა უფლება აქვთ, აწარმოონ სრულმასშტაბიანი ომი მოსკოვის წინააღმდეგ და მისი აზრით, იგი რუსეთის დანარჩენ ტერიტორიაზეც გავრცელდება.*

ასლან მასხადოვს დიდი იმედი აქვს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების აუცილებლობაში ვლადიმირ პუტინის დარწმუნებას შეძლებენ. მიუხედავად ამისა, ლონდონში არსებულ მის წარმომადგენლობაში მყოფ ჟურნალისტებთან ინტერნეტის საშუალებით მოსაუბრე მასხადოვი ამასთან დაკავშირებით ნაკლებად ოპტიმისტური იყო. მისი აზრით, ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. **"მოლაპარაკებები ჩეჩნებისათვის თვითმიზანი სულაც არ არის. ჩვენ მას ბრძოლის დასრულების ერთ-ერთ გზად აღვიქვამთ. რაც არ უნდა სამწუხაროდ ჟღერდეს, ვფიქრობ, რუსეთ-ჩეჩნეთის მიმდინარე ომი პუტინის სიცოცხლეზე მეტხანს გასტანს,"** - წერს მასხადოვი. ჩეჩენი ლიდერის განცხადებით, რუსეთის გეგმა, ხელმეორედ ჩაატაროს საპრეზიდენტო არჩევნები ჩეჩნეთში, მხოლოდ "ფარსია", რომელიც კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას კიდევ უფრო გაართულებს. შეგახსენებთ, ჩეჩნეთის პრორუსული პრეზიდენტი ახმად კადიროვი ტერაქტის შედეგად მაისში დაიღუპა. **"ნებისმიერი, ოკუპანტების მიერ დასახელებული პირი მოღალატედ შეირაცხება. მოღალატეებს ერთი ბედი აქვთ, რომელსაც არც ერთი ნორმალური ადამიანი არ აირჩევს,"** - ამბობს მასხადოვი.

ყოფილი საბჭოთა არმიის საარტილერიო ძალების პოლკოვნიკი ასლან მასხადოვი ამბოხებულთა შეიარაღებულ ძალებს პირველი ჩეჩნური ომის დროიდან ხელმძღვანელობს. 1997 წლიდან იგი ჩეჩნებმა პრეზიდენტად აირჩიეს, სხვათა შორის, მაშინ რუსებსაც არ გამოუთქვამთ პრეტენზია მის არჩევასთან დაკავშირებით, მაგრამ ორი წლის შემდეგ, როდესაც მეორე ჩეჩნური ომი, ან როგორც რუსები უწოდებენ - ანტიტერორისტული ოპერაცია - დაიწყო, იგი რუსებმა ნომერ პირველ ტერორისტად შერაცხეს და, შესაბამისად, მასხადოვიც რუსული სახელმწიფოს დაუძინებელი მტერი გახდა.

იჩქერიის პრეზიდენტმა უარყო რაიმე სახის მონაწილეობა გასულ თვეში ინგუშეთის ტერიტორიაზე განხორციელებულ თავდასხმაში, რომლის დროსაც 100-მდე ადამიანი დაიღუპა. იგი ამბობს, რომ ეს აქტი ადგილობრივი ნაციონალისტების ნამოქმედარია, თუმცა მებრძოლთა შემადგენლობაში რამდენიმე ჩეჩენიც ერია.

ამასთანავე, მასხადოვი მსგავსი ოპერაციების რუსეთის დანარჩენ ტერიტორიაზე გავრცელებასაც არ გამორიცხავს. მასხადოვის პოზიცია მნიშვნელოვნად შეცვლილი ჩანს - თუ ადრე იგი აკრიტიკებდა ჩეჩნეთის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ თავდასხმებს, ახლა მას ეს ქმედება მისაღებ ტაქტიკად მიაჩნია. **"რაც შეეხება რუსეთის ტერიტორიაზე მებრძოლ ჩეჩნებს, ჩემი პოზიცია ასეთია: ეს აბსოლუტურად ლეგიტიმურია – ნებისმიერ შემთხვევაში, იმაზე ნაკლებად ლეგიტიმური არაა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეთა მიერ ჰიტლერული გერმანიის ტერიტორიაზე ბრძოლის გადატანა იყო,"** - წერს იგი, - **ჩეჩნებს საბრძოლო თვითმფრინავები და რაკეტები რომ ჰქონდეთ, რუსული ქალაქების დაბომბვაც ლეგიტიმური იქნებოდა"**.

2001 წელს მოსკოვის აეროპორტში მასხადოვის წარმომადგენელთან შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, რუსეთი ამბოხებულთა ლიდერთან მოლაპარაკებების გამართვაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.



*მასხადოვის აზრით, რუსეთ-ჩეჩნეთის ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება.*

თავიდანვე, 1999 წელს დაწყებული მეორე ჩეჩნური კამპანია კრემლმა მსოფლიო მასშტაბით წარმოებული ანტიტერორისტული ოპერაციის ნაწილად გამოაცხადა. ეს მას ვაშინგტონსა და დასავლეთის სახელმწიფოების დედაქალაქებიდან მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის შესუსტებაში დაეხმარა, თუმცა, მოსკოვს დღესაც მოუწოდებენ, მოლაპარაკებები აწარმოოს მასხადოვთან, როგორც ამბოხებულთა ყველაზე ზომიერ წარმომადგენელთან.

მასხადოვი კატეგორიულად უარყოფს ტერორისტებთან კავშირს და, პირიქით, რუსეთისკენ იშვერს ხელს. **"მე ადრეც მითქვამს და კიდევ ერთხელ ვაცხადებ - ჩეჩენი ხალხი აწარმოებს ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმთან, რომელსაც რუსეთი ხელმძღვანელობს,** - ამბობს იგი, - **ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, თავისუფალმა მასმედიამ იცის და საქვეყნოდაც აცხადებს ამას: ის, რაც დღეს ჩეჩნეთში ხდება, ეთნიკურ ნიადაგზე სამოქალაქო მოსახლეობის წინასწარ განზრახული გენოციდია. მიუხედავად ამისა, დასავლეთის წამყვანი ქვეყნების ლიდერები გაუაზრებლად იმეორებენ კრემლის ტყუილს ავღანეთსა და ერაყში მებრძოლი ათასობით ჩეჩენის შესახებ. არ ვიცი, შესაძლოა ზოგიერთი "ალ ქაიდას" წარმომადგენელი ჩამოვიდა კიდეც ჩეჩნეთში, თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რას ეძებდნენ ისინი აქ. ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძვით და მსოფლიო დომინანტობის ამბიცია არ გვაქვს. აშშ ჩვენთვის არც მტერია და არც დაპირისპირებული ძალა,"** - აცხადებს მასხადოვი.

ამბოხებულთა ლიდერი ამტკიცებს, რომ იგი ახერხებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადაადგილებას და თავის საველე მეთაურებს სრულად აკონტროლებს. რაც შეეხება შამილ ბასაევს, რომელსაც რუსები თითქმის ყველა მასშტაბური ტერაქტის ორგანიზატორად მიიჩნევენ, მასხადოვი ხაზს უსვამს, რომ ამჟამად იგი იჩქერიის ოფიციალური სტრუქტურების დაქვემდებარებაში არ შედის.

დაბოლოს, ადამიანი, რომელიც დღეს ბევრისთვის იჩქერიის ლეგიტიმური პრეზიდენტია, ხოლო ბევრისთვის - ტერორისტთა ლიდერი, მხოლოდ იმაზე წუხს, რომ ჩეჩნებმა საინფორმაციო ომის მოგება ვერ შეძლეს. ამის მიზეზად კი მასხადოვი იმას ასახელებს, რომ დასავლეთის ლიდერები საკუთარი ფობიების ტყვეობაში მოექცნენ. მათ დაიჯერეს (ან თავი მოაჩვენეს, რომ სჯერათ) ჩეჩნების ტერორიზმთან გაიგივება. ამის გამოა, რომ ჩეჩენი ერის განადგურებისთვის რუსეთზე ზეწოლა ისეთი მძაფრი აღარ არის.

*24 საათი*


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**20 ივლისს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

ალმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), საარბრიუკენის მოედანის, არსენალის მთის, აჭარის, გურგენიძის, მარუაშვილის, მეუნარგიას, ქურდიანის, სამშვილდის, სანავარდოს, სარკინეთის, ხუდადოვის, ზაზიშვილის(ნაწილობრივ), აბაშის, არგვეთის, გივიშვილის, მანგლისის, მიხეილ მესხის, ღუდუშაურის, სამშვილდის, სამურზაყანოს, სენაკის, სტურუას, ტაშირის, დიმიტრი უზნაძის(ნაწილობრივ), ჭალადიდის, კელაპტრიშვილის, ადიგენის, არაგვისპირელის, ახუთის, პეტრე ბაგრატიონის დავითაშვილის, დიღომბარის, გრანელის, გუმათის, ჯაბაურის, მნათობის, ლამის, სააკაძის, სალიას, სიღნაღის, თამარაშენის, ძეგამის, დოდო აბაშიძის, არაგვისპირელის, ახალციხის, ბენაშვილის, ასხინის, ცაიშის, ჩეჩელაშვილის, ჩერნიშევსკის, ჩერქეზიშვილის, ჩიქობავას, ჩიტაიას, ფარავნის, გოცირიძის, გოგიბერიძის, გრანელის ივანე ჯავახიშვილის, კალანდარიშვილის, კანკავას, კიკვიძის, ლარეხის, ლებარდეს, ლენტეხის, მამარდაშვილის, მიჩურინის, მნათობის, ოსიაურის, პალიასტომის, ქინქლაძის, ქვალონის, როსტოვის, ართვინის, საქარის, თეთნულდის, უფლისციხის, ხონის, ყირიმის, სალხინოს ქუჩების მაცხოვრებლებს.

**20 ივლისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**

რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ბროსეს, ქუთათელაძის, თაბუკაშვილის, ლაღიძის, კვალის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# „თეთრმა ქალაქმა" „ჩანგი" დაჩრდილა

*მოვაჭრეთა და ქალაქის ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირება წერეთლის სახელობის გამზირის გარე ვაჭრობისგან გაწმენდის შემდეგაც გრძელდება. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა იმ 600 კვადრატული მეტრი ფართის გათავისუფლებასაც აპირებს, სადაც შპს "ჩანგია" განთავსებული. მოვაჭრეები კი გამგეობის გადაწყვეტილების უკან მილიონერ ბიზნესმენებს მოიაზრებენ.*

ნანა ქადაგიშვილი

**"რვა წელიწადია, ამ ბაზრობაზე ვვაჭრობთ. ხელშეკრულებაც გვაქვს გაფორმებული 1196 წლიდან 2004 წლის ბოლომდე. გადასახადებსაც ყოველთვიურად ვიხდით. როგორც ჩვენი დირექტორი როლანდ ესაკია ამბობს, შპს "ჩანგიდან" ბიუჯეტში თვეში 5000 ლარი შედის. მაშ, რაღა უნდათ ჩვენგან. თუ ჩვენი დირექტორი გვატყუებს და ფული ბიუჯეტში არ შეაქვს, რა ჩვენი გადასახადია. თუმცა, აქ სხვა რამეშია საქმე. შპს "კიდობნის" უკან უზარმაზარ სავაჭრო ცენტრს აშენებენ, "თეთრი ქალაქი" დაარქვეს. ამბობენ, - ამ ცენტრის უკან პატარკაციშვილი დგასო. ჰოდა, ჩვენც იმიტომ უნდა აგვყარონ, რომ ამ "თეთრ ქალაქს" მისასვლელი გზა გაუთავისუფლონ. დირექტორმაც ასე გვითხრა, - გამგებლის დავალებააო. ჩვენზე კი ამ ქვეყანაში არავინ ზრუნავს. ის მაინც გვითხრან, რა მიზეზით გვყრიან",** – ჩივიან მოვაჭრეები.

შპს "ჩანგის" დირექტორი კომენტარისთვის ვერ "გამოვიჭირეთ". როგორც მოვაჭრეებმა გვითხრეს, - იმალება, შეხვედრას თავს არიდებსო. სამაგიეროდ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი თემურ ჭეიშვილი არ დამალულა და შპს "ჩანგის" გადაადგილების მიზეზი უპრობლემოდ განგვიმარტა: **"ბაზრობის აღნიშნული ადგილი, ჩემი მოთხოვნით, თავისუფლდება, რადგან ეს შპს საერთო სარგებლობის გზაზეა განთავსებული. ბაზრობაზე, თითქმის, ყველაფერი მოწესრიგდა, მხოლოდ ეს გაუბედურებული ადგილიღა დარჩა და ესეც უნდა გავასუფთაოთ. ყველაფერი კეთილმოწყობილი უნდა იყოს. რაც შეეხება "თეთრ ქალაქს", ეს სავაჭრო ცენტრი მშვენიერი პროექტით შენდება და მასთან პატარკაციშვილი არაფერ შუაშია. უბრალოდ, მოვაჭრეებს აქედან წასვლა არ უნდათ და ჭორებს აყოლიან. მათ ალტერნატიულ ადგილს წერეთლის გამზირისა და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე ბაზრობაზე ვთავაზობთ".**

**"ბანკებიდან სესხი გვაქვს აღებული. ყოველდღე ვმუშაობთ, რომ ვალი დავფაროთ. აქედან რომ გადაგვიყვანონ, სანამ კლიენტს მოვიზიდავთ, დრო ხომ გაცდება, ვალები რითი გადავიხადოთ. დეკემბრამდე მაინც გაგვაჩერონ, სანამ ჩვენ ხელშეკრულებას ვადა გაუვა",** – ითხოვენ მოვაჭრეები. თუმცა, მათ ზურგს ვერც ხელშეკრულება უმაგრებს, რადგან ყველნაირი დოკუმენტი დირექტორთან ინახება. არ ვიცით, ეს ხელშეკრულება კიდევ არსებობს თუ არაო, - ჩივიან ისინი.

# ცრუ ზარი სამხატვრო აკადემიიდან

ნანა ქადაგიშვილი



იური ლობოდინის ფოტო

*აღშფოთებული მშობლები რექტორთან აპირებენ შესვლას.*

გუშინ სამხატვრო აკადემიის შენობასთან, აბიტურიენტების გარდა, ჟურნალისტების სიმრავლეც იგრძნობოდა. აჟიოტაჟი ტელეფონის ზარმა გამოიწვია. გრაფიკა-დიზაინის ფაკულტეტზე გამოცდები გაყალბდა და აბიტურიენტების აღშფოთებული მშობლები რექტორთან აპირებენ შესვლასო, - დარეკა ვიღაცამ პრესასა და ტელევიზიაში. თუმცა, აკადემიის შესასვლელთან მსგავსი არაფერი იგრძნობოდა. აღნიშნულ ფაკულტეტზე გამოცდის დასრულების შემდეგ აბიტურიენთა ნაწილმა სააპელაციო განცხადებები კი შეიტანა, მაგრამ ყველაფერი ნორმის ფარგლებში მიმდინარეობდა. გამოცდიდან დაბალი ქულებით გამოსული აბიტურიენტების მშობლები უკმაყოფილებას ჟურნალიტებთანაც არ გამოთქვამდნენ, არათუ რექტორთან აპროტესტებდნენ. თუმცა, რექტორის გია ბუღაძის კაბინეტიდან ხმამაღალი საუბარი მაინც ისმოდა. ბუღაძესთან არქიტექტურის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიის წევრები შეკრებილიყვნენ და ცხარედ კამათობდნენ. ამ ფაკულტეტზე მეორე საგამოცდო კომისია შეიქმნა, რადგან პირველი კომისიის შედეგები ყალბი აღმოჩნდა. "პირველი კომისიის წევრები სუფთა და პატიოსანი ადამიანები არიან, მაგრამ საგამოცდო სისტემაა ძირმომპალი. მომავალ წელს გამოცდებს ახალი ფორმატით ჩავატარებთ", – კამათის მიზეზი განმარტა ბუღაძემ. რაც შეეხება გუშინდელ სატელეფონო ზარს, მისი ავტორის ვინაობა ვერც ჟურნალისტებმა გაიგეს და ვერც აკადემიის ხელმძღვანელობამ. აზრზე არ ვარ, ვის უნდა დაერეკა. რაღაც მაქინაციებს აწყობენო, - განაცხადა სამხატვრო აკადემიის რექტორმა.

# ცხოვრება მშვენიერია!

*ამ რამდენიმე თვის წინათ პაულო კოელიოს "ალქიმიკოსი" რომ წავიკითხე, მწერლის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების სიაში აღმოვჩნდი და გადავწყვიტე, მის ყველა ნაწარმოებს გავცნობოდი (ეს სურვილი ნაწილობრივ ავისრულე, თუმცა ზოგიერთ მათგანს დღემდე დავეძებ!). შემდეგი აღმოჩნდა "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". წიგნმა პირველივე ფურცლიდან ჩამაფიქრა დღევანდელი (და არა მარტო დღევანდელი) მსოფლიოსთვის მეტისმეტად მტკივნეულ თემაზე - თვითმკვლელობაზე და იმ დღიდან კითხვების ტალღა დამატყდა თავს: რამ შეიძლება აიძულოს ადამიანი, ასეთი სასტიკი განაჩენი გამოუტანოს საკუთარ თავს; რა ემოციები ახლავს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ყოფნას?..*

ნინო ტიკარაძე

"დღეს მე სიკვდილს თვალებში ვუყურებ და ისეთი გრძნობა მაქვს, როგორც ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გამოჯანმრთელებულს, როგორც დიდი ხნის ტყვეობიდან გათავისუფლებულ ადამიანს, რომელიც მოუთმენლად ელოდება შინ დაბრუნებას"...- ეს არის ჩვ.წ-აღმდე 2100 წლით დათარიღებული, თვითმკვლელის პირველი წერილი, რომელიც ეგვიპტეში აღმოაჩინეს და კაცობრიობას შემორჩა, თუმცა ზუსტად არავინ იცის, მსოფლიოს რომელი ქვეყნის შვილი იყო ამ საქმეში პირველი.

მაგალითისთვის ავირჩიე იაპონია, როგორც თვითმკვლელობის დიდი ისტორიის მქონე ქვეყანა. ჩვ.წ.აღ.მდე 550 წელს კორეიდან შემოსულმა ბუდიზმმა იაპონელები საბოლოოდ დაარწმუნა ცხოვრების ამაოებასა და სიკვდილის დიდებულებაში. თვითმკვლელობის იდეამაც ამ პერიოდიდან დაიწყო ჩამოყალიბება, მაგრამ სრულყოფილი სახე მოგვიანებით, მე-12 საუკუნეში მიიღო, როცა "ამომავალი მზის ქვეყანაში" სამურაები გაჩნდნენ. სწორედ მათ სახელს უკავშირდება მსოფლიოში ცნობილი თვითმკვლელობის რიტუალი - სეფუკუ, რომლის გავრცელებული სახელი - ჰარაკირი, იაპონურ ენაზე "მუცლის გამოფატვრას" ნიშნავს.

წარმოვიდგინოთ ძველი იაპონია, ოთახში დაჩოქილი სამურაი. რიტუალის თანახმად, მან ჯერ მუცელი უნდა გამოიფატროს, შემდეგ ყელი გამოიჭრას, რის შემდეგაც მის ზურგს უკან მდგომმა მამაკაცმა ხმლის ერთი დაკვრით უნდა მოჰკვეთოს მას თავი. ეს ადამიანი მისი ახლობელია, სავარაუდოდ - საუკეთესო მეგობარი, რადგან ამ მისიას უცხო ვერ შეასრულებს. ასეთია წესი, წესს კი უნდა დაემორჩილო. ოდნავ მოშორებით ორი ფეხმორთხმული მეთვალყურეა. ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს ცერემონიას, ყველაფერმა წესების დაცვით რომ ჩაიაროს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: მიზეზი? მიზეზი მრავალგვარია - ბატონის სიკვდილი; ბატონისადმი დაუმორჩილებლობა ან წაგებული ბრძოლა; ყველა მათგანს ღირსების დაცვა აერთიანებს.

ჰარაკირი იაპონიაში ჯერ კიდევ 1603 წელს აკრძალეს, მაგრამ ამ ტრადიციამ არსებობა გააგრძელა. უკანასკნელად ჰარაკირის შემთხვევა 1970 წელს დაფიქსირდა. მისი ავტორი ცნობილი იაპონელი მწერალი იუკიო მუშიმა იყო. ვერ გეტყვით, 1970 წლის შემდეგ ხალხმა მიივიწყა თუ არა ეს უძველესი რიტუალი, მაგრამ ის აზრი, რომ შერცხვენილ სიცოცხლეს ღირსეული სიკვდილი სჯობია, თანამედროვე იაპონიაში დღემდე აქტუალურია.

წავიდა ჰარაკირის დრო, მაგრამ მოვიდა თვითმკვლელობის მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდები. საინტერესო კი ისაა, რომ თავისი აქტიური ტემპით იაპონიამ ყველა ქვეყანას გაუსწრო. მართალია, მუცელს იქ აღარ იფატრავენ, მაგრამ თავს იხრჩობენ, შენობებიდან ხტებიან. თანამედროვე სტატისტიკის მიხედვით, თვითმკვლელები იქ, ძირითადად, 50-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცები არიან. მათი უმრავლესობა აოკიგაჰარას ტყეებში ასრულებს სიცოცხლეს. ჩემთვის ეს ადგილი ეგვიპტის პირამიდას ჰგავს - არა ფორმით, არამედ თავისი იდუმალებით: თუ გაბედე და შეხვედი, ადვილი შესაძლებელია, უამრავი თავბრუდამხვევი ბილიკის გამო, უკან გამოსვლა ველარც მოახერხო. არათუ თვე, კვირაც არ გავა, იქ ხეზე ჩამომხრჩვალი ადამიანი რომ არ იპოვონ. მიუხედავად ამისა, აოკიგაჰარას ტყეებს უმრავი ადამიანი სტუმრობს. ან კი, რა შიში დაახევინებს უკან ამდენ ცნობისმოყვარეს?!

ადამიანების გონზე მოსაგებად იაპონიის მეტროპოლიტენის რამდენიმე სადგურში "თვითმკვლელთა სარკეები" დაამონტაჟეს. იფიქრეს, სიკვდილამდე სარკეში ჩახედვა ადამიანს აზრს შეაცვლევინებსო, მაგრამ ამით პრობლემა ვერ მოგვარდა. პირიქით, გამოჩნდნენ ისეთი "კეთილშობილი" ადამიანები, რომლებმაც თვითმკვლელთა "დახმარება" გადაწყვიტეს და ინტერნეტში სპეციალური საიტები გახსნეს, რომლის საშუალებითაც ერთი ადამიანი უკავშირდება მსგავსი სურვილის მქონე მეორე ადამიანს. მასთან განიხილავს თვითმკვლელობის სასურველსა და მისაღებ მეთოდს და რამდენიმე ხნის შემდეგ განზრახვა სისრულეში მოჰყავს. ერთი ექიმი, ამ გზით, თვითმკვლელობის მსურველებს კალიუმის ციანიდითაც კი ამარაგებდა. ამ ამბავს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, საიტი დახურეს, ექიმმა კი საბოლოოდ თავი მოიკლა. იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად მოითხოვა სხვა მსგავსი საიტების დახურვაც, მაგრამ მათ ფარულად მაინც გააგრძელეს არსებობა.

საინტერესო მაინც ისაა, რა მიზეზით გაუსწრო იაპონიამ სხვა განვითარებულ ქვეყნებს ამ სავალალო მაჩვენებლით. მაღალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, რაშიც იაპონია, უდავოდ, ლიდერია, უმუშევართა რიცხვის ზრდას უწყობს ხელს, სამსახურის დაკარგვა კი დეპრესიას იწვევს, რაც სუსტი ნებისყოფის ადამიანს თვითმკვლელობისკენ უბიძგებს. იაპონელი მამაკაცისთვის უსამსახუროდ ყოფნას იმის შეგრძნებაც ახლავს თან, რომ მას აღარ შეუძლია, საზოგადოებას სარგებელი მოუტანოს, უფუნქციო და უუნაროა. ამის გამო, ის თავს ღირსებაშელახულად გრძნობს და ღირსების აღდგენის ერთადერთ გზას სიკვდილში ხედავს.

იქნებ საქმე ასე რთულადაც არ არის! იქნებ გამოსავალიც გამოინახოს! გამიგია, - ყველაფერს ეშველება სიკვდილის გარდაო, - ჰოდა, ახლობლები რისთვის არსებობენ?! მაგრამ არა... იაპონელი მამაკაცები პრობლემების სხვისთვის გაზიარებას კუთხეში ჯდომასა და, ხშირ შემთხვევაში, დარდის სასმელში ჩაკვლას ამჯობინებენ. ეს მიზეზი მათ ოჯახისა და ახლობელი ადამიანებისგან აშორებს, მარტო დარჩენილნი კი საკუთარ ქცევას ველარ აკონტროლებენ, რასაც სავალალო შედეგი მოაქვს.

არ გეგონოთ, იაპონიაში ხანში შესული მამაკაცების გარდა, თავს არავინ იკლავდეს. მოზარდების პრობლემა მეტად მტკივნეული თემაა იქაური საზოგადოებისთვის. მიზეზი უამრავია: გამოცდაზე ჩაჭრა, ახლობელ ადამიანთან ჩხუბი და მასთან განშორებით გამოწვეული ტკივილი და აქვე "რომეო და ჯულიეტას" უბერებელი თემა. "რომანტიული თვითმკვლელობა" იაპონელ ახალგაზრდებსაც ისეთივე ძალით იზიდავთ, როგორც ევროპელებსა თუ ამერიკელებს. მადლობა ღმერთს, მაგალითისთვის საქართველოს გამოყენება არ მომიხდა. ამ მხრივ, იაპონია უფრო საინტერესო აღმოჩნდა. ჩემი პაწაწინა ქვეყნის მაცხოვრებლებმა იაპონური ტემპით რომ დაიწყონ იმქვეყნად საკუთარი ნებით წასვლა, სულ მალე რუკიდან ის წერტილიც გაქრება, საქართველოს არსებობას რომ უმტკიცებს მსოფლიოს.

ბევრი ვიფიქრე, წერილი როგორ დამემთავრებინა. მართალი გითხრათ, ორიგინალური ვერაფერი მოვიფიქრე. სამაგიეროდ, ერთი უბრალო ფრაზა ავიკვიატე: ცხოვრება იმდენად მშვენიერია, არასოდეს მოვიკლავ თავს. თქვენ?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროექტი "ილია ჭავჭავაძე" აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

**სასწავლო გეგმების ჯგუფის წევრი**

**ფიზიკური აღზრდა (1 ადგილი)**

**შესავალი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება "განათლების სისტემის განმტკიცებისა და გარდაქმნის პროექტის" ფარგლებში მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისთვის ახალი სახელმწიფო მიზნების, სასწავლო მინიმუმის და მიღწევის სტანდარტების ჩამოყალიბებით. პროექტი ფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტით.

ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარებაზე პასუხისმგებელია განათლების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმების განვითარების ქვეკომპონენტის (A1) ამოცანაა შეარჩიოს ადგილობრივი კონსულტანტები პროგრამის მიზნებისა და დავალებების განხორციელებისათვის. შესაბამისი მიმართულების მართვა და კოორდინაცია დაევალებათ ამ კონსულტანტებს.

**ძირითადი მოვალეობანი**

**ჯგუფის წევრი**

- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის შედგენა/შესწორებაზე შესაბამის დარგში
- ჯგუფის ხელმძღვანელსა და კონსულტანტებთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებებს დაინტერესებულ მხარეებთან მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის პილოტირების პროცესში
- პასუხისმგებელია ახალი სასწავლო გეგმის საბოლოო ვარიანტის მომზადებაზე
- მონაწილეობს ახალი სასწავლო გეგმის დანერგვაში
- მოგზაურობს ქვეყნის ფარგლებში სასწავლო გეგმების გავრცელების მიზნით

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები**

- განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილების სულ მცირე 3 წლის
- სტაჟი (უპირატესობა ენიჭებათ სკოლის მასწავლებლებს)
- შესაბამისი საგნის სასკოლო კურსის კარგი ცოდნა
- სასურველია სასწავლო გეგმებზე მუშაობის გამოცდილება და სხვა ქვეყნების სასწავლო პროგრამების ცოდნა
- კომპიუტერის კარგი ცოდნა

**კონკურსანტები არ უნდა იყვნენ შესაბამის დარგში მოქმედი სახელმძღვანელოების ავტორები**

**ხანგძლივობა და ხელშეკრულება**

აღნიშნული თანამდებობა ნახევარგანაკვეთიანია. სამუშაო ადგილი თბილისშია. თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 1 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია) შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: **95-98-37; 95-83-13 F**
**ელ.-ფოსტა: GEP@wanex.net**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ლია მეტრეველი**

წარმოსადგენი განაცხადების სტანდარტული ფორმები (ელექტრონული ვერსია) შეგიძლიათ მიიღოთ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრში ზემოთ მითითებულ მისამართზე.

**განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 26 ივლისი.**

**შენიშვნა**

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2004 წლის ივნისში გამოაქვეყნა 2004-2005 სასწავლო წელს გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხა. ტექნიკური მიზეზების გამო გამოქვეყნებულ ნუსხაში ვერ მოხვდა რამდენიმე სახელმძღვანელო. ვაქვეყნებთ მათ სიას:

- ინფორმატიკა ვინდოუს 98-ინტერნეტზე ორიენტირებული კომპიუტერული სისტემა, X-XI კლ. ს. რაზმაძე "ავტორ-გამომცემელი-სიმონ რაზმაძე"
- საგზაო მოძრაობის წესები საგზაო მოძრაობის წესების სწავლება სკოლაში,V-VI კლ. რ. იანტბელიძე
- ეკონომიკა, XI კლ. ა. სილაგაძე, ე. მექვაბიშვილი, ჯ. კახნიაშვილი"საინფორმაციო-საგამომცემლო ცენტრი"

საშუალო სპეციალური სასწავლებლებისთვის

- ფიზიკა ფიზიკა (ყველა პროფილის საშუალო სპეციალური სასწავლებლებისთვის) რ. ბანძელაძე"სფინქსი" "ცის ნამი"

**რუსულენოვანი სკოლებისთვის**

- შ. ებრალიძე და სხვ. მათემატიკა, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მაწ. I, VII-IX კლ. "დიოგენე"

**ნუსხაში არ უნდა შესულიყო შემდეგი სახელმძღვანელო:**

- ქიმია ქიმიის ამოც. კრებული, VII, VIII-IXკლ. მ. ვარდიაშვილი "ინტელექტი"

# თავისუფალი ცხოვრებისთვის მზადება ინგლისურის სწავლით იწყება

თამარ კაციტაძე

*- რამე ხომ არ გჭირდებათ?*

*- აუზში საღებავი გაგვიფუჭდა და იქნებ მოგვიტანოთ.*

*- რა ფერი?*

*- ზღვისფერი.*

*- მალე მოგიტანთ.*

*- კიდევ რა გინდათ, რამე პრობლემა ხომ არ გაქვთ?*

*ჯერჯერობით, არაფერი. თუ რამე დაგვჭირდება, გეტყვით.*

ეს დიალოგი გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში არასრულწლოვან პატიმრებსა და იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს შორის შედგა. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებს და მინისტრს შორის მეგობრული დამოკიდებულებაა და იგი ჯერ კიდევ მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია "ფონდი ღია საზოგადოებისთვის" წარმომადგენელი გიორგი პაპუაშვილი, აღნიშნულ დაწესებულებას, როგორც ადამიანის უფლებების დამცველი, ისე სტუმრობდა.



ვახო ბასილიას ფოტო

*ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებს და მინისტრს შორის მეგობრული დამოკიდებულებაა.*

**"ბავშვები ნაწყენები არიან, რადგან ჩამოსვლა ცოტა დამაგვიანდა. მომავალში უფრო ხშირად ჩამოვალ ხოლმე,"** - გვითხრა გიორგი პაპუაშვილმა, რომელსაც ყველაზე მეტად პატიმარი არასრულწლოვნებისაგან საპყრობილედან მისული ამბები აინტერესებდა.

**- საპყრობილეში არასრულწლოვნების საკნები გავარემონტეთ და უკეთესი პირობები შევუქმენით. რას ამბობენ ის პატიმრები, კმაყოფილები არიან?** – ეკითხება დაწესებულებაში მყოფ ბავშვებს პაპუაშვილი და მიღებული დადებითი პასუხით გამოწვეულ კმაყოფილებას არ მალავს.

როგორც მინისტრმა გვითხრა, იგი კმაყოფილია არა მარტო იმით, რომ არასრულწლოვან პატიმრებთან კარგი დამოკიდებულება აქვს, არამედ იმითაც, რომ ურთიერთობაში ბარიერი თავად დაწესებულების ადმინისტრაციასაც მოეხსნა.

**"თავიდან რომ მოვდიოდი, დაწესებულების თანამშრომლებში გარკვეულ დაძაბულობას მაინც ვგრძნობდი. ახლა აბსოლუტურად თავისუფალი ურთიერთობა გვაქვს, რაც პრობლემების ერთობლივად გადაჭრაში გვეხმარება,"** - ამბობს იუსტიციის მინისტრი და იმ დროზე ოცნებობს, როცა ქვეყანაში არასრულწლოვანი პატიმრები აღარ იქნებიან და იმ დაწესებულებაში, სადაც დღეს ბავშვი პატიმრები არიან განთავსებულნი (ქართული ციხეებიდან იგი ყველაზე მეტად აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს), სრულწლოვან პატიმრებს გადმოიყვანს.

დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულების აღმზრდელობით დაწესებულებაში სულ 24 პატიმარია და აქედან 20-ს შეწყალების კომისიაში განცხადება აქვს შეტანილი. ვის შეიწყალებს პრეზიდენტი და ვინ დაემშვიდობება დაწესებულების კედლებს, რამდენიმე თვეში გახდება ცნობილი. მანამდე კი, თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებს მინისტრმა და სასტუმროების ქსელის "მარიოტის" ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა საჩუქრებით კიდევ ერთი დღე გაულამაზეს.

იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ბავშვებს ნაყინი, ჟურნალები და საპატრიარქოდან გაგზავნილი საეკლესიო ლიტერატურა გადასცა, "მარიოტის" წარმომადგენლებმა კი ფეხბურთის და კალათბურთის ბურთებთან, ბადმინტონებთან, სპორტულ ფორმებთან და სხვა სასურსათო პროდუქტებთან ერთად, მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს საქართველოს ისტორიის, ინგლისურის წიგნები და ინგლისური ენის შემსწავლელი აუდიო და ვიდეო მასალა ჩაუტანეს.

**"ვიდრე საჩუქრებს შევაგროვებდით, მანამდე მოვინახულე პატიმარი ბავშვები და საჩუქრებიც მათი სურვილისამებრ შევარჩიეთ. ინგლისურის სწავლის სურვილი სწორედ მაშინ გამოთქვეს და წიგნები ამიტომ მოვიტანეთ,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში "მარიოტის" საკადრო მენეჯერმა მაია წერეთელმა.

თუმცა, როგორც წერეთელი თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვნებს ჰპირდება, მათი ზრუნვა ერთჯერადი არ არის და გადაწყვეტილი აქვთ, რომ ეს ბავშვები საზოგადოებას სრულფასოვან პიროვნებებად დაუბრუნონ.

**"ჩვენ დაწესებულებაში უფასოდ გამოვგზავნით ინგლისურის მასწავლებელს. ხოლო იმ ბავშვებს, რომლებიც გამოსწორდებიან და კარგად ისწავლიან, პირობას ვაძლევ, რომ გათავისუფლების შემდეგ "მარიოტში" დავასაქმებთ,"** - ამბობს მაია წერეთელი.

**"ინგლისურის სწავლა ყველას გვინდა. ამ ენის ცოდნა დღეს ძალიან საჭიროა. აქედან რომ გავალთ, სწავლას გავაგრძელებთ და ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდებით. უკან დაბრუნებას ნამდვილად აღარ ვაპირებთ,"** - ამბობდნენ პატიმარი ბავშვები.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ყველაზე დიდი სიხარული მათ ვიდეო-კასეტა "ბრიგადის" ჩატანამ მოუტანა. როგორც ჩუმად გაგვიმხილეს, ფილმი რუსული მაფიის ცხოვრებაზეა, რაც მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს ძალიან აინტერესებთ.

საჩუქრებით გახარებულმა და ახალ ფორმებში გამოწყობილმა მსჯავრდებულებმა "მარიოტის" წარმომადგენლებთან ბოლოს ფეხბურთი და კალათბურთი ითამაშეს და სპეციალურად მათთვის ჩაყვანილი მომღერალთა გუნდის შერულებული საგალობლების მოსმენის შემდეგ, სტუმრებს იმ იმედით დაემშვიდობნენ, რომ უახლოეს მომავალში ისინი კიდევ ეწვევიან.

# ზუგდიდში პატიმარმა თვითმკვლელობა სცადა

ზუგდიდის მეოთხე საპყრობილის პატიმარმა გელა ჩხარტიამ, რომელიც სასჯელს მკვლელობისთვის იხდის, თვითმკვლელობა სცადა.

ჩხარტიას ადვოკატის, როლანდ შონიას თქმით, პატიმარი დარწმუნებულია, რომ მას შურისძიების მიზნით მოკლავენ.

**"პატიმარი ციხის თანამშრომლებისა და პატიმრების მხრიდან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას განიცდის და თვითმკვლელობაც ამიტომ სცადა"**, - აცხადებს ადვოკატი.

შონიას განცხადებით, გელა ჩხარტია სენაკის რაიონის სოფელ ხორშში 8 ივლისს დააკავეს. მისი მეუღლე და ოჯახის წევრები დაკავებისთანავე აცხადებდნენ, რომ ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი მას პოლიციამ ჩაუდო და არანაირი იარაღი მას არ გააჩნდა. ამასთან, ჩხრეკას მეზობლები და ოჯახის წევრები არ დასწრებიან, ჩხრეკის ოქმს კი ხელი მათთვის სრულიად უცნობმა ადამიანებმა მოაწერეს, რომლებიც პოლიციელებმა თავად მიიყვანეს.

ჩხარტიას ახლობლები ამბობენ, რომ უკვე ციხეში გადაყვანის შემდეგ, მასზე დაიწყო ფიზიკური ზემოქმედება - რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა ფიზიკური განადგურების მცდელობას, თუმცა ადვოკატ როლანდ შონიას განუცხადეს, რომ პატიმარი თითქოსდა შეურაცხადი იყო და თვითმკვლელობას აპირებდა.

თავად გელა ჩხარტია კი აცხადებს, რომ მას აქამდე თვითმკვლელობა არ უცდია, სამაგიეროდ, მისი ფიზიკური განადგურების მცდელობას მართლაც ჰქონდა ადგილი. ჩხარტიას თქმით, გამომძიებელი და ციხეში მყოფი ზოგიერთი პირი ცდილობდა, მისგან აღიარებითი ჩვენება მიეღო თანასოფლელ ანზორ თუნჯიას მკვლელობის შესახებ. დაკავებულის განცხადებით, მან წამებას ვეღარ გაუძლო და თუნჯიას მკვლელობა იძულებით აღიარა.

ადვოკატმა შონიამ განცხადებით მიმართა მეოთხე საპყრობილის უფროსს. იგი მოითხოვს, აღიკვეთოს გელა ჩხარტიას ფიზიკური განადგურების მცდელობა და უზრუნველყოფილ იქნეს საპყრობილეში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა.

ქალაქ ზუგდიდის მეოთხე საპყრობილის უფროსი ომარ ხარჩილავა პატიმარზე ფიზიკური ზემოქმედების ყოველგვარ ფაქტს გამორიცხავს და კატეგორიულად აცხადებს, რომ არანაირ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. ხარჩილავას თქმით, ჩხარტია **"ფსიქიკურად შერყეული პიროვნებაა და მას თავის მოკვლის მცდელობა ჰქონდა, რომელიც ციხის ადმინისტრაციამ აღკვეთა"**.

*ინტერ-პრესი*

# სემინარები ჟურნალისტების და სახელმწიფო მოხელეების დაახლოებას ხელს უწყობს

*საქართველოში ბოლო პერიოდში შექმნილი არამყარი საკანონმდებლო ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც კანონები იცვლება არა ნაწილობრივ, არამედ არსობრივად, ანუ როდესაც ქვეყანა კონტინენტალური სამართალწარმოებიდან წმინდა ამერიკულ მოდელზე გადასასვლელად ემზადება, თავისთავად ცხადია, ეს პროცესები გარკვეულ დაბნეულობას და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს თვით იურისტებში. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ამ მხრივ, მომზადება ქართულ საზოგადოებასთან ერთად მედიასაც სჭირდება.*

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული სემინარი, რომელიც სამ ეტაპად ჩატარდა. პირველი ორი სემინარი ბაკურიანში გაიმართა, რაც მასმედიის წარმომადგენლების სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში მომზადებას ეხებოდა. ბოლო, დასკვნითი ეტაპი კი თბილისში, "ქორთიარდ მარიოტში" სამოქალაქო კოდექსის გაცნობით და სემინარში მონაწილე ჟურნალისტებისთვის სერთიფიკატების გადაცემით დასრულდა.

**"საქართველოში საკანონმდებლო მხრივ არასტაბილური მდგომარეობაა. ეს კი არა მარტო საზოგადოების და ჟურნალისტების, არამედ, თვით პროფესიონალი იურისტების პრობლემაც არის. ამიტომ, მასმედიის იმ წარმომადგენლებისთვის, რომლებიც სამართლებრივი მიმართულებით მუშაობენ, კომპეტენტური იურისტების გამოცდილების გაზიარება სასარგებლო იქნება. თუმცა, ეს არ იყო ცალმხრივი პროცესი, რადგან სემინარზე ჟურნალისტებსა და იურისტებს შორის შეხედულებების და გამოცდილებების შეჯერება და გაზიარება ხდებოდა,"** - განაცხადა სერტიფიკატების გადაცემის შემდეგ სემინარის ორგანიზატორმა, იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის უფროსმა სულხან გამყრელიძემ.

როგორც სემინარის ორგანიზატორები ვარაუდობენ, გამორიცხული არ არის, რომ სემინარები, რომელიც ამჟამად გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებისა (GTZ) და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) დაფინანსებით ჩატარდა, მასმედიის სამართლებრივი განათლების კუთხით მომავალშიც გაგრძელდეს.

**"სემინარები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ განათლების თვალსაზრისით, არამედ იგი ხელს უწყობს სახელმწიფო მოხელეების და მასმედიის წარმომადგენლების დაახლოებასაც, რაც საზოგადოებისთვის ასევე მნიშვნელოვანია,"** - განაცხადა სემინარზე მისულმა იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა, რომელმაც ჟურნალისტებს სერტიფიკატები გადასცა.

# მკვლელობა პოლიციის შენობასთან

შაბათს ღამით ზუგდიდის ცენტრში მკვლელობა მოხდა. მოკლულია 24 წლის ირაკლი ფიფია, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზუგდიდის "შავი სამყაროს" საკმაოდ ავტორიტეტული წარმომადგენელი გახლდათ. მკვლელობა ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობასთან ახლოს მოხდა, თუმცა, სამართალდამცველებმა დანაშაულის თავიდან აცილება ვერ შეძლეს, მეტიც, მომხდარის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა დაჭრილმა ფიფიამ სამმართველოს ეზომდე მიღწევა მოახერხა და პოლიციელებს დახმარება სთხოვა.

სამართალდამცველებისთვის ფიფიას მკვლელობის მოტივი, ჯერჯერობით, უცნობია. დაჭრილმა ირაკლი ფიფიამ, რომელმაც პოლიციელებს საავადმყოფომდე მიყვანა სთხოვა, მათთვის ვერაფრის მოყოლა ვერ შეძლო. საავადმყოფოში მიყვანისთანავე კი იგი გარდაიცვალა. შესაბამისად, პოლიციისათვის ამ ეტაპზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ფიფია ზუგდიდის ცენტრში, პოლიციის სამმართველოსთან ახლოს მდებარე ტოტალიზატორ "ფორტეში" იმყოფებოდა. მკვლელობა სწორედ ტოტალიზატორიდან მისი გამოსვლის შემდეგ მოხდა. ამბობენ იმასაც, რომ იგი შენობიდან მოტყუებით გამოიყვანეს. პოლიციისთვის, აგრეთვე, უცნობია დამნაშავეთა რაოდენობა. ფაქტია, რომ ირაკლი ფიფიას დანით მიყენებული ჰქონდა ერთადერთი ჭრილობა მუცლის არეში.

ირაკლი ფიფიას მშობლები პოლიციას უმოქმედობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ნორმალურ ქვეყანაში, პოლიციის შენობასთან მკვლელობა არ უნდა ხდებოდეს.

ზუგდიდის პოლიცია აღიარებს, რომ მკვლელობა მართლაც ზუგდიდის პოლიციის შენობიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით მოხდა და, მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით, რაიმე ინფორმაციას დამნაშავეთა შესახებ არ ფლობს.

მკვლელობის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ზუგდიდის პროკურატურა იძიებს.

*24 საათი*

# თურქი მოქალაქეების ტრეფიკინგი აფხაზეთში

*ორიოდ კვირის წინათ, საქართველოში თურქეთის საელჩოს მოთხოვნის საფუძველზე, აფხაზი მილიციელების მიერ ქართული მხარისთვის გადაცემულმა თურქეთის სამმა მოქალაქემ თავი აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრეფიკინგის მსხვერპლად აღიარა. აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლებამ მომხდარის გამო ოფიციალური განცხადება კარგა ხნის დაგვიანებით გააკეთა და კატეგორიულად უარყო აფხაზეთის ტერიტორიაზე ადამიანებით ვაჭრობის ფაქტების არსებობა. თუმცა, საქართველოს სპეცსამსახურებს ცოტა ხნის წინათ გათავისუფლებული თურქი მოქალაქეების სამეულის ნაამბობის გარდა, სხვა არაერთი ინფორმაცია მოეპოვებათ, რომლებიც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შიგნით ტრეფიკინგის არსებობას ადასტურებს.*

სოფიკო ჩხაიძე

როგორც ცნობილია, ორი კვირის წინათ, საქართველოში თურქეთის საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით, აფხაზმა მილიციელებმა ქართულ მხარეს აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი, თურქეთის სამი მოქალაქე - ალი ქონჯა, სერქან დილექი და მურად ბირინჯი გადასცეს.

როგორც აღმოჩნდა, თურქულ მხარეს გააჩნდა ინფორმაცია, რომ ისინი აფხაზეთში იძულებით სამუშაოებს ასრულებდნენ. ქართველი სამართალდამცველები, რომლებიც გათავისუფლების შემდეგ ესაუბრნენ თურქეთის მოქალაქეებს, ადასტურებენ თურქული მხარის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ალი ქონჯა, სერქან დილექი და მურად ბირინჯი აფხაზეთში ტრეფიკინგის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

როგორც თურქეთის მოქალაქეები ჰყვებოდნენ, აფხაზეთში ჩასვლის შემდეგ, მათ საბუთები წაართვეს და მეთვალყურეები მიუჩინეს, რის გამოც კონტაქტს ვერავისთან ახერხებდნენ. მათი თქმით, ისინი ყოველდღე დაჰყავდათ ტყვარჩელში სამუშაოდ და "მონებივით ექცეოდნენ".

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების, გალის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსის გიორგი ჯიქიას ცნობით, უშიშროება ფლობს ინფორმაციას, რომ აფხაზეთში მოტყუებით ჩაყვანილია უცხოეთის მრავალი მოქალაქე, რომელთაც ამუშავებენ, როგორც მონებს.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს აფხაზეთის თვითმარქვია მთავრობის ხელმძღვანელი რაულ ხაჯიმბა. მისი თქმით, საქართველოს სპეცსამსახურების მსგავსი განცხადებები პროვოკაციულია და მიმართულია აფხაზეთის იზოლაციისა და იქ მიმდინარე ეკონომიკური პროცესების წინააღმდეგ. აფხაზები იუწყებიან, რომ ტყვარჩელში მოქმედ ქვანახშირის მომპოვებელ ფირმა "ტამსაში" ხელშეკრულებით მართლაც მუშაობს თურქეთის 135 მოქალაქე. ამ ფირმის წარმომადგენლის, ტაიფუნ არძინბას თქმით, თურქეთის მოქალაქეები აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვის მიღების შემდეგ იწყებენ მათთან მუშაობას. მეტიც, არძინბას თქმით, არც ერთი მათ ფირმაში მომუშავე თურქი არ იცნობს ალი ქონჯას, რომლის შესახებაც ქართულ საინფორმაციო საშუალებებში ინფორმაცია გავიდა.

თუმცა, როგორც ირკვევა, ორი კვირის წინ გათავისუფლებული სამეული პირველი არ გახლავთ, ვინც თავს აფხაზეთში ტრეფიკინგის მსხვერპლად მიიჩნევს, და მეტიც, ვინც ფირმა "ტამსაშს" ასახელებს. ამ ფირმის შესახებ მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი ინფორმაცია გამოქვეყნებულია ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის მიერ დაფინანსებულ ნაშრომში, სახელწოდებით "კონტრაბანდის პრობლემა საქართველოში: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი".

ნაშრომში მოყვანილია აფხაზეთის ტერიტორიაზე ტრეფიკინგის არსებობის რამდენიმე ფაქტი. კერძოდ, ჯერ კიდევ 2002 წელს, აფხაზეთის პირობით საზღვარზე თურქეთის 12 მოქალაქე დააკავეს, რომლებიც მიკროავტობუსით გადაადგილდებოდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, თურქი მოქალაქეები თურქეთში შეკრიბეს ქვანახშირის მომპოვებელი თურქული ჰოლდინგური კომპანიის "ოკანის" (ეს არის კომპანია, რომლის ფილიალი - "ტამსაშ"-ი ქვანახშირის მოპოვებას აფხაზეთის ტერიტორიაზე აწარმოებს) წარმომადგენლებმა. როგორც ირკვევა, "ტამსაში" სწორედ "ოკანის" ფილიალია. ნაშრომის თანახმად, თურქეთში შეკრებილ მოქალაქეებს, აფხაზეთში მუშაობის სანაცვლოდ, მაღალ ანაზღაურებას დაჰპირდნენ - 700-1000 დოლარის ოდენობით. არსებობს ინფორმაცია, რომ ეს კომპანია აქტიურად მონაწილეობს ადამიანებით ვაჭრობაში.

აფხაზეთში ადამიანთა ტრეფიკინგის მეორე ფაქტი, რომლის შესახებაც ინფორმაცია საქართველოს სპეცსამსახურებს მოეპოვებათ, საქართველოს სანაპირო დაცვამ გამოავლინა. მეტიც, გამოვლენილ იქნა არა ცალკეული შემთხვევა, არამედ ტრეფიკინგის ტრასა, რომლითაც ადამიანები გადაჰყავდათ თურქეთიდან აფხაზეთში და პირიქით. მათ დააკავეს ერთ-ერთი გემი, რომელზეც 4 პირი იმყოფებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოდან გამოიქცნენ, სადაც მუშები თურქ კონტრაბანდისტებს ერთი თვის წინ გადაუყვანიათ. გაირკვა, რომ კონტრაბანდისტები მათ, მაღალი ანაზღაურების საფასურად, რუსეთის ქვანახშირის საბადოებზე მუშაობას შეჰპირდნენ, მაგრამ ამის სანაცვლოდ, მონურ პირობებში ამუშავეს აფხაზეთში და არაფერი გადაუხადეს.

საქართველოს სპეცსამსახურებს მოეპოვებათ, აგრეთვე, ინფორმაცია, რომ თურქული გემები, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევით მოძრაობენ საქართველოს წყლების აფხაზეთის აკვატორიაში, ქალებით ვაჭრობაში მონაწილეობენ. მათ 5-6 ქალისგან შემდგარი ჯგუფები, ძირითადად - რუსეთიდან, აფხაზეთის გავლით თურქეთში უკანონოდ გადაჰყავთ. სპეცსამსახურთა ცნობით, ამ საქმიანობაში ჩართულნი არიან აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან დაახლოებული კრიმინალური ჯგუფების წარმომადგენლები.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აშშ-ს კონგრესის ადამიანის უფლებათა ჰელსინკის კომისია მომავალ კვირას ბათუმელი სტუდენტის, ლაშა ჩახვაძის საქმეს განიხილავს. როგორც მისი ადვოკატი აცხადებს, სხდომაზე მოისმენენ სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის, საქართველოში მყოფ სინდისის პატიმართა საკითხს და ჩახვაძის საქმეზეც ამ კონტექსტში იმსჯელებენ. ცნობილია, რომ ლაშა ჩახვაძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის მხარდამჭერი იყო. იგი პირველად 2004 წლის მაისში იარაღის უკანონო ტარებისთვის თბილისში დააკავეს, შემდეგ სახლიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაათავისუფლეს, თუმცა მოგვიანებით, ისევ დააპატიმრეს. ამჟამად იგი თბილისში, მეხუთე საპყრობილეშია მოთავსებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით, დაკავებულის ადვოკატებმა ამჯერად საოლქო სასამართლოს მიმართეს. მოლაშვილის ერთ-ერთი ადვოკატის სოსო ბარათაშვილის თქმით, გუშინ დაცვის მხარემ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს ის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რომლის საფუძველზეც მოლაშვილი თანხის გადახდის მიუხედავად, კვლავ წინასწარ პატიმრობაში დარჩა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გორის რაიონის სოფელ ორთაშენთან ავტომანქანა "ლენდროვერი" სატვირთო ავტომანქანა "მაზ"-ს შეეჯახა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, "ლენდროვერის" მძღოლი, 1963 წელს დაბადებული გოჩა ძნელაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის გორის განყოფილება აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბერძნეთის მოქალაქის, ნინო როლანდის ასული ნუცუბიძის დაყაჩაღების ფაქტზე შაბათს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა თბილისელი, 1981 წელს დაბადებული გიორგი კუკურის ძე მიქავა, მეტსახელად - "წერო" და რუსთაველი, წარსულში ნასამართლევი, 1971 წელს დაბადებული ივანე კონცელიძე, მეტსახელად - "კონცო" დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დაკავებულებმა ნინო ნუცუბიძის კუთვნილი ავტომანქანა "მიცუბიში-პაჯერო"-დან გაიტაცეს მობილური ტელეფონი და ხელჩანთა პირად საბუთებთან ერთად. დაკავებისას ეჭვმიტანილებმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის შედეგადაც პოლიციის თანამშრომლებმა სხეულის სხვადასხვა დაზიანებები მიიღეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის N1 საპყრობილეში მეათე დღეა შიმშილობს თვალებ და პირამოკერილი პატიმარი ლერი ხარჩილავა. ხარჩილავა წლეულს, 29 აპრილს დააკავეს თბილისის აეროპორტში, სადაც ის აშშ-დან ჩამოფრინდა. მას ბრალი ედება ნარკოდანაშაულში. პატიმრის ახლობლებს მიაჩნიათ, რომ ხარჩილავა უკანონო პატიმარია და იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. მათ დახმარებისათვის ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა მიმართ სამართლიანობის დაცვის ორგანიზაციის პრეზიდენტს გიორგი ლაღიძეს მიმართეს. თავად ლაღიძე აპირებს, ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს გენპროკურორს მიმართოს. **მედია-ნიუსი**

სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"
სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ: 32 21 21

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ.83/11

**სპს "ქავთარაძე და პარტნიორები"**
**საკონსულტაციო ჯგუფი "დვნქ"**

**საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია**

# პროკრედიტ ბანკი

ავთო გოგოლი

*საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია საკონსულტაციო ჯგუფ "დვნქ"-სთან ერთად აგრძელებს საბანკო მონიტორინგის პროექტს. დღევანდელი მონიტორინგის ობიექტია "პროკრედიტ ბანკი". გთავაზობთ ბანკის ფინანსურ მონაცემებს მიმდინარე წლის მეორე კვარტლისათვის და ინტერვიუს "პროკრედიტ ბანკი"-ს გენერალურ დირექტორთან ბატონ ფილიპ ზიგვარტთან, რომელიც გაზეთ "24 საათის" სტუდიაში პასუხობს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაციის კითხვებს:*

## საქართველოს საბანკო სისტემა

**- ბატონო ფილიპ, როგორ შეაფასებთ საქართველოს საბანაკო სისტემის მდგომარეობას? როგორ ფიქრობთ, რამდენად სტაბილურია ის და რა ფაქტორების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მისი სტაბილურობის შესახებ?**

- ვიტყოდი, რომ მთლიანობაში საბანკო სექტორი საქართველოში საკმაოდ სტაბილურია. პირველ რიგში იმიტომ, რომ საკმაოდ კარგად ხორციელდება საბანკო ზედამხედველობა ეროვნული ბანკის მხრიდან. თავის მხრივ, დიდი კომერციული ბანკებიც საკმაოდ სტაბილურად მუშაობენ.

**- ექსპერტების მხრიდან გამოითქმება ვარაუდი, რომ რუსეთის საბანკო სისტემაში შეინიშნება კრიზისის ნიშნები. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა შიძლება იქონიოს რუსეთის საბანკო კრიზისმა საქართველოზე და რამდენად მოსალოდნელია იგივე კრიზისი საქართველოს საბანკო სისტემაში?**

- ვფიქრობ, რომ რუსეთის საბანკო კრიზისი სპეციფიურია რუსეთის საბანკო სისტემისათვის. თუ ამ თვალსაზრისით შევადარებთ საქართველოსა და რუსეთს, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო სისტემა საქართველოში გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე რუსეთში. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რუსეთის საბანკო სისტემისათვის ძალიან დამახასიათებელია ინტერესთა კონფლიქტები. ამის კარგი მაგალითია სისტემის უმსხვილესი ბანკი – "სბერბანკი", რომელშიც თავმოყრილია მოსახლეობის მთელი ანაბრების 80 პროცენტი. ამ კომერციული ბანკის ძირითადი და პირდაპირი აქციონერი კი უშუალოდ არის რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი(!). მეორე რაც ასევე დამახასიათებელია რუსეთის საბანკო სისტემისათვის, არის გარკვეულ ბიზნეს-ჰოლდინგებთან დაარსებული კომერციული ბანკები, რომლებსაც, როგორც წესი, განსხვავებული ინტერესები აქვთ, ვიდრე ჩვეულებრივ კომერციულ ბანკებს. საქართველოს საბანკო სისტემაში ნაკლებად შეინიშნება ინტერესთა კონფლიქტების არსებობა. რუსეთში საბანკო ზედამხედველობის თვალსაზრისითაც პრობლემებია, 1200 ბანკიდან დაახლოებით 400 ვერ არსულებს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნებს, მაგრამ ცენტრალური ბანკი მათ არ ართმევს საბანკო ლიცენზიებს. ესეთი რამ საქართველოში, საბედნიეროდ, არ ხდება. საქართველოს საბანკო სისტემა რუსეთზე გამჭირვალეა, თუმცა სასურველი იქნებოდა უფრო მეტად გამჭირვალე ყოფილიყო.

**- როგორ ფიქრობთ, რამდენად აუცილებელია საბანკო დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის სისტემის შემოღება საქართველოში?**

- რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა დეპოზიტების სავალდებულო სისტემის შემოღება. არსებობს ერთი ინგლისური გამოთქმა: The devil is in the details. აქ სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. იდეა ძალიან კარგია, მაგრამ ამასთანავე ძალიან მნიშვნელოვანია, რა პრინციპებით მოხდება ამ სისტემის შექმნა. უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს ის, რომ სისტემის მეშვეობით არ მოხდეს სუსტი ბანკების სუბსიდირება ძლიერი ბანკების მხრიდან. ამისათვის უნდა არსებობდეს გარკვეული კრიტერიუმები და რეიტინგები, რომელთა მიხედვითაც მოხდება კონკრეტული ბანკების რისკების შეფასება და შესაბამისად დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში მათი დაშვება თუ არდაშვება.

**- საქართველოში უკვე დიდი ხანია არის საუბარი საკრედიტო ბიუროს შექმნის თაობაზე. როგორ ფიქრობთ, რამდენად აუცილებელია მათი შექმნა და რა წინაპირობებია საჭირო ეფექტური საკრედიტო ბიუროს შექმნისათვის?**

- საკრედიტო ბიუროს შექმნა ძალიან კარგი ინიციატივაა. აქაც ძალიან მნიშვნელოვანია დეტალები. ზოგადად არსებობს ორი სახის საკრედიტო ბიურო: პირველი, რომლიც მხოლოდ ცუდი გადამხდელების შესახებ ფლობენ და იძლევიან ინფორმაციას და მეორე, რომლიც განკარგავს ინფორმაციას როგორც ცუდი, ასევე კარგი გადამხდელების შესახებ. არსებობს უამრავი გამოკვლევა, რომლებიც ადასტურებენ, რომ მეორე სახის საკრედიტო ბიუროს არსებობა გაცილებით მრავალი სარგებლის მომტანია. მაგრამ, ამ შემთხვევაში ასევე ძალიან მაღალია მოთხოვნები საკრედიტო ბიუროსადმი, კერძოდ - ინფორმაციის კონფიდენციალურობისადმი, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული. შესაბამისად საკრედიტო ბიურო კომერციული ბანკების ძალიან მაღალი ნდობით უნდა სარგებლობდნენ. ასევე ეფექტური საკრედიტო ბიუროს წინაპირობა არის ქვეყნის ეკონომიკის ჩრდილიდან გამოსვლა და მისი გამჭვირვალობა. ეს გარკვეულ წილად დროის საკითხიც არის. კარგია, რომ ამ ეტაპზე ამ საკითხის განხილვა მიმდინარეობს.

**- როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ გაიზარდოს საზოგადოების ნდობა ბანკებისადმი და როგორ შეიძლება გაიზარდოს ფულის მასის მიმოქცევა საბანკო არხებში?**

- ვფიქრობ ამისათვის აუცილებელია სისტემა გახდეს უფრო გამჭვირვალე, უფრო საჯარო. ეს ნიშნავს, რომ ხალხმა უნდა იცოდეს, თუ ვინ არიან ბანკების რეალური მფლობელები. ეს საკითხი საქართველოში არცთუ ბოლომდე გარკვეულია. ჩვენი ბანკის შემთხვევაში ყველამ იცის, თუ ვინ არიან ბანკის დამფუძნებლები და ამ ინფორმაციას ყოველთვის ვახმაურებთ. მე შემიძლია ნებისმიერ ადამიანს ვუთხრა, თუ ვინ არის ბანკის დამფუძნებელი, საინვესტიციო კომპანიის დამფუძნებელი.

ასევე, ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის შემცირებასთან ერთად, რომელიც დღეს 60 პროცენტს აღწევს, ავტომატურად გაიზრდება ფულის მიმოქცევა საბანკო არხებში.

## მარკეტინგი

**- დამფუძნებლების სახელებს მარკეტინგული მიზნებისათვისაც იყენებთ. მიუხედავად ამისა, თქვენს ბანკში ანაბრების მოცულობა შედარებით მცირეა, ვიდრე სხვა კომერციულ ბანკებში.**

- გეთანხმებით. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ როგორი იყო ჩვენი ბანკის სტრატეგია: თავიდან ბანკი შეიქმნა საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკის სახელით და პრიორიტეტი მცირე მეწარმეებისათვის მიკრო კრედიტების გაცემა იყო. მხოლოდ რამოდენიმე წლის წინ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ანაბრების მოზიდვის შესახებ. პრინციპში, იმ მომენტიდან, როცა ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, ანაბრების მოცულობა საკმაოდ სწრაფად იზრდება და მიმდინარე პერიოდში 24 მილიონ დოლარს შეადგენს; რა თქმა უნდა, ეს არცთუ ისე დიდი მოცულობაა, მაგრამ ჩვენ ეხლა ძირეულად ვცვლით ბანკის სტრუქტურას, კერძოდ, თუ ვთქვათ ადრე ფილიალებს ძირითადად პერიფერიებსა და რეგიონებში ვაკეთებდით, სადაც არის მიკრო სესხების ბაზარი, ახლა უკვე ფილიალებს ქალაქის ცენტრალურ რაიონებში ვხსნით, სადაც მეტად არის შესაძლებელი ანაბრების მოზიდვა. ეს ნიშნავს, რომ გვექნება ფილიალები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან მცირე მეწარმეების დაფინანსებაზე და ასევე ფილიალები, რომელთა პრიორიტეტი ანაბრების მოზიდვა იქნება.

**- რა ღონისძიებებს მიმართავს ბანკი კლიენტების მოსაზიდად და რა არის პრიორიტეტული - ახალი კლიენტების მოზიდვა თუ სხვა ბანკების კლიენტების გადმობირება?**

- პირველი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ გავხსნით ფილიალებს იმ რაიონებში, სადაც შეიძლება დეპოზიტების მოზიდვა: ეს ეხება თბილისს, ბათუმს, ქუთაისს, ფოთს და ყველა იმ რეგიონს, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. ასევე დიდი დაბანდებები გავაკეთეთ ფილიალების რეკონსტრუქციასა და დიზაინში, რომ ისინი კარგად გამოიყურებოდნენ და სერვისი გაუმჯობესდეს. ახლა მიმდინარეობს ბანკომატების დადგმის პროცესი: უკვე გვაქვს ექვსი ბანკომატი თბილისში, ორი – ბათუმში, ერთი – ფოთში. წლის ბოლოსათვის ვგეგმავთ 22 ბანკომატის დადგმას მთელი ქვეყნის მასშტაბით. წელს ვიზა და მასტერკარდთან გავაფორმეთ ხელშეკრულებები. წლის ბოლომდე აუცილებლად დავიწყებთ მასტერკარდის გამოშვებას და სავარაუდოდ ვიზაკარტისაც.

## საპროცენტო განაკვეთები და ტარიფები

**- თქვენი ბანკი ცნობილია როგორც ლიდერი დაბალი საპროცენტო განაკვეთების თვალსაზრისით. ეს თქვენი სტარტეგიაა კლიენტების მოსაზიდად?**

- ძალიან ბევრი მეწარმე საქართველოში არ სარგებლობდა საბანკო სესხებით იმის გამო, რომ საპროცენტო განაკვეთები იყო ძალიან მაღალი. IFC-იმ გააკეთა გამოკვლევა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მეწარმეებისა და საწარმოების მხოლოდ 25 პროცენტი იღებს სესხს ბანკებში. 70 პროცენტი მეწარმეთა იმ ნაწილისა, რომლებიც არ იღებენ სესხს ბანკებში, მიზეზად მაღალ საპროცენტო განაკვეთებს ასახელებენ. ძირითადი მიზანი ჩვენი შარშანდელი გადაწყვეტილებისა საპროცენტო განაკვეთების დაწევის შესახებ, იყო სწორედ ამ სეგმენტის ათვისება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ ეფექტს მივაღწიეთ.

**- რამდენია მინიმალური საპროცენტო განაკვეთი?**

- მცირე მეწარმისათვის საშუალოდ წლიური საპროცენტო განაკვეთი 16 პროცენტს შეადგენს მინიმუმ 20 ათას დოლარზე. 10-დან 20 ათას დოლარამდე - საშუალოდ 18 პროცენტი წლიური. 10 ათას დოლარზე ნაკლებ თანხაზე შედარებით მეტი - 22-24 პროცენტი. გასულ კვირას ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება დავწიოთ საპროცენტო განაკვეთები სესხებზე ლარში. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე ლარებში 17 პროცენტს შეადგენს. სალარე კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების მრუდი, ჩვენს შემთხვევაში, ფაქტიურად წრფივად ვითარდება: 3 თვემდე ვადით – 17 პროცენტი, 6 თვემდე ვადით – 18 პროცენტი, 12 თვემდე ვადით – 20 პროცენტი, 18 თვემდე ვადით – 22 პროცენტი.

**- რამდენად განსხვავებულია საპროცენტო განაკვეთები რეგიონების მიხედვით?**

- საპროცენტო განაკვეთები ერთნაირია ყველგან: მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთები ერთნაირია ყველგან, როგორც თბილისში ასევე რეგიონებში.

**- ქართუ ბანკმა დაიწყო 15 პროცენტიანი სესხების რეკლამირება. თქვენ თუ გასცემთ სესხებს ასეთი საპროცენტო განაკვეთით?**

- ჩვენც ვთავაზობთ ზოგიერთ ჩვენს კლიენტს 15 პროცენტიან სესხებს. ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალურად ხდება. მოკლევადიან კრედიტებზე შესაძლებელია კიდევ დავწიოთ განაკვეთები. აშშ-ში არის მოლოდინი, რომ დოლარზე საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, სავარაუდოდ, არ დავწევთ საპროცენტო განაკვეთებს გრძელვადიან კრედიტებზე, მაგრამ მოკლევადიან სესხებზე ეს სრულიად შესაძლებელია.

**- როდესაც კრედიტებზე ხდება საპროცენტო განაკვეთების დაწევა, ავტომატურად მცირდება პროცენტები დეპოზიტებზე?**

- ჩვენ უნდა გვქონდეს გარკვეული მარჟა. მაგალითად, მაქსიმალური განაკვეთი დოლარის დეპოზიტზე ერთი წლის ვადით შეადგენს 9,5 პროცენტს, მაშინ როცა სესხებს 16 პროცენტად გავცემთ. ეს მარჟა ჩვენთვის, პრინციპში, საკმარისია.



*ფილიპ ზიგვარტი.*

**- გეგმავთ თუ არა საკუთარი სალიზინგო კომპანიის შექმნას?**

- ჯერ არა. როცა ქვეყანაში ძალიან მაღალია ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე, იკარგება ლიზინგის უმთავრესი სარგებელი, რომელიც, როგორც იცით, დაბეგვრასთან არის დაკავშირებული. ლიზინგით, მაგალითად, დანადგარების შეძენა მაშინ იქნება საინტერესო, როცა მეწარმეები რეალურად დაიწყებენ გადასახადების გადახდას. როცა ეს დრო დადგება, ჩვენც დავიწყებთ ლიზინგის შეთავაზებას.

## კონკურენტები

**- როგორ ფიქრობთ, ვინ არიან თქვენი ძირითადი კონკურენტები?**

- კონკურენტები ძალიან ბევრია. ჩვენ ორი სახის კონკურენტები გვყავს: კომერციული ბანკები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მცირე სესხების ბაზარზე ძირითადი კონკურენტები ის არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, რომლებიც მიკროსესხებს გასცემენ. შედარებით მსხვილი კრედიტების ბაზარზე ძირითადი კონკურენტები კომერციული ბანკებია. და, რა თქმა უნდა, ანაბრების სეგმენტზე კონკურენტები არიან დიდი კომერციული ბანკები: საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი და ა.შ.

**- როგორ ფიქრობთ რა არის თქვენი მთავარი უპირატესობა კონკურენტებთან შედარებით?**

- უპირველეს ყოვლისა ეს არის ჩვენი კადრები, ახალი საბანკო პროდუქტების სწრაფი განვითარება და დანერგვა, ფილიალების ქსელის გაფართოების პროცესი და საკმაოდ აგრესიული სარეკლამო პოლიტიკა. მაგრამ ძირითად კონკურენტულ უპირატესობად ჩვენს კადრებს მივიჩნევ. ასევე ვიტყოდი კორპორატიულ კულტურას, რომელიც ჩცვენთან შედარებით უკეთ არის, ვიდრე სხვა ბანკებში.

## საკადრო პოლიტიკა

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენი ბანკის ერთ-ერთი კონკურენტული უპირატესობა კადრებია. თუ შეიძლება მოკლედ გვითხრათ, როგორია თქვენი საკადრო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები?**

- კადრების შერჩევისას უპირველესი კრიტერიუმი არის პატიოსნება. ჩვენ უნდა ვიყოთ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ ის ხალხი რომლებსაც ვარჩევთ, პატიოსანი ადამიანები არიან. ეს უმთავრესია. საქართველოში ხშირად შეხვდებით ადამიანს, რომელიც შეიძლება იყოს ძალიან ჭკვიანი და განათლებული, ამასთანავე იყოს შრომისმოყვარე, მაგრამ არ იყოს პატიოსანი. აი ესეთი ხალხი ჩვენ არ გვინდა. პატიოსნებას ჩვენ უფრო მეტად ვაფასებთ ვიდრე ნებისმიერ სხვა თვისებასა თუ კვალიფიკაციას. მეორე, რაც უნდა ახასიათებდეს თანამშრომელს, არის მოტივაცია, რადგან შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენთან საკმაოდ დაძაბული სამუშაო პროცესია. თავისთავად მნიშვნელოვანია განათლება. მაგრამ, ისევ და ისევ, უპირველესი და უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი არის თანამშრომლის პატიოსნება.

ამასთან ჩვენთან პრიორიტეტულია კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

**- რამდენი თანამშრომელი გყავთ და რამდენია წლიური სახელფასო ბიუჯეტი?**

- ხელფასების დონე საკმაოდ მაღალია. მიმდინარე პერიოდში თანამშრომელთა რაოდენობა 500-ს აღწევს, წლიური ხარჯები ხელფასებზე 6 მილიონ ლარს აღემატება.

**- გაქვთ თუ არა ბანკში ფასეულობათა სისტემა ან კოდექსი, რომელიც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისათვის?**

- ჩვენ უკვე ორი წელია გვაქვს ქცევის კოდექსი. მიმდინარე წლის დასაწყისში შემოვიღეთ ქცევის ახალი კოდექსი ჩვენს სათაო ოფისთან ერთად ფრანკფურტში. ბანკის ყველა თანამშრომელთან ჩავატარეთ განხილვები და ტრენინგები. მე პირადად დავდიოდი ფილიალებში, როგორც თბილისში ასევე რეგიონებში. ამდენად ეს არ არის რაღაც ფორმალური მომენტი, როდესაც თანამშრომელი მხოლოდ ხელს აწერს ქცევის კოდექსს. ვფიქრობ ყველა თანამშრომელს ესმის, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კოდექსის ძირითადი პრინიპებია პატიოსნება, საბანკო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ინტერესთა კონფლიქტების თავიდან აცილება და ა.შ.

**- როგორია ბანკის თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები?**

- გარკვეული პოზიციებისათვის არსებობს რეგულარული ბონუსების სისტემა; ბანკის აბოლუტურად ყველა თანამშრომელს აქვს სამედიცინო დაზღვევა, რომელსაც მთლიანად იხდის ბანკი; ყოველწლიურად ვირჩევთ სამ თანამშრომელს, რომლებსაც ბანკი უფინანსებს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურას კავკასიის ბიზნეს სკოლაში; გვაქვს შიდა სემინარებისა და ტრენინგების სისტემა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

**- რამდენად მაღალია კადრების გადინება ბანკიდან?**

- ეს მაჩვენებლი ძალიან დაბალია, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევები არსებობს. ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ჩვენ გვყავს ხუთასამდე თანამშრომელი, ამდენად არ შეგვიძლია ყველას მივცეთ შანსი გახდნენ მენეჯერები, ეს ლოგიკურია. თუ მათ მიაჩნიათ, რომ აქვთ პოტენციალი მენეჯერებად იმუშაონ სხვა ბანკებში ან ორგანიზაციებში, მაშინ მათ მიერ უნდა გადაიდგას ეს ნაბიჯი და ჩვენ ამას გაგებით ვხვდებით. ყველაზე კარგი და საუკეთესო კადრები ჩვენს ბანკში იკეთებენ კარიერას.

**- განსხვავებულია თუ არა თანამშრომელთა ხელფასები თბილისსა და რეგიონებში?**

- აქ საბაზრო პრინციპები მოქმედებს. ჩვენ ორიენტირებულნი უნდა ვიყოთ ბაზრის პირობებზე, ეს ეხება როგორც რეგიონებს, ასევე თბილისს.

**- დღესდღეობით თქვენი ბანკის ტოპ მანეჯმენტში მხოლოდ უცხოელები არიან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მენეჯმენტის ეს დონე ადგილობრივი კადრებისთვის დაკეტილია?**

- არა, ეს ასე არ არის. მე გეტყვით ერთ მაგალითს. ჩვენი ერთ-ერთი თანამშრომელი, ქართველი, რომელიც იყო ბათუმის ფილიალის მმართველი და ამავე დროს ბანკის ერთ-ერთი დირექტორი, ეხლა არის პროკრედიტ ბანკის ცენტრალური ფილიალის მმართველი კიევში. ვფიქრობ, რომ მან ძალიან კარგი კარიერა გაიკეთა და არ გამოვრიცხავ, რომ ის დაბრუნდეს ჩვენს ბანკში უკეთეს თანამდებობაზე. ამდენად, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაქვს ესეთი პრინციპი, რომ ადგილობრივი კადრები ვერ გახდებიან დირექტორები, უბრალოდ ამ ეტაპზე ყველა დირექტორი უცხოელია.

## ფილიალები და რეგიონალური პოლიტიკა

**- ფილიალების გახსნის დროს რა პრინციპებით ხელმძღვანელობთ,**

- პირველ რიგში, ჩვენ ვცდილობთ მოვემსახუროთ რაც შეიძლება მეტ ადამიანს საქართველოში. ახლა გვაქვს 18 ფილიალი და განყოფილება ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. ვგეგმავთ დამატებითი ფილიალების გახსნას თბილისში და რეგიონებში.

**- ფილიალის გახსნისას თუ კეთდება გარკვეული ანალიზი მოგებიანობის თვალსაზრისით?**

- ფილიალის გახსნისას ხდება ანალიზი და შესაბისი დაგეგმვა. ფილიალი მოგებიანი უნდა გახდეს მინიმუმ 9 თვის შემდეგ. მაგალითად, როდესაც საბურთალოზე გავხსენით ფილიალი, ის 6 თვეში მოგებაზე გავიდა.

**- როგორია ამ მხრივ რეგიონები, მაგალითად ზუგდიდი, სადაც თქვენ გახსენით ფილიალი?**

- ზუგდიდის ფილიალი ზუსტად 4 თვეში გავიდა მოგებაზე. ამის ძირითადი მიზეზი იყო შემდეგი: 2003 წლის აპრილისათვის, როდესაც ჩვენ გავხსენით ფილიალი, ზუგდიდში აქტიურად თითქმის არც ერთი ბანკი არ მუშაობდა, მაგრამ იყო უზარმაზარი მოთხოვნა როგორც მცირე, ასევე შედარებით მსხვილ სესხებზე. ჩვენ, შესაბამისად, ძალიან აგრესიულად დავიწყეთ კრედიტების გაცემა. აღსანიშნავია, რომ პორტფელის ხარისხი ზუგდიდში ძალიან კარგია. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ეს ფილიალი ძალიან სწრაფად გავიდა მოგებაზე.

## კაპიტალი და მოგებიანობა

**- თქვენს ბანკში ხარჯების თანაფარდობა შემოსავლებთან საკმაოდ მაღალია და თითქმის 75 პროცენტს შეადგენს.**

- გეთანხმებით. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ბანკი მხოლოდ 5 წელია მუშაობს საქართველოში და ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ შევქმენით ფილიალების საკმაოდ ფართო ქსელი. ეს გარკვეულ ინვესტიციებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, სწრაფად იზრდება თანამშრომელთა რაოდენობაც. ზრდის ასეთი ტემპების პირობებში შეუძლებელია მიაღწიო ხარჯების ძალიან კარგ თანაფარდობას შემოსავლებთან. როცა ამ მხრივ მიღწეული იქნება გარკვეული სტაბილურობა, ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდება. მეორე მიზეზი არის ის, რომ ჩვენ ვცდილობთ კლიენტებს შევთავაზოთ ყველაზე კარგი პირობები: დაბალი საპროცენტო განაკვეთები და ძალიან დაბალი ტარიფები სხვადასხვა საბანკო ოპერაციებზე. სუფთა მოგებამ ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ გასულ წელს 1,5 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს იყო კაპიტალის 15 პროცენტი. პრინციპში ეს არის ის, რასაც ჩვენი აქციონერები ჩვენგან ელოდებიან – მინიმუმ 15 პროცენტიანი ამონაგები კაპიტალზე და ჩვენ მათ ამ მოგებას ვაძლევთ.

**- რა მოგებას ელით მიმდინარე წელს?**

- ბიზნეს-გეგმის მიხედვით მოგებამ 2 მილიონი დოლარი უნდა შეადგინოს. მიმდინარე წელს იყო გარკვეული ფაქტორები, რომლებმაც გაზარდეს ჩვენი ხარჯები, მაგალითად ლარის კურსის გამყარება. ჩვენი ხარჯები ხელფასებზე რეალურად ძალიან გაიზარდა და ამდენად ჯერ კიდევ ნაადრევია ვთქვათ, რამდენად მივაღწევთ დაგეგმილ მოგებას.

**- მიმდინარე წელს რატომ მოხდა ბანკის კაპიტალის გაზრდა და რა მიმართულებით მოხდება თანხების ინვესტირება?**

- პირველ რიგში იმიტომ, რომ ბანკი ძალიან სწრაფად იზრდება. მიმდინარე წლისათვის იგეგმებოდა ბანკის კაპიტალის გაზრდა, მაგრამ ამ ეტაპზე ამის აუცილებლობა არ არსებობდა. კერძოდ, ჩვენი ყველა მონაცემები აბსოლუტურად შესაბამისობაში იყო ეროვნული ბანკის მოთხოვნებთან. ჩვენმა დამფუძნებლებმა, ასე ვთქვათ ბანკის მიმართ ნდობის ნიშნად და ასევე შეიძლება ითქვას საქართველოსადმი ნდობის ნიშნად გადაწყვიტეს კაპიტალი გაეზარდათ უფრო ადრე, ვიდრე იგეგმებოდა. ჩვენი კაპიტალი გაიზარდა 28 მილიონ ლარამდე და ახლა ეს დამატებითი სახსრები პირველ რიგში მეწარმეებისათვის დამატებითი კრედიტების გაცემაზე მიემართება.

**- სტრატეგიული საკითხი: როგორ ხედავთ თქვენს ბანკს 2-3 წლის შემდეგ?**

-სტრატეგია უცვლელია. ამ ბანკში თუ არსებობს ერთი რამ, რაც არასოდეს შეიცვლება, არის ის, რომ ჩვენ ვართ ბანკი მეწარმეებისათვის, განურჩევლად მათი სიდიდისა.



*ირაკლი კილაურიძე, ნინო მასურაშვილი.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

| ბანკის ზოგადი მონაცემები 30.06.04 | |
|---|---|
| ბანკის დასახელება | სს "პროკრედიტ ბანკი" |
| ბანკის დაარსების თარიღი | მაისი, 1999 |
| ბანკის აქციონერები | IMI, EBRD, IFC, KfW, IPC, Commerzbank AG |
| ბანკის გენერალური დირექტორი | ფილიპ ზიგვარტი |
| ბანკის ფილიალების რაოდენობა | 18 |
| ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა | 498 |
| ბანკის CAMEL-ის მიმდინარე რეიტინგი | 2 |
| ბანკის ვებ-გვერდი | www.procreditbank.ge |

| საბალანსო უწყისი 30.06.04 (ათასი ლარი) | |
|---|---|
| ნაღდი ფული და ფულადი სახსრები | 35,466 |
| მთლიანი სესხები | 106,939 |
| მინუს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (3,982) |
| წმინდა სესხები | 102,957 |
| დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 1,290 |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 5,786 |
| სხვა აქტივები | 3,317 |
| **მთლიანი აქტივები** | **148,816** |
| | |
| მიმდინარე ანგარიშები | 21,214 |
| მოთხოვნამდე დეპოზიტები | 5,755 |
| ვადიანი დეპოზიტები | 18,776 |
| ბანკების დეპოზიტები | 4,527 |
| ნასესხები სახსრები | 58,413 |
| დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 1,239 |
| სუბორდინირებული და სხვა ვალდებულებები | 5,342 |
| **მთლიანი ვალდებულებები** | **115,265** |
| | |
| ჩვეულებრივი აქციები | 22,773 |
| პრივილეგირებული აქციები | 5,227 |
| საემისიო კაპიტალი | 225 |
| გაუნაწილებელი მოგება | 5,326 |
| **სულ სააქციო კაპიტალი** | **33,551** |
| **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | **148,816** |

| მოგება-ზარალის უწყისი 01.01.04-30.06.04 (ათასი ლარი) | |
|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 11,244 |
| საპროცენტო ხარჯები | 2,558 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **8,686** |
| | |
| საკომისიო შემოსავლები | 833 |
| საკომისიო ხარჯები | 334 |
| **წმინდა საკომისიო შემოსავლები** | **499** |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 913 |
| სხვა არასაპროცენტო ხარჯები | 8,478 |
| **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | **(7,065)** |
| | |
| წმინდა მოგება დარეზერვებამდე | 1,621 |
| ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | (280) |
| მოგება გადასახადის გადახდამდე | 1,902 |
| მოგების გადასახადი | 380 |
| **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | **1,521** |









## „ხელოვნების ზეიმის„ ყოფნა და არყოფნა



ბორჯომის მესამე საერთაშორისო ფესტივალი დამთვარდა

B2

## თეთრი ატამი, ვანილი და სხვები



არომათერაპია ცხელი ზაფხულის გასაგრილებლად

B3

## სულ სხვანაირი ნაგავი



B8



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ნოდარ ლადარია

დაცხა ძალიან... თითქოს "24 საათსაც" დაეტყო მზის სისასტიკე: სულ უფრო ხშირად ჩნდება მის ფურცლებზე სასტამბო საღებავის წვრილი წინწკლები — მართლაც ჭორფლსა ჰგავს. ამას კიდევ აიტანს კაცი, მაგრამ ასეთ ფრაზას რა ვუყოთ: "**საქმე სწორედ რომ ლირიკას ეხება, რომელიც ბორჯომის ხელოვნების III საერთაშორისო ფესტივალზე შექსპირისა და თამაზ ჩაჩავას პოეზიით იყო წარმოდგენილი**". იქნებ გგონიათ, რომ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ღონისძიება იგულისხმება? — ნურას უკაცრავად! 15 ივლისის სტატიაში *"ხელოვნების ზეიმის" კინოსეანსი და ლირიკული გადახვევა* **მადი სერებრიაკოვა** პირდაპირ გვეუბნება: "**ლიტერატურული საღამო უილიამ შექსპირის რეზო თაბუკაშვილისეული თარგმანებისა და თამაზ ჩაჩავას ციკლის "და სულში ერთად შემოსული მზე და არამზეს" მიხედვით შექმნილ ერთგვარ მუსიკალურ-პოეტურ პერფორმანსს დაეთმო**". ესეც ასე! — სულ რაღაც ერთი დღის წინ, 14 ივლისს კი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე თავის ჩანახატში *გირჩა* **სანდრო ნავერიანი** ჩიოდა, კაფე-ბარებში შუახნის მოქეიფე ბიძები შემოდიან და ანტურაჟს აფუჭებენო. ქართველებს შექსპირისა და თამაზ ჩაჩავას ერთობლივი "პერფორმანსი" არ აღიზიანებთ და რატომ უნდა გვიკვირდეს, თუ ხანდახან კოქტეილს მწნილით "დაუზაკუსკებენ"...

ბორჯომის ფესტივალს კი ჩვენი გაზეთი ისე აშუქებს, რომ ერთადერთ რამეს ხვდები: ოდესღაც გოგირდმჟავასავით განუკითხავად მწვავე მადი სერებრიაკოვა მოულოდნელად მოლბა და კონვენციონალიზმით აღსავსე შეფასების "სვეტური" სტილი აითვისა. ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ვიგრძენი ამის ნიშნები, როცა დაუმსახურებელი დითირამბებით შეამკო იტალიის საელჩოს მიერ მოწვეული ტენორი, ვინმე **ბარბაჩინი**, რომლის თაობაზე თვით მისი თანამემამულეები აქნევდნენ თავს: davvero faceva pena, 'sto poveretto (მართლაც შეგეცოდებოდა ეს უბედურიო)... ეს კი არა და მადი სერებრიაკოვამ თავისი წინაპრების ენაც კი დაივიწყა და 17 ივლისს გამოქვეყნებულ წერილს ასეთი სათაური წაუმძღვარა: "... Завтра Родину продаш!". ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, რომ მანაც ყველა ქართველისათვის ოდესღაც საძულველ "მიაჰკი ზნაკზე" წაიბორძიკა და ამგვარი წინადაცვეთა ჩაუტარა რუსულ ზმნას "продашь"...

მაგრამ რას იზამ, საშინლად დაცხა და მეც ალბათ ამიტომ დავიწყე დღევანდელი მიმოხილვა მეათეხარისხოვანი საკითხებით. პაპანაქებით გათანგული, შორიახლოს ვუვლი ჩვენი უახლოესი პოლიტიკური მიზნებისათვის მართლაც რომ გადამწყვეტ შეკითხვას: *ოთხმხრივი ოქმი შედგა, მაგრამ რა წერია დოკუმენტში?* ამ სათაურით ხელმოუწერელი სტატიაც კი გამოაქვეყნა "24 საათმა" 16 ივლისს. სრულიად სამართლიანად გვაინტერესებს, რა საკითხები იქნა გათვალისწინებული ოთხმხრივი შეხვედრის შედეგში და როგორ გადაწყდა ისინი. მაგრამ არის ერთი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მომენტი, რომლის გასაგებად რამდენიმე დღით უკან უნდა დავიხიოთ...

12 ივლისს გაზეთმა პირველ გვერდზე მსხვილი შრიფტით გამოიტანა პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვები: "**ამ კონფლიქტში მეორე მხარე მოსკოვია**". ამ აზრს მე მთელი სულითა და გულით ვეთანხმები. ახლა კი შესაბამის კონტექსტში ჩავსვათ ეს სიტყვები და უფრო ღრმად დავუფიქრდეთ, რა თქვა პრეზიდენტმა: "**ამ კონფლიქტში მეორე მხარე მოსკოვია და არა ცხინვალი. ეს ქართულ-რუსული ურთიერთობის საკითხია. 10 ივლისს რუსეთის დუმის მიერ მიღებული განცხადება სრულიად პროვოკაციული ხასიათისა იყო ... თუ ვინმეს მიაჩნია, რომ საქართველო ამგვარ პროვოკაციაზე წამოეგება, ძალიან ცდება, რადგან ჩვენ სახელმწიფო ვართ და ასე ადვილად ვერ დაგვაშინებენ.**" ამასაც მთელი სულითა და გულით ვეთანხმები და **ვლადიმერ გუცაევის** არ იყოს, მეც მიმაჩნია, რომ "**პრეზიდენტის პოლიტიკა სწორი და სამართლიანია**".

ახლა კი კვლავ ოთხმხრივი შეხვედრის ოქმს დავუბრუნდეთ და უკვე ცხადად დავსვათ შეკითხვა: რა ჰქვია ამ დოკუმენტს? რა აწერია სათაურად? უფრო კონკრეტულად კი: როგორაა განმარტებული და განსაზღვრული მისი მთავარი საკითხი? იმის თქმა მინდა, რომ თუ ეს დოკუმენტი თავის მთავარ საგანს განსაზღვრავს როგორც "ქართულ-ოსურ კონფლიქტს", მაშინ უკვე იმდენი მნიშვნელობა აღარა აქვს, გათვალისწინებულია თუ არა მასში როკის გვირაბის პრობლემები, ხოლო პრეზიდენტის "სწორი და სამართლიანი" პოლიტიკა მყისვე ჩამოქვეითდება კანცელარიასთან შეგროვილი თბილისელი ოსების მიმართ წარმოთქმულ პროპაგანდისტული ხერხის დონეზე.

ახლა კი უფრო ფუნდამენტური შეკითხვა დავსვათ: შეგვიძლია თუ არა ვამტკიცოთ, რომ საქმე რამენაირად მაინც ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა, თუ დასკვნით დოკუმენტში შენარჩუნებულია განსაზღვრა "ქართულ-ოსური კონფლიქტი"? — რიტორიკულ შეკითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითია; კონკრეტულ შეკითხვაზე კი — დღემდე უცნობი. აი, 17 ივლისსაც კი რუსუდან ნიკურაძე შემდეგ ცნობას გვაწვდის: თურმე "იზვესტიაში" გამართულ პრესკონფერენციაზე "**ნათლად გამოჩნდა, რომ ჩოჩიევი, ისევე როგორც ჟურნალისტები, ვერ გარკვეულა, მაინც რა ხასიათის ოქმს მოეწერა ხელი**". ჩოჩიევისა და კოკოითის ყაიდის ხალხს, ბუნებრივია, მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენა აინტერესებთ და მათ დოკუმენტის შინაარსი მაინცდამაინც დიდად არ უნდა ადარდებდეთ, მაგრამ ჩვენ ხომ სულ სხვა რამ გვაინტერესებს! მაშ რით განსხვავდება ეს განსაკუთრებული ოქმი ამ საკითხის გარშემო ხელმოწერილ სხვა მრავალი დოკუმენტისაგან, რომელთაც 14 წლის განმავლობაში არავითარი შედეგი არ მოჰყოლია? ღირდა კი ასეთი გაურკვეველი დასასრულისთვის ასეთი ხმაურიანი კამპანიის დაწყება?

14 ივლისს **სოფო ბუკია** დაგვპირდა, დედოფალთან საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობას ბრიტანეთი დღეს შეაფასებსო, მაგრამ შეფასებას მაინც არ მიუღწევია ჩვენამდე. არაფერია, ამას მოვითმენთ, მაგრამ ოთხმხრივი შეხვედრის ოქმი კი ნამდვილად უნდა შევაფასოთ ჩვენ თვითონ და ამის საშუალება ცალკე მთავრობამ უნდა მოგვცეს და ცალკე მედიამ.

აბა, მარტო "24 საათში" გამოქვეყნებულ აფხაზეთის სტატუსის კონცეფციას ხომ არ უნდა შეხვდეს ფართო საზოგადოებრივი განხილვის პრივილეგია! თუმცა ეს პრივილეგიაც თურმე არც მაინცდამაინც მომგებიანი აღმოჩნდა, როგორც **ზაზა ფაჩუაშვილს** მიაჩნია, რომელმაც თავის სტატიას 16 ივლისის ნომერში ასეთი სათაური მისცა: *კონცეფციის დასამარება "აფხაზურ კლუბში"*. დასამარდა თუ არა კონცეფცია? ალბათ ჯერ მესაფლავეები უნდა ვიკითხოთ. სტატიიდან ვიგებთ, რომ ესენი არიან: პარლამენტარი ნიკა გვარამია, სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე, მოძრაობა "დაბრუნების" თავმჯდომარე მალხაზ პატარაია, ყველასათვის ცნობილი ბორის კაკუბავა და ერთიც "უცნობი ქალბატონი". ყველაზე მეტად ამ უკანასკნელმა გამაკვირვა და საგანგებოდ დავურეკე კონცეფციის ერთ-ერთ ავტორს, **პაატა ზაქარეიშვილს**. თურმე კითხვაზე "თქვენ ვინ ბრძანდებით?" ქალბატონს უპასუხია, ეს თქვენი საქმე არააო. ამაზე ნუ შევყოვნდებით, ჩვენ ის ვიკითხოთ: რისი "დასამარება" ძალუძს აქ ჩამოთვლილ კომპანიას? მერწმუნეთ, დიდხანს მოგვიწევს ფიქრი...

"მესაფლავეთა" არგუმენტებიდან ერთი განსაკუთრებით საყურადღებოა: "**დაუშვებელია აფხაზეთის მიჩნევა აფსუების ქვეყნად — ვინ გითხრათ, ბატონო ავტორებო, რომ აფხაზები და აფსუები ერთი და იგივე ეთნოსია? ესეც ისტორიული ბლეფია**". კონცეფციის ქართულ ტექსტში არაა და ვერც იქნება სიტყვა "აფსუა" — ეს აფხაზების თვითდასახელებაა და მსგავსი შეკითხვა იმის მტკიცებას ჰგავს, თითქოს "ქართველები", "გრუზინები" და "გურჯები" სამი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სახელი იყოს. როგორც ეტყობა, ჯერ კიდევ შეიძლება ვიპოვოთ ადამიანები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, რომ შეუძლიათ ერთმანეთისგან გაარჩიონ "ნამდვილი აფხაზები" და "აფსუები". თანაც გარჩევის კრიტერიუმი ძალიან მარტივია: პირველები აუცილებლად უნდა აღიარებდნენ ქართველთა ანთროპოლოგიურ უპირატესობას...

სწორედ ამას დარდობს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **როლანდ თოფჩიშვილი** სტატიაში *ერთი ანტიეროვნული გამოხტომის გამო* (15 ივლისი). საქმე იმ საყოველთაოდ ცნობილ და სამარცხვინო განცხადებას თუ მოთხოვნას ეხება, რომელიც საქართველოს პარლამენტში დეპუტატმა **გოჩა ფიფიამ** გააკეთა. შესაძლოა, ვინმეს ეგონოს, რომ პროფესორის ეს რეაქცია უკვე დაგვიანებულია, მაგრამ სიმართლის თქმა გვიან არასოდეს არაა, ჩვენს საზოგადოებას კი ამ სიმართლის ხშირად შეხსენება ნამდვილად სჭირდება. ციტირებისათვის ეფექტური ადგილის მოსაძიებლად სტატია ორჯერ წავიკითხე და ერთი აზრი მომივიდა, ვინ იცის, იქნებ ახლა ბატონ როლანდს უცნობი ადამიანები ურეკავენ და "ერის ღალატში" ადანაშაულებენ. ასეთი არაერთი შემთხვევა ვიცი, მაგრამ ჩამოთვლისგან თავს შევიკავებ. სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ გოჩა ფიფიას არც ერთი ასეთი საყვედური არ დაურღვევდა სიმშვიდეს. ესეცაა, რომ სიბრიყვე ძალიან ქმედითი დამცველი მექანიზმია: **შალვა ნათელაშვილისა** არ იყოს, ალბათ ვერც ის მიხვდა, როგორ აიგდეს მასხრად "202"-ის ტელეგადაცემაში "დებატები"...

და მაინც, ყველაზე დიდი უბედურება ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა კი არა, ის გახლავთ, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები დღემდე ვერ დამკვიდრდა ქართველი კაცის თვითშეგნებაში. ამაში, სხვათა და სხვათა მრავალთა შორის, "Georgian Times"-ის ბოლოდროინდელი ისტორია მარწმუნებს. თავიდანვე უნდა ვაღიარო, რომ მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, როგორც კერძო პირს, ძალიან მინდა ამ გაზეთის დახურვა. ამის მიზეზი ერთადერთია: არც ისე "ბანძი" ქვეყანა ვართ, როგორც მისი წაკითხვის შემდეგ შეიძლება იფიქროს კაცმა.

მაგრამ დახურვის პროცესი ცოტა სხვანაირად წარმომიდგენია: მოქალაქემ ან მოქალაქეთა ჯგუფმა უნდა შეიტანონ სარჩელი სასამართლოში იმის გამო, რომ გაზეთში ვრცელდება აშკარად რეაქციული და ფაშისტური იდეები, ღვივდება შუღლი ეთნიკურსა და რელიგიურ ნიადაგზე. არა, იურისტი ნამდვილად არა ვარ და ამ დეტალებში უფრო ღრმად შესვლას მოვერიდები. მხოლოდ ერთს ვიკითხავ: ქართველი ჟურნალისტები რატომ ერთხელ მაინც არ დაინტერესებულან ამით? რატომ ერთხელაც არ გამოუთქვამთ აღშფოთება ამ გამოცემის გამო? მე, მაგალითად, საშინლად ვღიზიანდები იმის გამო, რომ ამ გაზეთის ინგლისურ ვერსიას თვითმფრინავებში უფასოდ აჩეჩებენ ხელში უცხოელ მგზავრებს; და სასოწარკვეთილება მეუფლება, როცა (ძალიან იშვიათად) მის ქართულ ვერსიას გადავშლი ხოლმე.

დიახ, ძალიან მინდა, ეს გაზეთი დაიხუროს, მაგრამ მის წინააღმდეგ ასე ჩვეულად და უნიჭოდ წარმართული ზომები გაცილებით უფრო დიდ აფორიაქებას იწვევს ჩემში: ნუთუ იმის იმედი არა გვაქვს, რომ ხალხი სამართლიანობას მხარს დაუჭერს? ეს თავისთავად ტრაგიკულია, ამის უკან კიდევ უფრო მტკივნეული შეკითხვა რომ არ იმალებოდეს: ნუთუ ჭეშმარიტებისაკენ ჩვენი სწრაფვა ისევ გარეგანი კოსმეტიკური ზომებით უნდა შემოიფარგლოს? სად დაიკარგა ის შემართება, რომელმაც თავის დროზე ხელის ერთი მოსმით ჩაუგდო ხმა **ბასილი მკალავიშვილის** ბარბაროსობის ცხად და არაცხად მომხრეებს?

მახსოვს, როცა უშიშროების "სპეც-ნაზი" თუ "სპეც-ლამაზი" "რუსთავი-2"-ის შენობაში შევიდა, **შევარდნაძე** თბილისში არ ყოფილა. მგონი, არც **სააკაშვილი** იყო თბილისში, როცა ფინანსური პოლიცია დაადგა თავზე "Georgian Times"-ს. გულისამრევი პარალელია, მაგრამ არ შემიძლია არ მივაპყრო მკითხველის ყურადღება. ადმინისტრაციული უნიჭობა და ზედაპირულობა თვით ბოროტებაზე უფრო საშიშია.

ვფიქრობ, ეს საკითხი საზოგადოების მოსაგვარებელია. მაგრამ ჩვენი საზოგადოება, როგორც ჩვენს პატრიოტებს უყვართ თქმა, "მზად არ არის". ჰოდა, სახალხო რისხვის მაგიერ მივიღეთ **ნოდარ გრიგალაშვილის** პატარა წერილი, რომელიც "24 საათმა" 17 ივლისს გამოაქვეყნა. პარლამენტარი სვამს კითხვას: "**ჯორჯიანთაიმსელებო, ამხანაგო დოქსოპულო, შენ დედა გყავს?**". ვთქვათ, გაზეთის რედაქტორი გულაშვილი დოქსოპულოს გაგონებს, მაგრამ რატომ უნდა მისცე საბაბი გითხრას, რომ ეს შეკითხვა პირველწყაროში ვარლამის დასმულია? მით უმეტეს, როცა მთლად მტყუანი არა ხარ: "**ვინც ოჯახში გაიზარდა, გამიგებს, რა აბსურდთან გვაქვს საქმე, ხოლო თუ "ჯორჯიან თაიმსის" გამომცემელი ღობის ძირში ჭინჭარივით არის ამოსული, ცხადია, ვერ მიხვდება, რას ვწერ**". წერილის ავტორს თითქმის ყველაფერში ვეთანხმები, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, საქართველოს პარლამენტის წევრს მეტი ლიტერატურული გემოვნება და პიროვნული ღირსება შეჰფერის.

მადლობა ღმერთს, "24 საათს" ეყო ღირსების გრძნობა და არც ეკონომიკური რეფორმების გამო **მანანა არჩვაძე-გამსახურდიას** უკმაყოფილებისთვის შეუწუხებია თავი და არც **შალვა ნათელაშვილის** აბდა-უბდა მიუღია სერიოზულად... ამ უკანასკნელს მხოლოდ გიორგი ასანიშვილის გესლიანი კალამი ხვდა წილად 13 ივლისის ნომერში. აქ ვკითხულობთ, რომ ნათელაშვილი საქართველოს პრეზიდენტს ცხინვალის რეგიონში ჩატარებულ ჰუმანიტარულ აქციებს უწუნებს, მიიჩნევს, თითქოს ამით ხელისუფლებას ხალხის ყურადღების მცდარი მიმართულებით წარმართვა უნდა: "**ამიტომ დარბის ცხინვალში ფქვილითა და სასუქებით, — ჰუმანიტარული დახმარების მიმართ რაღაც უცნაური აგრესიით გამოირჩევა მშრომელი ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული პარტიის ხელმძღვანელი**". თვით ნათელაშვილს კი სულ სხვა რამ მიაჩნია უცნაურად: ამ რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით აღიარა, რომ 23 წლის ასაკში გახდა უზენაესი სასამართლოს პროკურორი და გაუკვირდა, როგორ შეამჩნიეს საბჭოთა კავშირში მისი პირადი ღირსებები. ჩვენ კი კარგად ვიცით, რის ფასად "ამჩნევდნენ" საბჭოთა კავშირში "პირად ღირსებებს" და, აქედან გამომდინარე, ვის ინტერესებს იცავს დღემდე ჩვენი პირველი ლეიბორისტი. აკი მეტყველებაში გამოყენებულ ტოპონიმებზეც არ ეტყობა პატრონის ვინაობა? — "**მეტი არაა ჩემი მტერი, რომ სააკაშვილმა ტერიტორიები დაიბრუნოს. რომც დაიბრუნოს და საქართველო ვლადივოსტოკამდე გადაჭიმოს, მის ხელში ქვეყანა მაინც დაჩაგრული იქნება, — პირადული ბოღმა ახრჩობს სულ ახლახან (შესაძლოა, ამჟამადაც) პრეზიდენტობაზე მეოცნებე ნათელაშვილს**".

ასეთი უცნაური წყვილები წარმოშვა თბილისურმა სიცხემ: უილიამ შექსპირი და თამაზ ჩაჩავა, პაატა ზაქარეიშვილი და ბორის კაკუბავა, შალვა ნათელაშვილი და მიხეილ სააკაშვილი... ჩვენ კი ბევრს არ ვითხოვთ ცხოვრებისგან — იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ საყვარელი გაზეთის A2 გვერდმა პირვანდელი ლამაზი სახე დაიბრუნა.

# "ხელოვნების ზეიმის" ყოფნა და არყოფნა

## ბორჯომის მესამე საერთაშორისო ფესტივალი დამთავრდა

***"როცა ხელოვნება ზეიმობს, მაშინ მეფობს მშვიდობა, სიკეთე, ჭეშმარიტება და სიყვარული"*** *– ლიანა ისაკაძემ ეს სიტყვები წაუმძღვარა ბორჯომის ხეობაში დაარსებულ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალს, რომელიც წელს მესამედ გაიმართა. გასული ფესტივალებისგან, წლევანდელი ბევრი რამით განსხვავდებოდა. პირველ რიგში კი იმით, რომ წელს ბორჯომის ფესტივალი ყოფნა–არყოფნის დილემის წინაშე იდგა. "ხელოვნების ზეიმი" ხელოვნების ომად გადაიქცა, სადაც წაგება და გამარჯვება ბრძოლის ველზე (სცენაზე) კი არ წყდება, არამედ სადღაც სხვაგან (მოვერიდები პირობით გამოთქმებს "ზევით" ან "ქვევით") – საქართველოს კულტურის მარეგულირებელ ორგანოებში.*

მადი სერებრიაკოვა

წლევანდელი ფესტივალის ისტორია, მართლაც ძლიერ უსიამოვნო გაუგებრობით დაიწყო, რომელიც ფესტივალის დამფუძნებელ, გამოჩენილ მევიოლინე ლიანა ისაკაძესა და კულტურის სამინისტროს შორის საკმაოდ ხმაურიანი მედია-დუელით აღინიშნა. გამარჯვებულისა და დამარცხებულის ძიება აქ სრულიად უსარგებლო საქმეა – ორივე მხარეს საკუთარი ობიექტური არგუმენტები გააჩნდა და საკუთარ სიმართლეს ნებისმიერ ინსტანციაში მონდომებით ამტკიცებდა. რომ არა კერძო სპონსორის ჩარევა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ვიღაც შეგნებულად ცდილობდა ფესტივალის ჩაშლას და ამით საკუთარი ღირებულების დამტკიცებას. საბედნიეროდ, დაპირისპირებულმა მხარეებმა ბოლო მომენტში გამოიჩინეს გონიერება და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მესამე ფესტივალი დაიწყო: ყველა მონაწილე უკლებლივ ჩამოვიდა, კონცერტი გამართა და ბორჯომსა თუ ლიკანს კეთილი სურვილებით დაემშვიდობა. იქნებ, მთელი ეს ისტერიკა, უბრალოდ, ბორჯომში მსმენლების მისაზიდად გამიზნული კომერციული ფანდი იყო? არა მგონია, თუმცა შარშანდელთან შედარებით, წელს ანშლაგების რიცხვმა იმატა.

ფესტივალის მსვლელობისას ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ დუელი მაინც გრძელდებოდა, თუმცა ხელთათმანის სროლისა და მედიით ექსპრესიული განცხადებების გარეშე. ერთი მხრივ, შიში და გაურკვევლობა სუფევდა მონაწილეთა რიგებში. **"ახალგაზრდა მინისტრები ხშირად არაადეკვატურად აფასებენ ქვეყნის კულტურულ მონაპოვარს და ამა თუ იმ ფიგურის მნიშვნელობას კონკრეტული კულტურისათვის. ამან ბევრ ქვეყანას მოუტანა ზიანი, თუმცა ქართველებს ეს არ ემუქრებათ. საქართველოში ყველა ბავშვი მღერის. კულტურის მინისტრი თუ აქამდე არ მღეროდა, ძალიან მალე ამღერდება"** – ასე მსჯელობდა ლიტველი დრამერი ვლადიმირ ტარასოვი ფესტივალის შემთხვევით ყურმოკრულ პრეისტორიაზე. **"...და ეს არის არასაკმარისად პროფესიული ფესტივალი?!"** – უფრო კატეგორიული იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი, მაქსიმ ვენგეროვის ბრწყინვალე კონცერტის შემდეგ.

მეორე მხრივ, კი ფესტივალის სამომავლო პერსპექტივებზე გამომსახველად მეტყველებდა ის ფაქტი, რომ არც გახსნისა და არც დახურვის ცერემონიალს, რომ აღარაფერი ვთქვათ რიგით კონცერტებზე, არ დასწრებია კულტურის მინისტრი, პირველი ლედი, ან სახელმწიფოსგან მხარდაჭერის სიმბოლოს სტატუსის მატარებელი სხვა პიროვნება.

მესამე მხრივ, კი ყოველთვის მაღიზიანებდა, როცა ესა თუ ის ხელოვანი, რომლის ცხოვრებაცა და შემოქმედებაც, წესით, პოლიტიკურ კონიუნქტურაზე მაღლა უნდა იდგეს, - გაუთავებლად წერს და იღებს მხარდაჭერის წერილებს პრეზიდენტებისაგან თუ სახელმწიფოს სხვა მმართველებისგან. "ხელოვნების ზეიმის" მსგავსი ფესტივალები მსოფლიოში საკმაოდ ბევრია და იმის წარმოდგენა, რომ ყოველი მათგანი ამა თუ იმ პრეზიდენტის, მინისტრის ყოფნა-არყოფნასა და ნება-სურვილზე შეიძლება იყოს დამოკიდებული – საკმაოდ შეურაცხმყოფელად მიმაჩნია ფესტივალისთვის, პრეზიდენტისთვის, მინისტრისთვის და საერთოდ - ქვეყნისთვის. საეჭვოა ისიც, თუ რამდენად შეასრულებს საკუთარ ზეპოლიტიკურ მისიას პოლიტიკურ ქართა ქროლვაზე დამოკიდებული ფესტივალი.

### გადამწყვეტი ბრძოლა არსებობისთვის

ფესტივალზე რამდენიმე სრულიად დაუვიწყარი კონცერტი ჩატარდა და ეს, მგონი, საკმარისია იმისთვის, რომ "ხელოვნების ზეიმი" შემდგარად მივიჩნიოთ. ყველაზე განსაკუთრებული, ალბათ, მაქსიმ ვენგეროვის კონცერტი იყო. ფენომენალური მევიოლინის ავ-კარგზე საუბარი, ახლა, მგონი უადგილო იქნება. ეს უკვე ისედაც ყველამ გაიგო. მხოლოდ, იმას მოგიყვებით, რაც კულისებსა და კულუარებში ხდებოდა. საქართველოში ორი დღით ჩამოსულმა ახალგაზრდა ვენგეროვმა ყველაზე სკეპტიკური და ცინიკური მსმენლიც კი გამოიყვანა განყენებულ-პროფესიული პოზიდან და დაანახა და გააგონა, რომ მუსიკა ნოტებითა და ბგერებით არ ითვლება და არც თარიღებითა და სათაურებით კონკრეტიზირდება. მევიოლინეს წარღვნასავით მოვარდნილმა ენერგიამ გულამოსკვნით ატირა დამსწრე საზოგადოების მდედრობითი ნაწილი და სიმწრის ოფლი ადინა დანარჩენს. კონცერტის შემდეგ კულისებში შეჭრილმა აუდიტორიის ჟურნალისტურმა ფრთამ კი ვენგეროვის მისამართით ერთადერთი, დროისა და გარემოების შესაფერისი შეკითხვა დასვა: "შეიძლება გაკოცოთ?"

ფესტივალის კიდევ ერთი დაუვიწყარი საღამო "განელინი-ტარასოვი-ჩეკასინის" ტრიოს კონცერტს უკავშირდება. ტრიოს მონაწილეობა ფესტივალში – თავისთავად უკვე საინტერესო ფაქტია. საბჭოთა ჯაზის ვეტერანები – ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) გამონაკლისი, რომელმაც თავი თანამედროვე დასავლურ ჯაზში დაიმკვიდრა – ბორჯომში სწორედ იმ ლეგენდარული შემადგენლობით ჩამოვიდა, რომელიც ორი ათეული წლის წინათ დაიშალა და მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ შემთხვევებში, დროებით გაერთიანდა. იმპროვიზაციულ, თავისუფალ ჯაზს სპეციფიკური მსმენელი ჰყავს, თუმცა ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მუსიკალური გემოვნება და ჯაზში ღრმად ჩახედულება არავის დასჭირვებია. ვენგეროვის არ იყოს, მათი კონცერტიც პროფესიული განხილვის მიღმა იდგა. თანაც იმდენად, რომ ფესტივალის დახურვისას ლიანა ისაკაძე ყველასთვის მოულოდნელად სწორედ განელინ-ტარასოვ-ჩეკასინის კამპანიაში წარდგა გაოგნებული მსმენელის წინაშე. ექსპერიმენტი რისკიანი იყო, მაგრამ გამართლებული – ლიანა ისაკაძე მაინც გამოირჩეოდა ფესტივალში მონაწილე მასზე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოჩენილი მევიოლინეებისგან, ამომავალი თუ უკვე ამოსული ვარსკვლავებისგან.

ფესტივალმა ერთგვარი პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა მაშინ, როცა რუსულმა "ბალალაიკა ტრიომ" ისაკაძესთან ერთად გამართა კონცერტი. ბალალაიკაზე ვირტუოზმა შემსრულებლებმა მევიოლინესთან ერთად რუსულ-ქართულ-ევროპული რეპერტუარის ორიგინალური და მახვილგონივრული ვერსიები წარმოადგინეს და პოლიტიკოსებზე და მაღალჩინოსან დესპანებზე უკეთ განახორციელეს კულტურათა დიალოგი აშკარად თუ მალულად დაპირისპირებულთა შორის.

უსამართლობა იქნებოდა დადებით კონტექსტში არ გვეხსენებინა ალექსანდრე კნიაზევი, დიმიტრი სიტკოვეცკი, იონ ქ. ლი ან მიხეილ ოვრუცკი. მაგრამ სრულიად განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი, რომელიც თავისი განახლებული შემადგენლობით ფესტივალის საბაზო ორკესტრია. მათი გამოსვლები ჟღერდა, როგორც გადამწყვეტი ბრძოლა არსებობისთვის. ორკესტრის ახალი დირიჟორის, გიორგი ბაბუაძის დამსახურებით, თუ, უბრალოდ, უორკესტროდ და უფესტივალოდ დარჩენის საფრთხის გათვალისწინებით – კამერული ორკესტრი შარშანდელთან შედარებით გაათმაგებული ენთუზიაზმით მასპინძლობდა "ხელოვნების ზეიმის" გამოჩენილ სტუმრებს. წელს ორკესტრი ბევრად უფრო შეკრული, პროფესიულად გამართული და დინამიკური იყო და მოახლოებული 40 წლის იუბილეს ფონზე საკუთარ ღირსებას გაშმაგებული იცავდა. "ხელოვნების ზეიმი" საუკეთესო შანსი იყო, რათა ორკესტრს საკუთარი ისტორიის სამართალმემკვიდრეობა დაემტკიცებინა (ამჟამად სახელმწიფო კამერული ორკესტრის სტატუსსა და იუბილეს მოწყობის პრეროგატივას მათ ინგოლშტატში მოღვაწე ორკესტრის პირველი შემადგენლობა ედავება). მათ ეს შანსი ღირსეულად გამოიყენეს.

ისევე როგორც გახსნაზე, ფესტივალის დახურვაზეც, პათეტიკა და საზეიმო განწყობა საკმაოდ თავშეკავებულად იყო გამოხატული. ლიანა ისაკაძის მადლობა მხოლოდ მინისა და მინერალური წყლების კომპანიის ხელმძღვანელს, მამუკა ხაზარაძის ერგო. ფესტივალი, ლიკანში, რომანოვების სააგარაკო სასახლის ეზოში ამერიკის საელჩოს მიერ მოწყობილმა მიღებამ დააგვირგვინა.

წელს ფესტივალი წარმატებით გაიმართა, ბევრად უკეთ, ვიდრე გასულ წელს. თუმცა, გაიმართება თუ არა კიდევ ერთი "ხელოვნების ზეიმი" – ჯერ არავინ იცის. ამაზე პირველ რიგში ფესტივალის ორგანიზატორებმა უნდა იფიქრონ რომ მენეჯმენტისა და სახსრების მოძიების პრობლემას ცოტა უფრო მოდერნიზებული კუთხით შეხედონ და პრეზიდენტებთან მიწერ-მოწერით არ დაკმაყოფილდნენ. მეორეს მხრივ, კულტურის სამინისტრომაც დროულად უნდა განსაზღვროს საკუთარი პრიორიტეტები და ამა თუ იმ მოვლენის საჭიროებაზე რამდენიმე კვირით თუ თვით ადრე არ უნდა დაიწყოს მსჯელობა. საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი და მის გარშემო კონცენტრირებული მნიშვნელოვანი მუსიკალური ღონისძიებები საქართველომ ერთხელ უკვე დაკარგა, როდესაც ორკესტრის პირველი შემადგენლობა გერმანიაში გადავიდა და ინგოლშტატის მუნიციაპლურ ორკესტრად იქცა. თუ ორკესტრის ახალი შემადგენლობაც მათ ბედს გაიზიარებს – ეს ძალზედ უარყოფითად იმოქმედებს თანამედროვე ქართულ კულტურაზე და კოსმო-პოპ-ფართები ღამის კლუბებში ამ დანაკლისს ნამდვილად ვერ აანაზღაურებს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ფესტივალის დახურვისას ლიანა ისაკაძე ყველასთვის მოულოდნელად სწორედ განელინ-ტარასოვ-ჩეკასინის კამპანიაში წარდგა გაოგნებული მსმენელის წინაშე.*

# დამდნარი ჯვარი

თეონა ჯაფარიძე

რუსთაველის ფრესკის გადაფხეკაამოძირკვით გამოწვეულმა საერთოსახალხო ეროვნული შეურაცხყოფის შეგრძნებების ტალღამ თითქოს გადაიარა. მასმედიაში და შესაბამისად მოსახლეობაშიც ამ ინციდენტთან, უბრალო კრიმინალთან თუ უფრო გლობალურ დანაშაულთან დაკავშირებული (ჯერ ოფიციალური სახელიც არ დარქმევია ამ ფაქტს) ახალი ბუმი ალბათ 24, 25 ივლისს ისრაელში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვიზიტს მოჰყვება და იმედია, სასურველი (სამართლიანი) შედეგით დასრულდება. აი, ქართველ ხელოვანთა წრეებში კი ქართულ-ბერძნული თემატიკა უშედეგო, მაგრამ აქციების ფორმით აისახა (ტროას ხის ცხენი ვაკეში, რაზმაძის ქუჩაზე საბერძნეთის საელჩოსთან და ჩვენი "გმირები"). გუშინ კი მეორე აქცია გაიმართა თბილისში, რომელიც დაახლოებით ასე გამოიყურებოდა:

**მოქმედების ადგილი** – მეიდანი.

**აქციაში გამოყენებული მასალა** – ყინული.

**დრო** – 18ივლისი.

**ტემპერტურა** –დაახლოებით 34 გრადუსი სიცხე.

**აქციის მონაწილეები** – "მოძრაობის თეატრის" დასი და რიგითი მოქალაქეები –გამვლელ-გამომვლელები.

**იდეის ავტორები** – გია ქავთარაძე და გიო ვასაძე.

მეიდანზე გამვლელ-გამომვლელი შექუჩებულა, მანქანები აჩერებენ, გზის სავალ ნაწილზე, ზედ გზაჯვარედინზე "მოძრაობის თეატრის "დასი პანტომიმის ენითა და ბრეიკ-დანსული რიტმების თანხლებით მძღოლების ყურადღების ცენტრში ხვდება. პირდაპირ ცხელ ასფალტზე ყინულის ჯვარი დევს და დნება. ჯვარს უკან ფონად დიდი პლაკატი გასდევს: NO CULTURE - NO FUTURE! ("კულტურის გარეშე მომავალი არ არის!"). თუ წარწერას ახლოს მიუახლოვდებით ნახავთ, რომ ასოები გრაფიკულად გაზეთის სტატიებისგანაა გამოყვანილი. სტატიების დასათაურებები კი გვატყობინებენ, რომ "შოთა რუსთაველის ფრესკა დააზიანეს", ან კიდევ "საქართველოს რუსთაველის ერთადერთი ფრესკა დაუკარგეს" და ა.შ.

"ეს უკვე მე-4 არტ-ვიქენდია, რომელიც მე, გია ქავთარაძემ და "მოძრაობის თეატრმა" "ჯეოსელთან" ერთად ზაფხულის განმავლობაში მოვაწყვეთ. თუ გახსოვთ "ცარცის წრე" ჯერ ბათუმამდე გავაკეთეთ, შემდეგ ცხინვალში პერფორმანსი გვქონდა. დღევანდელი ჩვენი აქცია, მიხდვით ალბათ, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მომხდარ ფაქტს უკავშირდება", მეუბნება "მოძრაობის თეატრის" დამფუძნებელი გიორგი ვასაძე.

მე ვინტერესდები, რატომ ააგეს ამ შემთხვევისათვის ყინულის კუბებისაგან ფიგურა, რომელსაც ჯვრის გამოსახულება აქვს და თანაც რატომ დადგეს ის მაინცდამაინც მეიდანზე?

"მეიდანი სულ მცირე ხუთი სარწმუნოების გადამკვეთი უბანია თბილისში. ამ შემთხვევაში ჯვარი ქრისტიანულ რელიგიურ სიმბოლოსთან ერთად კულტურების გადაკვეთის სიმბოლოს მაგივრობასაც სწევს. ყინულს ამ შემთხვევაში ერებს, კულტურებს, ადამიანებს შორის გულგრილობის, სიცივის, სიმყიფის დატვირთვა აქვს, რომელიც აუცილებლად უნდა გავალღვოთ. აგრესიას აგრესიით არ უნდა ვუპასუხოთ. სხვათა შორის, **ხარფუხში ბერძნული ტაძარია**, **რომელიც საკმაოდ შეურაცხყოფილია, იმიტომ რომ ის რაღაც "კომუნალკის" ტიპის საცხოვრებლად არის გადაქცეული**. როცა ურთიერთობების კულტურა ქრება, მაშინ მომავალიც იკარგება." – ამბობს გიორგი ვასაძე.

არ ვიცი აქციაზე დამსწრეთა რეაქცია გამვლელთა ინდეფერენტიზმს დავაბრალო, თუ თავად აქციის ნაკლებ ეფექტურ ფორმას. აი, "კომუნალკად" ქცეული ბერძნული მონასტერი, ანდა ამ რამდენიმე წლის წინ ებრაელთა დარბეული სასაფლაო და კიდევ პარლამენტში წარმომავლობასთან გაკეთებული გახმაურებული განცხადება კი ნამდვილად გვაფრთხილებს: NO CULTURE - NO FUTURE!



იური ლობოდინის ფოტო

*ხელოვნების გარშე მომავალი არ არსებობს.*

# ხელოვნება საზღვრის შესახებ, ოღონდ საზღვრის გარეშე

თეონა ჯაფარიძე

ბერლინიდან ავტომობილით 40 წუთის სავალზე, ოდერის ფრანკფურტთან საავტომობილო გზაზე ცნობისმოყვარე მძღოლები და მგზავრები მანქანებს ხშირად აჩერებენ და გზის პირას გაშლილ ველს დიდი ინტერესით გაჰყურებენ. ველზე წამოყუდებული ქვის სტელებია მიმოფანტული, ერთ-ერთ მათგანზე ანგელოზის გამოსახულებაა მოხატული, რომელიც ერთი შეხედვით შემთხვევით იქ მოხვედრილ ქართველს აუცილებლად ჩვენი "ყინწვისის" ანგელოზის ფრესკას მოაგონებს. ეს უძველესი ცივილიზაციების მიერ დანატოვარი ქვის სტელები კი არა, გერმანიის უახლესი ისტორიის ნაწილია – ეს **ბერლინის კედლის ქვებია,** რომლებსაც სულ მალე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მხატვრები მოხატავენ. ანგელოზიანი ბერლინის კედლის ქვის ნაწილი ამ მომავალი დიდი ექსპოზიციის ერთი ნამუშევარია, რომელიც ქართველ მხატვარს – **ამირან** კუპრავას ფუნჯს ეკუთვნის. ქართველმა მხატვარმა ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ეს საინტერესო სამუშაო და ვიდრე მადრიდში თავის პერსონალურ გამოფენაზე გაემგზავრებოდეს ცოტა ხნით მშობლიურ ქალაქს – თბილისს ესტუმრა. ბერლინის კედელთან დაკავშირებული ამ საინტერესო არტ-პროექტის შესახებ მან სწორედ თბილსიში, აბანოთუბანში თავის სახელოსნოში მიამბო:

როგორც აღმოჩნდა პროექტი – მოიხატოს ბერლინის კედლის ნარჩენები, გერმანელ გალერისტს – კარლ ვიცლებენს ეკუთვნის. ბატონ კარლს ბერლინში საკმაოდ ცნობილი გალერეა ჰქონია. მას ბერლინელი არტ-წრეები **"ვიცლებენის" გალერეის** სახელწოდებით იცნობდნენ. მოგვიანებით ბატონმა ვიცლებენმა ბრანდერბუგის რეგიონში სოფელ "პეტერსდორფში" შეიძინა ტერიტორია – ყოფილი ტრაქტორების სადგომში და იქ ახალი გალერეა გახსნა. დასავლურ არტ-სამყაროში საერთოდ, მიღებულია, რომ გალერისტები და მხატვრები რეგიონებში ითვისებენ საგამოფენო სივრცეებს. პერიფერიებში ასეთი გალერეები გამოფენის გახსნის დღეს ჩვეულებრივ ბერლინიდან და ცენტრიდან ჩასული მხატვრებით, ხელოვნებათმცოდნეებითა და საერთოდ მხატვრული წრეებით ივსება ხოლმე. უკვე რამდენიმე წელია ქართველი მხატვარი გერმანელ გალერისტთან კარლ ვიცლებენთან თანამშრომლობს და იქვე პეტერსდორფის გალერეაში მუშაობს.

ბერლინის კედლის ნარჩენების მოხატვის პროექტს წინ უძღოდა გალერისტის მიერ ჯერ ამ კედლების ნარჩენების შეგროვება. მოგეხსენებათ 1989 წლის შემდეგ კედლის ნარჩენების ნაწილი იქვე, მიწაში ჩაიმარხა, უფრო დიდი ნაწილი კი სუვენირების, რელიქვიისა და თავისუფლებისა, თუ როგორც გნებავთ, საზღვრების ნგრევის სიმბოლო უამრავმა ადამიანმა (არა მარტო გერმანელმა) სახსოვრად შეინახა. თითქმის თხუთმეტი წლის შემდეგ გალერისტმა კედლის ნარჩენების ნაწილი მიწიდან ამოთხარა, ნაწილი კი "მეპატრონეებისგან" შეისყიდა და საბოლოოდ თავის ახლად შეძენილ ბრანდერბურგის მამულში, პეტერსდორფის გალერეის ტერიტორიაზე ღია ცის ქვეშ განალაგა. თავდაპირველად გერმანელთა უმეტესობა გაუღზიანებია ბერლინის კედლის ნარჩენების აფიშირებას და უახლესი წარსულის გახსენებას, რომელიც თითქმის თითეული მათგანის პირადი ცხოვრების მძაფრ განცდებს უკავშირდებოდა. "შემდეგ კი, როცა იქ მხატვრებიც გამოვჩნდით და პირველი ნამუშევრები შევქმენით, მათი განწყობა შეიცვალა. კარლი ხშირად მეუბნება, გზისპირას აღმართული შენი "ანგელოზი" ჩემს გალერეას კარგ რეკლამას უკეთებსო" – მიამბობს ბატონი ამირანი. ქართველ მხატვარს ბერლინის კედლის ქვის მეორე მხარეს ასეთი კომპოზიცია შეუქმნია: ბერლინის კედლის ერთ მხარეს მამაკაცია გამოსახული, მეორე მხარეს კი, ფეხმძიმე ქალი. ის დასავლეთბერლინელია, მათ უყვართ ერთმანეთი მაგრამ ქალის გამოსახულების ქვეშ დასავლური ცივილიზაციის სიმბოლოები: კოკა-კოლა და "ზიუდ დოიჩე ცაიტუნგი" მოსჩანს. ეს გერმანული და საერთოდ, იმ ხალხების პრობლემაა, რომელთა რამდენიმე თაობამ "რკინის ფარდის" მიღმა იცხოვრა და რომელსაც გაუჭირდა დასავლურ კოკა-კოლებიან სამყაროსთან შეგუება. "ისინი ფსიქოლოგიით ძალიან მაგონებენ ყოფილ საბჭოთა ადამიანებს. ერთ-ერთ ლუდის ბარში კედლის საათი კიდია, რომელზეც ისრები უკუღმა მოძრაობს. ჩვენ იმ დროის დაბრუნებას ველოდებით, ამდენი უმუშევარი რომ არ იყოო – ამიხსნეს გერმანელებმა. ეს მათთვის ძალზე მტკივნეული თემაა, მაგრამ საზღვრის დამსხვრევის, საზღვრის გადალახვის სურვილი, ალბათ, ყოველ ჩვენგანში დევს" – მიამბობს ბატონი ამირანი.

ქართველი მხატვარი უკვე 10 წელია რაც გერმანიაში მოღვაწეობს. ამ ხნის მანძილზე ზეთსა და აკრილში შესრულებული მისი ტილოებით ბევრი დასავლური გალერეა თუ კერძო კოლექციონერი დაინტერესებულა. ამ ბოლო დროს ის ხის ქანდაკებებმაც გაიტაცა, რომელზედაც წყნარად მუშაობს სოფლის - პეტერსდორფის გალერეაში. კიდევ მის ერთი საინტერესო პარტნიორზეც მოგახსენებთ: - ეს გერმანელი მუსიკოსი ანდრეა ფონ გინიერია. ის სპეციალურად მისი ნამუშევრებისთვის ქმნის ელექტრონულ მუსიკას, რომელიც შემდეგ გამოფენებზე ცოცხლად სრულდება. გერმანელ მუსიკოსს ალბომიც გამოუცია სახელწოდებით "მუსიკა გამოფენისთვის", რომელსაც ბატონი ამირანის თბილისურ სახელოსნოში მოვუსმინე.

ცოტა ხანში მხატვარი თბილისს ისევ დატოვებს, რადგან წინ მადრიდის პერსონალური გამოფენა ელოდება. ბერლინის კედლის არტ-პროექტზე მუშაობას კი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მხატვრები ამ ზაფხულშივე გააგრძელებენ. ექსპოზიცია დასრულებულ სახეს სავარაუდოდ სექტემბერში მიიღებს. ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა შემოდგომაზე საზღვრების გადალახვის გარეშე - ინტერნეტის საშუალებით მოხდება. კარგი იქნება, თუ თქვენც შეუერთდებით.



*ანგელოზიანი ბერლინის კედლის ქვის ნაწილი ამ მომავალი დიდი ექსპოზიციის ერთი ნამუშევარია, რომელიც ქართველი მხატვრის ამირან კუპრავას ფუნჯს ეკუთვნის.*

კვირის მიმოხილვა

# ეროვნული ერთობის სიმბოლოს უკანონოდ აშენებენ

დავით ანთაძე

შოთა რუსთაველის ფრესკის განადგურებამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა, განსაკუთრებით, ქართულ მედიაში, რომელმაც ეს მოვლენა არა მხოლოდ ქართული კულტურის ხელყოფად, არამედ ქართველი ერის შეურაცხყოფად მიიჩნია. ამასთან დაკავშირებით უამრავი რამ ითქვა და დაიწერა, მათ შორის ჩვენს გაზეთში.

ცნობილია, რომ რობერტ სტურუას შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი" უნდა დაედგა, ხოლო წიგნის მე-6 ფესტივალზე დაბეჯითებით კითხულობდნენ იმავე მწერლის ეპიკურ ნაწარმოებს, რაც მეტად სიმბოლურ დატვირთვას იძენს ზემოაღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით. უცნაურია, მაგრამ ფილარმონიის ფოიეში თავმყრილი მწერლები (აქტივისტები) თითქოს რაღაცისთვის გვამზადებდნენ და გვაკითხებდნენ "ვეფხისტყაოსანს"... შოთა რუსთაველის გახსენების წელს კი იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში ვიღაცა შლის მის სახე-ხატს, რომელიც, კომპოზიციიდან თუ ვიმსჯელეთ, ფრესკის მთავარი პერსონაჟია. ამასთან დაკავშირებით დათო ტურაშვილმა და ლაშა ბუღაძემ საპროტესტო აქცია გამართეს, ამჯერად შოთა რუსთაველის ძეგლთან, რომელთანაც მსმენელი თავისუფალი ფართის მიუხედავად რიგში იდგა.

თუმცა, ვიდრე მუდამ ავანგარდში მყოფი მწერლები საბერძნეთის საელჩოს წინ სახელდახელოდ შეთხზულ პერფორმანსს მართავდნენ, შემდეგ კი მაკდონალდსის ფონზე ეროვნული კულტურის შენარჩუნებაზე ბჭობდნენ, სადღაც იქ, ზემოთ, სახელმწიფო დონეზე განიხილებოდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ალტერნატიული ხერხები. როგორც იქნა იპოვეს - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეამხანაგებულმა სამხატვრო აკადემიამ, კერძოდ რექტორმა გია ბუღაძემ 13 ივლისს საგანგებოდ დააარსა მეტად სპეციფიკური სახელწოდების მქონე "კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის ფაკულტეტი", რომელიც, სავარაუდოდ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით იმოქმედებს. ამ უკანასკნელის წარმომადგენლები უკვე რამდენიმე დღეა, რაც ისრაელში იმყოფებიან და უიმედოდ უყურებენ შოთა რუსთაველის აფხეკილ ფრესკას.

ფრესკას ვეღარ აღადგენენ და ამ ფაქტს უკვე ყველა შეეგუა, მათ შორის კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, რომელიც ოპტიმისტურად მხოლოდ სხვა ძეგლებთან მიმართებაში ლაპარაკობს. "აღსანიშნავია, რომ კულტურულ მემკვიდრეობაზე საგარეო საქმეთა სამინისტროც ზრუნავს. ისევე როგორც კულტურის სამინისტროსთვის, მათთვისაც პრიორიტეტული გახდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ მხრივ დაარსდა კიდეც შესაბამისი დეპარტამენტი, რომელიც უკვე მუშაობს უცხოეთში არსებული ამა თუ იმ ისტორიული ნაგებობის აღდგენაზე", - აღნიშნა გიორგი გაბაშვილმა. თავის მხრივ მეგაფონით შეიარაღებული მწერლები გამოძიებას ითხოვენ და ინკოგნიტო ბოროტმოქმედის საყურადღებოდ გაიძახიან "არ დავნებდეთ"... და კიდევ იმას, რომ ახალი აქციის შესახებ ტელევიზიიდან შევიტყობთ.

ამავე დღეს გაცილებით მსუბუქი განწყობა იგრძნობოდა გალერეა **"ჰობიში"**, რომელიც ოდნავ სევდიანად ხურავდა საგამოფენო სეზონს. თუმცა, ფინალური აკორდი სახელწოდებით "კალეიდოსკოპი" მეტად შთამბეჭდავი გამოდგა. მასში წარმოდგენილი ნამუშევრები, ფაქტობრივად, ქართული მხატვრობის გენეოლოგიას წარმოადგენენ და ნეოფიტებს მეტნაკლებად ამომწურავ ინფორმაციას აწოდებენ ფერწერაში მიმდინარე ცვლილებებსა და თანამედროვე ტენდენციებზე. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ 70-იანელებთან ერთად გალერეაში გამოიფინა თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებიც, რომლებსაც ნაკლებად უწევენ პოპულარიზაციას (ამ მიზნით "ბაია გალერეაში" არტ-მარკეტის რიგით მეორე ჟურნალის პრეზენტაცია შედგა, რომელშიც ქალაქის თითქმის ყველა გალერეა მოექცა).

სეზონის დასასრულს გალერეების მეპატრონეებმა ტურისტების საყურადღებოდ და თითქოს ჩვენთვის შეუმჩნევლად გამოფენილი ნამუშევრების ფასი გაზარდეს ("კოპალა"). კარგად ნაცნობი მხატვრებისა და ნაკლებად ცნობილი ავტორების შემოქმედების გვერდიგვერდ გამოფენა ერთგვარ სატყუარას როლს ასრულებს და ტურისტებს მათ ტოლფასიანობაში არწმუნებს. ჩანს, "კალეიდოსკოპი" ყიდვა-გაყიდვაზე ნაკლებადაა ორიენტირებული, მაგრამ, ვთქვათ, ჯიბსონ ხუნდაძის აბსტრაქციებისა და ზურაბ ნიჟარაძის სადა ფერწერის გვერდიგვერდ გამოფენა იგივე პრინციპს ექვემდებარება.

ალექსი ბერდიშევი, მარინა უჯმაჯურიძე, ზალიკო ბაჩანაშვილი, თემურ ჯავახიშვილი, ნიკო ცეცხლაძე, თამაზ კაკაბაძე, ვანო აბულაძე, - ეს მხატვრები დინამიკურად ინაცვლებენ 80-იანებიდან 90-იანებში და უკვე ეკლექტიკური პრინციპით ითავისებენ სხვადასხვა სახვით პრინციპებს. თუმცა "კალეიდოსკოპში" უფრო რეალიზმის კვალი ჩანს, რაც მხატვრების ყოველდღიურობისადმი ტრფობას აშიშვლებს. ამაში თავად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რადგან გამოფენა თვის ბოლომდე გასტანს.



მარიკა ამურველაშვილი ფოტო

*შოთა რუსთაველის გახსენების წელს კი იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში ვიღაცა შლის მის სახე-ხატს, რომელიც, კომპოზიციიდან თუ ვიმსჯელეთ, ფრესკის მთავარი პერსონაჟია.*

ქართულ კულტურაზე ჯერ კიდევ მარკო პოლო წერდა - "ქართველი ხალხი ხელოვნებით იკვებებაო", რადგან განცვიფრებული დარჩა ქართული ჭედური ხელოვნებითა და ნაქარგით. ქართულ ხელოვნებას კონკურენცია შეეძლო და შეუძლია, ამას არც ახლა უარყოფენ. მეტიც, 15 ივლისს გალერეა "ორიენტში" ტიხრული მინანქრის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ნამუშევარი "არგო" გამოიფინა. ნამუშევარი თავად ავტორმა და, ალბათ, მინანქრის უბადლო ოსტატმა ირაკლი მეგრელიშვილმა გამოფინა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფანტაზიის უსასრულობას.

ყოველ შემთხვევაში ასეთი განცდა გეუფლება თითქმის იდეოგრაფიული "არგოს" შემყურე, რომელიც მითოლოგიურ ხომალდსაც ჰგავს, ლოკოკინას და დედამიწის აკვანსაც. არგონავტების მოტივებით შთაგონებული მეგრელიშვილი კომპოზიციურად აერთიანებს თემებს, რომელიც, ალბათ, გამოხატავს ისტორიულ მომენტებს - ოქროს საწმისის მითს, დედამიწის განვითარებას და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ლოკოკინას, რომელიც მიკროსამყაროს თავისებური მეტაფორაა (საკუთარ თავში ჩაკეტილი და ამავდროულად თვითკმარი).

მისივე თქმით, ნამუშევარს ჯერ მხოლოდ საქართველოში გამოფენენ, თუმცა "არგოს" ამა თუ იმ საერთაშორისო კონკურსზე გატანას ნამდვილად აპირებენ. მანამდე "არგო" გამოფენაზე **"თაობა"** სხვა არანაკლებ საინტერესო ნამუშევრებთან ერთად წარადგინეს. ტიხრული, ტვიფრული, ვიტრაჟული და ფერწერული ხერხით დამუშავებული მინანქარი აღტაცებას იწვევს, მით უმეტეს, რომ ავტორებს თვითმყოფადობის არცთუ უსაფუძვლო ამბიცია აქვთ. ასე რომ, ერთი წლის შედეგი საკმაოდ მრავლისმეტყველი აღმოჩნდა. მეტიც, შარდენის ქუჩაზე მინანქრის ხელოვნების რამდენიმე სახელოსნო მდებარეობს, რომელშიც ახალგაზრდები ძალზედ მონდომებით ეუფლებიან ოსტატობას და ახლო მომავალში სიახლეს გვპირდებიან.

15 ივლისს ჟურნალისტური კავშირის "სხივის" პრეზიდენტის თამაზ ბიბილურის რიგით მესამე პრესკონფერენცია გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ... რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ უკანონო მშენებლობა მიმდინარეობს. დაიწყო **"ეროვნული ერთიანობის მონუმენტის** "აღმართვა", უფრო სწორად გადაჯაჭვულ ხელებში ჩამონტაჟება, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, რომ ძალა ერთობაშია. ასეთ ერთობას კვლავ სკეპტიკურად უყურებს ბიბილური და ითხოვს კონკურსის ხელმეორედ ჩატარებას, "რომელშიც გამარჯვებულს ხალხი გამოავლენს". ამისთვის, სულ ცოტა, ინტერაქტივია საჭირო, ხოლო ბიბილურის მოწოდებას უპასუხოდ ტოვებენ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და თბილისის მერია, რომელიც გზების შეკეთებითაა დაკავებული.

არცაა გასაკვირი, რომ თამაზ ბიბილურის პრესკონფერენციებს, რომელთა რაოდენობამ, ალბათ, უკვე ლიმიტირებულს გადააჭარბა და შოთა რუსთაველის ფრესკასთან დაკავშირებით ჩატარებული აქცია-ღონისძიებების სარეკორდო მაჩვენებელსაც გაუსწრო, არ სწყალობენ მინისტრები. ჰიმნის არ იყოს, განაჩენი გამოტანილია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თუმცა ბიბილური ალტერნატიული კონკურსის ჩატარებას გეგმავს, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება "ეროვნული ერთიანობის მონუმენტის" ჩამოყალიბების პრინციპს, ანუ სახელმწიფო კომპეტენციას შორდება და თვითშემოქმედების ხასიათს უფრო ატარებს.

მეტიც, ბიბილურის მხრიდან ძალზედ ხმამაღალი განცხადებაა, რომ დადგმულ ძეგლს ისევე ჩამოაგდებენ, როგორც საბჭოთა ეპოქაში როდოსის კოლოსივით აღმართულ კერპებს. თუ ადრე ბიბილური აცხადებდა, რომ ვარდი მასონური ლოჟის სიმბოლოა, ამჯერად საბჭოთა მარკირებით გმობს კონკურსის გამარჯვებულების, კახა ქორიძის და შოთა და მამუკა ჩხაიძეების პროექტს. რაც მთავარია, ბიბილურის მოთხოვნა (თუ მოთხოვნილება) სავსებით შეიძლება დააკმაყოფილონ ინტერაქტივის გარეშე, ანუ პირდაპირ ღობეზე გამოფინონ ყველა იმ კონკურსანტის ნამუშევარი, რომელსაც იგნორირება გაუწია ჟიურიმ. არჩევანის დემოკრატიული პრინციპი არავის მოსვლია თავში, რადგან, ალბათ, ასე თვლიან, ბავშვურია და არაეფექტურიო.

მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილის შემდეგ ტკბილხმოვნად გვიმღეროდნენ "ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" (ერთადერთი კოლექტიური სიმღერა, რომლის შემდეგ "გიხაროდენ"-ის სერიის ყველა სიმღერა ყალბად ჟღერს) ვარდები მაინც გახდება 9 აპრილის სიმბოლო, ხოლო მონუმენტურ ქვას გადაჯაჭვულ ხელების შუაგულში მოაქცევენ, რომელიც ან ერთობის სიმბოლო, ან კიდევ დამიწებული იდეის გაგუდვის მეტაფორად იქცევა. "ეროვნული ერთიანობის მონუმენტი" პირველ სექტემბერს გაიხსნება. დაველოდოთ.

16 ივლისს "საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ოფისში დასრულდა მეტად საინტერესო კონკურსი. ამ დღეს მწერლები სულმოუთქმელად ელოდნენ, რადგან ჟიურის "პენ-მარათონი 2004-ის" გამარჯვებული უნდა გამოევლინა. **"პენ-მარათონს** მხარს უჭერდნენ "საქართველოს ბანკი" და ღვინო "ძველი თბილისი", რომლებმაც დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ კონკურსანტებისთვის ზეიმი და ნამდვილი ნადიმი გამართეს.

კონკურსის გამარჯვებულად თამარ ლებანიძის მიერ ნაქები (როგორც მითხრეს) პაატა ბერიკაშვილი დაასახელეს.

23 ივნისს რომაულ ციხე-სიმაგრეში გამოკეტილი მწერლების ნაღვაწიდან მისი ნაწარმოები საუკეთესო აღმოჩნდა. გამოვლინდა ინტერნეტმკითხველის არჩევანიც. ნინო ჯიბლაძემ კოდური სახელით "ნანდუ" (კოდური სახელი მეტი ობიექტურობისთვის და მეგობრული მხარდაჭერის აღსაკვეთად მეტად ეფექტური აღმოჩნდა) "ძველი თბილისისგან" საჩუქრად მიიღო კომპიუტერი და მხურვალე ოვაციები.

მესამე ადგილზე გავიდა ბესო ხვედელიძე, რომელმაც 400 დოლარის ოდენობის ფულადი პრემია მიიღო (მისი მოთხრობა "ქართული მიწა" მეტად სიმბოლურ დატვირთვას ატარებს).

შემოთავაზებული თემა ერთობ აბსურდული და ურთიერთგამომრიცხავი პასაჟებით - "მე მინდა მქონდეს სახლი, რომ იქიდან გავიქცე სადმე. ერთიც მაგიდა, არაფერი რომ აღარ ვწერო..." მწერლებმა მეტ-ნაკლებად გაითავისეს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კონკურსში ნაკლებად ჩანან ახალგაზრდა, ანუ ჯერ კიდევ არაპოპულარული მწერლები, რომლებისთვისაც, პრინციპში, ჩამოყალიბდა კიდეც "პენ-მარათონი". ამის ნაცვლად წლევანდელი რიგით მესამე "პენ-მარათონის" კონკურსანტებში ირიცხებოდა ნუგზარ შატაიძე, რომელსაც პრიზი არა, მაგრამ კიდევ ერთი საინტერესო მოთხრობა შეემატა.

# თეთრი ატამი, ვანილი და სხვები

## არომათერაპია ცხელი ზაფხულის გასაგრილებლად

თამარ ბაბუაძე

"ისი პარის" მაღაზიათა ქსელი აგრძელებს სურნელოვანი პრეზენტაციების სერიას და ამჯერად, სავარაუდოდ, ზაფხულის ბოლო ორ ახალ სურნელს გვთავაზობს.

სინდი კროუფორდის ხალისიანი ღიმილი და "მექსის" ვნებიანი კოცნა წვიმაში - ლაკონიურად და ხატოვნად ასე შეიძლება, დავახასიათოთ კონცეფციები, რომელთა მიხედვითაც ამ ორი ცნობილი ბრენდის ახალი არომატები შეიქმნა. "ისი პარის" ბრენდ-მენეჯერის გოჩა ჯალიაშვილის განმარტებით, არსებობს სუნამოები, რომელთა შედგენაზეც დიდ დროს ხარჯავენ, ყოველ ნიუანსს ითვალისწინებენ, ძვირფასი და იშვიათი ინგრედიენტების გამოყენებას ეშურებიან და ყველანაირად ცდილობენ, ახალი სუნამო ძველებისგან ყოვლად გამორჩეული იყოს.

და, ამავე დროს, არსებობს სუნამოები, რომელთაც გარკვეული სოციალური ღირებულებების გათვალისწინებით ქმნიან. ასეთ შემთხვევაში სუნამოს კონცეფციის შედგენაზე შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით უფრო დიდ დროს ხარჯავენ, ვიდრე თვით არომატის დამუშავება-სრულყოფაზე.

ალბათ, არავის ეწყინება, თუ ვიტყვით, რომ სინდი კროუფორდისა და "მექსის" ნაწარმიც სუნამოთა ამ მეორე რიგს მიეკუთვნება; განსაკუთრებით კი, მაინც "მექსი". ეს ის სავაჭრო ნიშანია, რომელიც ცხოვრებისეულ ფილოსოფიას არომატებით ქმნის. "მექსის" თითოეული ახალი პროდუქტის კონცეფცია იმდენად სრულყოფილი და ნიუანსებამდე გათვლილია, რომ ის კარგი მხატვრული ფილმის ასოციაციასაც კი იწვევს.







*სინდი კროუფორდისა და "მექსის" ნაწარმიც სუნამოთა იმ რიგს ეკუთვნის, რომელთაც გარკვეული სოციალური ღირებულებების გათვალისწინებით ქმნიან.*

ეს "ოქროს წესი" თანაბრად ვრცელდება "მექსის" აქსესუარების და ტანსაცმლის კოლექციებზე და სუნამოების ხაზზე. და 2004 წელს, "მექსის", "დაივერსითის", "ფერსფექთივის", "ფიუარ ლაიფის" და სხვათა შემდეგ, ტრადიციული წესით იქმნება წყვილი სუნამო - ქალებისა და მამაკაცებისთვის - "უოთერლავი" (Waterlove, სიყვარული წყალში). სანამ თავსახურს ავხდიდეთ, კოლოფზე წაკითხული სათაურიც კი უკვე გარკვეულ ასოციაციებს, ძირითადად, რომანტიკულს, თითოეულ კლიენტში იწვევს. ხოლო განსაკუთრებით რომანტიკულებს მოლოდინი ბოლომდე უმართლებთ - "მექსის" მიერ გამოგონილი ახალი კონცეფციაც, ძველების მსგავსად, გემოვნებით შექმნილი მორიგი სასიყვარულო ისტორიაა.

ამჯერად, "მექსის" "ლავ-სთორი" წვიმის ფონზე ვითარდება. მისამართი განზოგადებულია - წვიმა და შეყვარებული წყვილები ყველგან არიან. მოკლედ, წვიმს. ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჩერდება ორი მანქანა, ფანჯრებიდან თითქმის წელამდე ერთმანეთისკენ იხრება ქალი და კაცი, სველდებიან, მაგრამ მაინც თავდავიწყებით კოცნიან ერთმანეთს. არჩევანი ჩვენაზეა, ან უნდა დავასკვნათ, რომ მარტივად - ისინი ერთმანეთისკენ სუნამო "უოთერლავის" არომატმა მიიზადა, ან - გრძნობამ და გამბედაობამ და სწორედ ამ გრძნობისა და შინაგანი თავისუფლების სიმბოლოა წყვილი სუნამო "უოთერლავი".

ერთი სიტყვით, "მექსი" კვლავაც უბრუნდება კოცნას, რომელიც წლების წინ გაერთიანებული ორი კომპანიის სიმბოლოს წარმოადგენს (მექსი - ორმაგ კოცნას ნიშნავს). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ორივე სუნამო - ქალისაც და მამაკაცისაც არაადეკვატურად მოტკბოა: მაშინ, როცა ვიდეო-რგოლში გამოყენებული ღია ცისფერი და ვერცხლისფერი ცივი არომატის ასოციაციებს იწვევს, ფლაკონიდან მაინც მოტკბო სურნელი იფრქვევა. ქალის შემთხვევაში - თეთრი ატმიდან ვანილი და მუსკუსი რჩება. მამაკაცის შემთხვევაში კი პირიქით - ბერგამოტის, ვაშლის, ანანასისა და ნესვის შემდეგ, ბოლოს ატმისა და ვანილის სურნელიღა იგრძნობა.

ახლა კი გადავინაცვლოთ სინდი კროუფორდის ბაღში, რომელიც ლოს ანჯელესში მდებარეობს. ბაღში იმიტომ, რომ სწორედ იქ გაჩნდა კროუფორდის ახალი სუნამოს "ჯოიფულ" (Joyful) შექმნის იდეა. "ყვავილები ჩემში უამრავ შეგრძნებას აღვიძებენ. ისინი მაიძულებენ, თავი ცოცხლად ვიგრძნო", - აცხადებს სინდი, დასეირნობს საკუთარ წალკოტში, ისუნთქავს ეგზოტიკური და მშვენიერი მცენარეებიდან წამოსულ სურნელს, ივსება სიხარულით და ქმნის სურნელს, რომელსაც ასეც არქმევს - "ხალისიანი", "მხიარული".

არ ვიცი, რა ხდება, თეთრი ატამი წელს მოდაში შემოვიდა, თუ როგორ არის საქმე, მაგრამ ფაქტია, რომ სინდიც თავის ახალ სურნელს ხალისიანი და მხიარული ქალბატონებისთვის სწორედ თეთრ ატამზე აფუძნებს. შემდეგ მას ჟასმინი, შროშანი და დარიჩინი უერთდება და ბოლოს სანდალოზი და კედარი რჩებიან.

ერთი სიტყვით, ტოპ-მოდელი, რომელმაც ყველაფერი სცადა - აერობიკის ვიდეოკასეტების გაყიდვიდან დაწყებული, ტელე-წამყვანობითა და ოჯახის შექმნით გაგრძელებული და ბოლოს, სუნამოების გამოშვებით დასრულებული, თავს ბედნიერად გრძნობს. და ამ განცდის გადმოცემას ცდილობს თავის სუნამოებშიც.

ასე სრულდება მორიგი სურნელოვანი პრეზენტაცია თბილისში, რომლის განმსაზღვრელი ნოტაც თეთრი ატამი, სინდი კროუფორდი და კოცნით გაერთიანებული "მექსია".

*მძლეოსნობა*

# ჯონსი 100 და 200 მეტრს გადაახტა



*მერიონ ჯონსი ათენისკენ გადახტა.*

გიგა გურასაშვილი

მძლეოსნობაში აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევ ასპარეზობებში, რომელიც რამდენიმე დღის წინ დაიწყო, ბევრი უჩვეულო რამ ხდება. მსოფლიოს ახლანდელმა რეკორდსმენმა ტიმ მონტგომერიმ მისთვის საყვარელ 100 მეტრზე რბენის პატივი ვერ მოიპოვა - ათენის ოლიმპიურ ბილიკებზე ამ დისციპლინას მის გარეშე ირბენენ. მეორე საინტერესო მოვლენა კი სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მონტგომერის გულისწორს მერიონ ჯონსს უკავშირდება. ჯონსმა 200 მეტრზე შესარჩევ ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. უფრო სწორად, საკუთარი ქმედებით ამის თქმის საბაბს იძლევა. მოვლენები კი ასე განვითარდა.

შაბათს, როდესაც 200 მეტრზე მეოთხედფინალური გარბენები ტარდებოდა, მერიონ ჯონსმა უკანასკნელმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ბევრს კი ეცადნენ, მერიონისგან ასეთი ჟესტის მიზეზი შეეტყოთ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ოლიმპიური თამაშები უიმისოდ მაინც არ ჩაივლის, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

მერიონის წარმატებებს შეჩვეულმა ამერიკელებმა იმარჩიელეს, იმარჩიელეს, მაგრამ ფეხმარდი თანამემამულის მიერ საკუთარი თავის ამგვარად წარმოჩენის მიზეზებს ბოლომდე ვერ ჩაუღრმავდნენ. ერთნი ფიქრობდნენ, ტრავმა ხომ არა აქვსო, მეორენი კი ამბობდნენ, ეტყობა, თავი არ გამოიდო, იცოდა, მისი მომგები მაინც არავინ იქნებოდაო. მაგრამ ფაქტია: მაშინ, როცა სამშვიდობოს ეგონა თავი, ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. არადა, ნაკრებში მოსახვედრად (200 მეტრზე მორბენალთა გუნდს ვგულისხმობთ) ნახევარფინალში გასვლაც საკმარისი იყო. ასე რომ, ათენში მერიონი ჩემპიონის ტიტულს ვერ დაიცავს.

მართალია, 200 მეტრზე შესარჩევი ეტაპის გავლა არ ისურვა, მაგრამ საოლიმპიადოდ სიგრძეში ხტომა მაინც აქვს დაბევებული. 200 მეტრზე ასპარეზობამდე რამდენიმე დღით ადრე ჯონსმა სიგრძეში მხტომელთა ნაკრებში დაიკავა ადგილი. გუნდში ადგილის მოსაპოვებლად ჯონსი 7 მეტრსა და 11 სანტიმეტრზე გადახტა, რაც, სხვათა შორის, 2004 წლის მსოფლიოს საუკეთესო შედეგთა შორის მეორეა. 1998 წლის IAAF-ის გრან-პრის ფინალური გათამაშების შემდეგ ჯონსი ასე კარგად არ გადამხტარა. რაც შეეხება მის უახლოეს მდევარს გრეის აპშოუს, ის გამარჯვებულს 28 სანტიმეტრით ჩამორჩა - 6,93 მ.

საერთოდ, შესარჩევ ასპარეზობებში ჯონსი საკუთარ თავს არ ჰგავს. ჯერ 100 მეტრზე ვერ გაიარა შესარჩევი, რაც იმას ნიშნავს, რომ ათენში, ისე როგორც 200 მეტრზე, ჩემპიონის ტიტულს ვერ დაიცავს. ხოლო მანამ, სანამ საოლიმპიადო გუნდში სიგრძეში მხტომელთა შორის ადგილს დაიკავებდა, ერთი კვირით ადრე კვალიფიკაციაზე მეშვიდე შედეგი აღმოაჩნდა.

"მქონდა მიზანი, - შეჯიბრების შემდეგ მარტივად ხსნის მიზეზებს მერიონ ჯონსი, - კმაყოფილი ვარ ჩემი გამოსვლით. მახარებს ის, რომ ოლიმპიურ გუნდში მოვხვდი. ახლა მოუთმენლად ველი ათენში გამგზავრებას".

და კიდევ: სიდნეის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორს (მერიონმა სიდნეიში სამი ოქროს მედალი 100,200 და 4x400 ესტაფეტაში მოიპოვა. გარდა ამისა, სიგრძეზე ხტომასა და 4x100 ესტაფეტაში ბრინჯაოს მედლები.- რედ.) ახლა ანტიდოპინგური კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებენ. საკითხის ირგვლივ გამოძიება აშშ-ში მიმდინარეობს. თავად ჯონსი კი უარყოფს მის მიმართ გამოთქმულ ყველანაირ ეჭვს და პირობას დებს, ამერიკის ანტიდოპინგურ სააგენტოს ცილისწამებისთვის გავაკოტრებო.

*ჩოგბურთი*

# მირიანი

ალექსანდრე ნავერიანი

გუშინწინ ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე ქართული გამარჯვებით აღფრთოვანებული გულშემატკივარი დიდხანს უკრავდა ტაშს.

ქართველები რომ გამარჯვებებით და წარმატებებით განებივრებულნი არ ვართ, ყველასთვის ცნობილია. სწორედ ამიტომ იყო ეგვიპტის ნაკრებთან მოპოვებული გამარჯვება ასე საამაყო და სასიხარულო.

კორტებზე მისულმა გულშემატკივარმა არაჩვეულებრივი, სასიამოვნო ატმოსფერო შექმნა.

ჩემს წინ გოგონების ჯგუფი იჯდა, ჩემს მარცხნივ - ისევ ის ბიჭი, პირველ დღეს დოლზე რომ შემოჰკრავდა ხოლმე, მარჯვნივ კი პატარა ბიჭი და გოგო, რომელთაც საქართველოს დროშა ჰქონდათ გაშლილი და ქართველ ჩოგბურთელებს შეძახილებით ამხნევებდნენ. რაც მთავარია, ტრიბუნებზე საოცარი იუმორი იგრძნობოდა. ჩემს წინ რომ გოგონები ისხდნენ, ძალიან ბევრს ხუმრობდნენ, ზოგჯერ გამოსდიოდათ, ზოგჯერ - არა. ერთ-ერთმა მათგანმა ეგვიპტელ ჩოგბურთელებს სახელებიც შეურჩია: ხეოფსა და რამზესა. მისი ერთი მეგობარი ვერ მიხვდა, რატომ შეარქვეს ეგვიპტელ ჩოგბურთელს რამზესა. ამიტომ მან თავისებურად გადააკეთა და მურთხივით შავ ეგვიპტელს რამაზი დაარქვა. მაყურებლებში ბიჭი იჯდა, სახელად მირიანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოთამაშეების გამხნევება და მაყურებლების აყოლიება, რასაც პირნათლად ასრულებდა - ჩვენი ჩოგბურთელების მოწოდების დროს განწირული ხმით ყვიროდა ირაკლი ლაბაძისა და ლადო ჩიხლაძის სახელებს. თუ დაავიწყდებოდა, იქვე, მის ქვევით მჯდომი კაცი შეახსენებდა ხოლმე: "მირიან, იმუშავე!" და მირიანიც იწყებდა მუშაობას. საბოლოოდ ეს შეძახილები ძალიან სასაცილო გახდა და მირიანიც დიდი სიამოვნებით ართობდა როგორც მაყურებელს,



*საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები: დავით კვერნაძე, ლადო ჩიხლაძე, ირაკლი უშანგიშვილი, ირაკლი ლაბაძე და გუნდის კაპიტანი გელა ელერდაშვილი.*

ისე ჩოგბურთელებსაც და, რაც ყველაზე საკვირველია, ეგვიპტელ ჩოგბურთელებსაც კი. მოკლედ, სიცილი და კისკისი ბევრი იყო, დოლის ხმაც ხშირად ისმოდა. ერთხანს ისიც კი ვიფიქრე, კორტებზე ვარ თუ ფილარმონიაში-მეთქი, მაგრამ კორტებზე ვყოფილვარ.

რაც შეეხება მატჩს, არავითარი დაძაბულობა არ იგრძნობოდა. ქართველი ჩოგბურთელები და გულშემატკივრებიც ექვსი სეტის შემდეგ დარწმუნდნენ, რომ გამარჯვება ჩვენი იქნებოდა. ეგვიპტელებიც მიხვდნენ, რომ გამარჯვების შანსი არ ჰქონდათ, ამიტომ შეხვედრამ წყნარად და მხიარულად ჩაიარა. "ბოსის" სამოსში გამოწყობილი მსაჯები და ბურთის მიმწოდებელი ბავშვებიც გრძნობდნენ, სანერვიულო არაფერი ჰქონდათ და ამიტომაც, რამდენჯერმე შევამჩნიე, როგორ მუსაიფობდნენ ერთმანეთთან. ქართველმა ჩოგბურთელებმა გაიმარჯვეს (6:3, 6:3, 6:2) და სერიაშიც გამარჯვებულები გამოვიდნენ.

პირველი სამი მატჩის შემდეგ ეგვიპტელებმა ყველანაირი შანსი დაკარგეს იმისა, რომ სერიას თავის სასარგებლოდ დაასრულებდნენ, ამიტომ გუშინდელ შეხვედრებს არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონია, თუმცა, ქართველებს შეეძლოთ, ეს ორი მატჩი გამოცდილების მისაღებად და მსოფლიო რეიტინგში ქულების მოსამატებლად გამოეყენებინათ. გამოცდილება კი მიიღეს, მაგრამ ქულები ვერ ჩაიწერეს. ლადო ჩიხლაძემ ომარ ჰედაიეტთან დათმო შეხვედრა, ხოლო დათო კვერნაძემ - მუჰამედ მაამუნთან.

გუშინწინდელ შეხვედრასთან შედარებით, სადაც ლადო ჩიხლაძემ, მართლაც, ძალიან კარგი თამაში აჩვენა, გუშინდელი ერთეულთა თანრიგის მატჩი ვერ ჩაატარა სათანადო დონეზე, მაგრამ დათო კვერნაძემ კი ყველას დაანახა, რომ მისგან კარგი ჩოგბურთელი დადგება. მას ძლიერი და ზუსტი დარტყმა აქვს მარცხენა მხრიდან, კარგად გრძნობს მომენტს, როდის გავიდეს ბადესთან და, საერთოდ, უკანა ხაზზე მშვენივრად გამოიყურება. ერთადერთი, რაც მის ნაკლად შეიძლება ჩავთვალოთ, ეს მოწოდებაა. ამას, ალბათ, თავადაც კარგად ხვდება და, დარწმუნებული ვარ, მოწოდების გასაუმჯობესებლად ბევრს ივარჯიშებს.

**P.S.** ჩოგბურთელებმა თავისი საქმე ქნეს, მაგრამ გულშემატკივარიც ხომ საჭიროა, თან ისეთი გულშემატკივარი, როგორიც მირიანია. მან თავი არ დაზოგა, იმდენი იყვირა, რამდენიც გამარჯვებას სჭირდებოდა. კარგი იქნება, თუ ჩვენ, ყველანი, მირიანისნაირი ქომაგები ვიქნებით.

*რაგბი*

# შვიდნი, მალიორკელები

## ევროპამ სამსოფლიოთასოდ საუკეთესო შვიდეული გამოავლინა

პაატა თოთაძე

პორტუგალია, იტალია, ირლანდია, შოტლანდია, საქართველო, საფრანგეთი და რუსეთი - ეს ის გუნდებია, რომლებიც ინგლისთან ერთად ევროპას წარმოადგენენ მომავალ წელს ჰონგკონგში გასამართ მსოფლიო თასზე.

შესარჩევი ტურნირი გუშინწინ დასრულდა მალიორკაზე. იქ შეკრებილი 16 გუნდი საუკეთესო შვიდეულში მოხვედრას ცდილობდა, რაც ჰონგკონგში თამაშის გარანტი იყო. ინგლისმა ეს უფლება გასულ მსოფლიო თასზე გაინაღდა. ამიტომ შესარჩევ ტურნირზე მხოლოდ შვიდი ადგილი თამაშდებოდა.

ტურნირი საქართველოსა და მოლდოვის ნაკრებთა მატჩმა გახსნა. ივნისში ამ გუნდების პაექრობა თბილისში მოლდოველთა გამარჯვებით დასრულდა. ამჯერად ბორჯღალოსნებმა რევანში აიღეს და მეტოქე 29:5 დაამარცხეს. ქართველებმა მეორე მატჩიც მოიგეს - მოლდოველთა ბედი ამჯერად უკრაინელებმა გაიზიარეს (21:19). ამ დროისთვის ზედიზედ ორი მატჩი ჰქონდა მოგებული ჩვენი ჯგუფის კიდევ ერთ ფავორიტს, შოტლანდიის ნაკრებს. სქოთებმა ჯერ უკრაინა დაამრცხეს (26:0), შემდეგ მოლდოვას სძლიეს (38:7). აქედან გამომდინარე, მესამე მატჩი საქართველოსა და შოტლანდიას შორის ბევრს არაფერს წყვეტდა - ორივე გუნდს გარანტირებული ჰქონდა ჯგუფიდან გასვლა. ქართველებმა მესამე მატჩიც მოიგეს (24:14) და მეოთხედფინალში თითქოს საფრანგეთთან თამაში დაიბევეს, თუმცა...

ირლანდია საფრანგეთზე ძლიერი



*მისია შესრულებულია! ბორჯღალოსნები შვიდეულში შევიდნენ.*

გუნდია, მაგრამ მოახერხეს და დამარცხდნენ, რითაც შოტლანდიასთან თამაში აიცილეს. საქართველო აქამდე არაერთხელ ჰყავდათ დამარცხებული კელტებს და კვლავაც ჩვენთან თამაში არჩიეს. არც შემცდარან, მეოთხედფინალში 12:26 დავმარცხდით და შვიდეულში შესასვლელად ახლა უკვე მე-5-მე-8 ადგილებისთვის ბრძოლაში უნდა გვეყოჩაღა.

საამისოდ პირველ რიგში რუსეთის დამარცხება გვმართებდა. ეს კი ქართველ მორაგბეებს არ ესწავლებათ. ანგარიში თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე - 35:0. საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. საბოლოოდ ბორჯღალოსნები ესპანეთში მეექვსე ადგილს დასჯერდნენ, რადგან მეხუთე ადგილისთვის ბრძოლა საფრანგეთის ნაკრებთან წააგეს 45:21, თუმცა, ეს მატჩი უკვე აღარაფერს წყვეტდა - ჰონგკონგში წასვლა ხომ ორივეს გარანტირებული ჰქონდა. ბოლო, გამსვლელი მეშვიდე ადგილისთვის ჩვენს მიერ დამარცხებული რუსები ესპანელებს შეებნენ. ორ წლის წინათ მსოფლიო თასის შესარჩევ ეტაპზე მომხდარმა ინციდენტმა ეს გუნდები ერთმანეთს გადაამტერა, ამიტომაც მათი შეხვედრა სპორტული შეჯიბრება კი არა, ნამდვილი ბრძოლაა. გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო გახდა საჭირო. აქ რუსებმა იყოჩაღეს - 19:12.

სამი გუნდზე ვთქვით. რაც შეეხება ზედა ოთხეულს, პირველობა პორტუგალიის ნაკრებს ხვდა წილად, რომელმაც ფინალში იტალიას სძლია - 21:14. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი ირლანდიამ შოტლანდიას მოუგო - 14:7.

*TV-სპორტი*

**ორშაბათი. 19 ივლისი**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "BOSTON CELTICS" - "DENVER NUGGETS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. მეოთხედფინალი. პარაგვაი - ურუგვაი
14:00 ამერიკის თასი. მეოთხედფინალი. მექსიკა - ბრაზილია
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. მეოთხედფინალი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ბავარია"
17:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. "სან-პაულუ" - "ფიგეირენსე"
19:25 თავისუფალი დარტყმა
19:40 სახვალიო ტელეპროგრამა
19:45 ამერიკის თასი. მეოთხედფინალი. პარაგვაი - ურუგვაი
21:30 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 ამერიკის თასი. მეოთხედფინალი. მექსიკა - ბრაზილია
00:15 "FUTBOL MUNDIAL"
00:45 00:45-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "DENVER NUGGETS"- "ORLANDO MAGIC"

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:00, 19:45 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
13:35 "საჭადრაკო მიმოხილვა"
14:10 მძლეოსნობა. სიმაღლეში ხტომა. საერთაშორისო შეჯიბრება შვედეთში
16:15 ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ "როსიას" პრიზზე. დღე პირველი
17:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ჰოლანდიაში. ფინალი
18:45 "რკინის ფაქტორი". ევროპის ჩემპიონატი ბოდიბილდინგსა და ფიტნესში. უნგრეთი. პირველი ნაწილი
20:00 "საუკუნის ათლეტები". "ეული ვარსკვლავი". ბეიბ დიდრიკსონი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
23:10 მძლეოსნობა. აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ასპარეზობა. დღე მეშვიდე. შესვენებისას (00:10) - ახალი ამბები
01:25 "რკინის ფაქტორი". ევროპის ჩემპიონატი ბოდიბილდინგსა და ფიტნესში. უნგრეთი. პირველი ნაწილი

**EUROSPORT**
10:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური საფრანგეთში
11:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
11:30 მოტორბოლა. გერმანიის გრან-პრი
12:30 ფეხბურთი. ალპური თასი გერმანიაში. ფინალი
14:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური საფრანგეთში. ქალები. ფინალი
15:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. ფინალი
15:45 ჩოგბურთი. ახალბედა
16:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
17:00 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. გერმანია - თურქეთი
18:30 მძლეოსნობა. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
20:00 მძლეოსნობა. საბერძნეთის გრან-პრი
22:00 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ოლ!!!
22:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში
22:45 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
23:00 მულტისპორტი
23:30 ჭიდაობა. Real Pro Wrestling, აშშ
01:30 ახალი ამბები
01:45 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
02:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება გერმანიაში
03:15 ახალი ამბები

*ბოულინგი*

# პროკრედიტბანკის ბოულინგური კრედიტები

ბოულინგცენტრი რომ, მართლაც, სასიამოვნო თავშეყრის ადგილია, ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა გასულ შაბათს, როცა პროკრედიტბანკის თანამშრომლებმა 5 წლის იუბილესთან დაკავშირებული ტურნირი მოაწყვეს. ბოულინგის გულშემატკივართა შორის ბანკირები ერთ-ერთ საპატიო ადგილზე არიან. ისინი რეგულარულად მართავენ შეჯიბრებებს ბოულინგში. წინა წლის გამარჯვებულნი დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ ასპარეზობაში, რადგან არ სურდათ ჩემპიონის ტიტულის დათმობა. ცხადია, ბანკის წარმომადგენელთა ასეთი გულმოდგინება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ჯი ემ სი ჯგუფმა, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება ბოულინგცენტრი, სპეციალური პრიზები დააწესა ტურნირში მონაწილეთათვის. ტრადიციულად დაჯილდოვდა როგორც გამარჯვებული გუნდი, ისე ინდივიუდალური მოთამაშეები.

ასპარეზობა საინტერესოდ წარიმართა. სპორტული შეჯიბრების მთელი აზარტი და ხიბლი ფინალური შეხვედრისთვის უფრო მკაფიოდ გამოიხატა. მართალია, ტურნირი შერეული ხასიათის იყო, მაგრამ სრული დემოკრატია იგრძნობოდა. ყოველი გუნდიდან შეირჩა თითო საუკეთესო მოთამაშე და ისინი



მომდევნო ტურში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ქალთა შორის ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ნინო ბექაურმა, ხოლო მამაკაცთა შორის - ზაზა ერქომაიშვილმა. სწორედ ისინი აღმოჩნდნენ ტურნირის გამარჯვებულნი და გადაეცათ ნატურალური შვედური კოსმეტიკის კომპანია "ორიფლეიმის" მიერ დაწესებული სასაჩუქრე ნაკრები.

პრიზიორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი წინა ჩემპიონატის ლიდერებიც არიან, ბოულინგის მოყვარულები იყვნენ და თანდათან პროფესიონალ მოთამაშეებად მოგვევლინენ. ასე რომ, შედეგმაც არ დააყოვნა. მართალია, ჩემპიონთა სარეიტინგო მაჩვენებელი კლუბის სარეკორდო ქულას ჯერ ვერ გაუთანაბრდა, მაგრამ პოტენციურად ამის დიდი შანსია, რადგან ბანკის წარმომადგენელთა სურვილია, უფრო ხშირად ეწვიონ ბოულინგცენტრს და ტურნირებიც რეგულარულად გამართონ. მით უმეტეს, რომ სათავო ოფისის წევრებით დაკომპლექტებულ გუნდს ბოულინგცენტრის სახელით გადაეცა საშეღავათო ბარათი. ამიერიდან ამ კორპორაციული ბარათის მფლობელთ 15%-იანი ფასდაკლებით თამაშის უფლება აქვთ. შესაბამისად, თანხის დაზოგვის საშუალება გაუჩნდათ და, სხვა რა დარჩენიათ, ბევრი უნდა ითამაშონ, რომ აიმაღლონ სროლის ტექნიკა. მერე კი, ალბათ, კონკურენტ ბანკებსაც გამოიწვევენ საასპარეზოდ, რათა თავიანთი კლასი უჩვენონ.

ასე ლამაზად გაახალისა ბოულინგურმა გართობამ ჩვენი ბანკირები და მათი სადღესასწაულო განწყობა კიდევ უფრო ამაღლებული გახადა.

სხვათა შორის, ქართული ბოულინგიც 5 წლისაა და, პროკრედიტბანკისა არ იყოს, ისიც საკმაოდ ეფექტურად ვითარდება.

ჯი ემ სი ჯგუფის რჩევით, გაჯანსაღებული ყოფა წარმატებული ბიზნესის გარანტია. ჰოდა, გახალისდით და აკეთეთ კარგი საქმე თქვენსავე სასარგებლოდ.

# "საოჯახო ლოტო"-ს 17 ივნისის №67 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000001 | 1,0 | 002172 | 1,0 | 004626 | 3,0 | 007262 | 3,5 | 009525 | 1,0 | 013024 | 3,5 | 016205 | 1,5 | 018214 | 2,0 | 020869 | 2,0 | 024219 | 2,5 | 028366 | 1,5 | 030132 | 1,5 | 032702 | 5,5 | 035571 | 1,5 | 039315 | 1,5 | 041540 | 1,0 |
| 000093 | 1,0 | 002189 | 1,5 | 004628 | 1,5 | 007264 | 1,0 | 009548 | 4,0 | 013029 | 2,0 | 016214 | 2,0 | 018241 | 250,0 | 020872 | 2,5 | 024223 | 3,5 | 028371 | 1,5 | 030135 | 1,5 | 032756 | 2,0 | 035596 | 1,0 | 039328 | 3,5 | 041576 | 1,0 |
| 000116 | 1,0 | 002209 | 4,5 | 004629 | 1,5 | 007275 | 2,0 | 009584 | 2,0 | 013040 | 1,5 | 016225 | 3,5 | 018253 | 1,0 | 020952 | 1,5 | 024242 | 1,5 | 028372 | 2,0 | 030147 | 1,0 | 032760 | 1,0 | 035599 | 1,0 | 039348 | 1,0 | 041583 | 2,0 |
| 000149 | 1,5 | 002219 | 1,5 | 004646 | 1,5 | 007295 | 1,5 | 009601 | 1,5 | 013043 | 1,5 | 016245 | 1,5 | 018262 | 2,0 | 021057 | 2,0 | 024256 | 3,5 | 028381 | 2,5 | 030164 | 1,5 | 032763 | 1,0 | 035609 | 1,0 | 039352 | 1,5 | 041592 | 3,0 |
| 000158 | 2,5 | 002228 | 1,0 | 004648 | 2,0 | 007329 | 1,5 | 009606 | 1,5 | 013053 | 3,0 | 016254 | 1,0 | 018264 | 1,5 | 021058 | 1,5 | 024268 | 4,5 | 028383 | 1,0 | 030169 | 1,5 | 032787 | 3,0 | 035650 | 15,0 | 039356 | 1,0 | 041621 | 2,5 |
| 000159 | 3,0 | 002251 | 1,5 | 004654 | 1,0 | 007332 | 2,0 | 009649 | 3,0 | 013064 | 1,0 | 016255 | 1,5 | 018269 | 500,0 | 021083 | 2,0 | 024270 | 1,5 | 028407 | 1,0 | 030180 | 2,0 | 032797 | 1,0 | 035656 | 1500,0 | 039360 | 1,5 | 041640 | 2,0 |
| 000167 | 1,0 | 002252 | 3,0 | 004661 | 10,0 | 007351 | 1,0 | 009653 | 1,5 | 013070 | 2,0 | 016256 | 1,0 | 018281 | 1,0 | 021099 | 2,0 | 024300 | 1,5 | 028415 | 1,0 | 030217 | 1,5 | 032802 | 1,5 | 035664 | 1,0 | 039408 | 1,0 | 041645 | 3,5 |
| 000170 | 2,5 | 002257 | 1,0 | 004678 | 1,0 | 007357 | 1,0 | 009657 | 1,5 | 013088 | 1,0 | 016258 | 1,5 | 018285 | 2,5 | 021110 | 2,5 | 024321 | 1,0 | 028418 | 1,0 | 030259 | 2,5 | 032810 | 1,5 | 035679 | 5,5 | 039411 | 2,0 | 041662 | 3,0 |
| 000214 | 1,0 | 002260 | 4,0 | 004706 | 2,0 | 007372 | 1,5 | 009667 | 3,0 | 013089 | 1,0 | 016261 | 2,0 | 018299 | 1,0 | 021120 | 2,0 | 024327 | 5,5 | 028429 | 1,0 | 030520 | 1,5 | 032817 | 1,5 | 035680 | 1,5 | 039429 | 1,0 | 041691 | 3,5 |
| 000215 | 1,0 | 002287 | 2,0 | 004745 | 4,5 | 007381 | 2,0 | 009677 | 1,0 | 013090 | 1,0 | 016270 | 5,5 | 018320 | 2,0 | 021143 | 1,0 | 024337 | 1,5 | 028436 | 1,0 | 030534 | 2,5 | 032824 | 1,5 | 035688 | 3,5 | 039432 | 10,0 | 042030 | 2,0 |
| 000231 | 2,5 | 002297 | 1,5 | 004748 | 5,0 | 007399 | 4,5 | 009705 | 4,0 | 013091 | 3,5 | 016296 | 1,5 | 018326 | 1,0 | 021144 | 1,5 | 024342 | 1,5 | 028450 | 1,5 | 030542 | 1,0 | 032849 | 1,0 | 035690 | 6,5 | 039445 | 1,5 | 042038 | 2,0 |
| 000264 | 1,5 | 002302 | 1,0 | 004795 | 3,5 | 007831 | 2,0 | 009714 | 1,0 | 013093 | 2,0 | 016298 | 1,0 | 018350 | 1,0 | 021190 | 1,5 | 024350 | 2,0 | 028464 | 1,0 | 030560 | 3,0 | 032873 | 2,0 | 035697 | 1,5 | 039452 | 1,0 | 042044 | 1,5 |
| 000265 | 1,5 | 002319 | 3,0 | 004805 | 1,0 | 007843 | 2,0 | 009728 | 1,0 | 013124 | 1,5 | 016338 | 1,5 | 018356 | 1,0 | 021201 | 2,0 | 024353 | 4,0 | 028491 | 1,5 | 030603 | 3,5 | 032881 | 7,5 | 035698 | 2,0 | 039489 | 1,0 | 042048 | 1,5 |
| 000285 | 1,0 | 002347 | 1,0 | 004808 | 1,0 | 007844 | 6,5 | 009743 | 1,0 | 013144 | 1,0 | 016339 | 4,0 | 018357 | 1,0 | 021224 | 1,0 | 024370 | 4,0 | 028524 | 2,0 | 030624 | 2,0 | 032898 | 2,0 | 035734 | 20,0 | 039511 | 1,5 | 042051 | 1,0 |
| 000289 | 3,5 | 002352 | 1,5 | 004816 | 3,0 | 007853 | 4,5 | 009748 | 6,0 | 013164 | 1,5 | 016341 | 250,0 | 018358 | 4,0 | 021233 | 12,5 | 024385 | 1,5 | 028541 | 1,0 | 030639 | 1,0 | 032900 | 1,5 | 035735 | 5,0 | 039523 | 2,0 | 042058 | 1,5 |
| 000291 | 2,0 | 002358 | 2,0 | 004817 | 5,5 | 007870 | 1,5 | 009751 | 4,0 | 013177 | 4,0 | 016346 | 2,5 | 018362 | 1,0 | 021255 | 2,5 | 024386 | 1,5 | 028547 | 1,5 | 030640 | 1,0 | 032908 | 5,5 | 035739 | 2,0 | 039557 | 1,0 | 042059 | 2,0 |
| 000303 | 1,5 | 002360 | 1,5 | 004820 | 3,0 | 007875 | 3,0 | 009757 | 1,5 | 013180 | 1,0 | 016353 | 1,0 | 018386 | 1,5 | 021264 | 12,5 | 024462 | 3,5 | 028565 | 1,5 | 030643 | 1,0 | 032911 | 1,0 | 035743 | 1,0 | 039566 | 4,5 | 042085 | 2,0 |
| 000315 | 7,0 | 002366 | 1,0 | 004837 | 2,0 | 007882 | 1,5 | 009783 | 2,5 | 013181 | 6,0 | 016371 | 1,0 | 018404 | 2,5 | 021271 | 1,0 | 024910 | 1,5 | 028573 | 6,0 | 030651 | 1,0 | 032915 | 4,0 | 035769 | 1,5 | 039567 | 3,0 | 042115 | 1,0 |
| 000343 | 4,0 | 002372 | 1,0 | 004857 | 1,0 | 007886 | 10,0 | 009798 | 2,0 | 013187 | 3,5 | 016376 | 7,0 | 018406 | 1,5 | 021317 | 1,5 | 024932 | 2,0 | 028605 | 7,5 | 030661 | 1,5 | 032919 | 6,0 | 035779 | 3,0 | 039568 | 3,0 | 042129 | 2,0 |
| 000359 | 1,5 | 002400 | 1,0 | 004859 | 2,0 | 007887 | 2,0 | 010803 | 4,0 | 013219 | 1,5 | 016378 | 2,0 | 018413 | 2,0 | 021326 | 5,0 | 024960 | 5,0 | 028619 | 1,0 | 030662 | 2,5 | 032942 | 1,0 | 035781 | 4,0 | 039571 | 1,0 | 042135 | 5,0 |
| 000367 | 1,5 | 002407 | 1,0 | 004867 | 1,0 | 007890 | 2,0 | 010806 | 1,5 | 013226 | 1,5 | 016417 | 2,0 | 018414 | 1,0 | 021352 | 3,0 | 024969 | 1,0 | 028628 | 2,0 | 030678 | 2,0 | 032975 | 1,5 | 035789 | 2,0 | 039582 | 12,5 | 042143 | 2,0 |
| 000372 | 1,5 | 002408 | 3,5 | 004877 | 1,5 | 007909 | 2,0 | 010822 | 1,5 | 013229 | 2,0 | 016430 | 3,0 | 018429 | 3,5 | 021361 | 2,0 | 024973 | 1,0 | 028668 | 1,0 | 030684 | 2,5 | 033018 | 2,5 | 035790 | 1,0 | 039600 | 2,0 | 042151 | 1,0 |
| 000384 | 3,5 | 002440 | 3,0 | 004878 | 1,5 | 007918 | 1,5 | 010839 | 2,0 | 013236 | 6,0 | 016451 | 1,5 | 018433 | 1,0 | 021364 | 1,5 | 024981 | 3,5 | 028672 | 1,0 | 030691 | 1,5 | 033023 | 2,0 | 035819 | 2,0 | 039604 | 1,0 | 042159 | 1,5 |
| 000393 | 1,0 | 002459 | 1,0 | 004890 | 2,0 | 007925 | 1,0 | 010842 | 3,5 | 013254 | 1,5 | 016457 | 1,5 | 018435 | 2,0 | 021385 | 6,0 | 024984 | 1,0 | 028689 | 5,5 | 030715 | 1,5 | 033050 | 1,5 | 035822 | 3,5 | 039605 | 1,0 | 042161 | 1,0 |
| 000397 | 12,5 | 002472 | 7,0 | 004903 | 2,0 | 007934 | 4,5 | 010852 | 5,5 | 013261 | 2,0 | 016468 | 1,0 | 018456 | 1,5 | 021435 | 1,5 | 025011 | 2,0 | 028691 | 4,0 | 030723 | 1,0 | 033053 | 1,0 | 035826 | 1,0 | 039613 | 3,5 | 042162 | 1,5 |
| 000418 | 1,0 | 002475 | 1,0 | 004910 | 1,0 | 007949 | 10,0 | 010856 | 1,0 | 013262 | 4,0 | 016484 | 4,0 | 018469 | 1,0 | 021441 | 40,0 | 025012 | 1,5 | 028695 | 5,0 | 030729 | 2,0 | 033077 | 1,5 | 035830 | 1,5 | 039646 | 1,0 | 042165 | 2,0 |
| 000419 | 2,5 | 002488 | 1,0 | 004914 | 6,5 | 007950 | 2,0 | 011705 | 2,0 | 013263 | 1,0 | 016524 | 1,5 | 018496 | 3,0 | 021455 | 2,0 | 025038 | 1,0 | 028696 | 3,0 | 030741 | 4,5 | 033084 | 1,0 | 035838 | 2,0 | 039659 | 1,5 | 042169 | 1,0 |
| 000443 | 2,5 | 002489 | 3,5 | 004933 | 1,0 | 007978 | 1,0 | 011713 | 1,5 | 013269 | 3,0 | 016527 | 2,0 | 018511 | 3,5 | 021493 | 1,5 | 025039 | 2,0 | 028697 | 3,0 | 030754 | 1,5 | 033089 | 7,0 | 035846 | 2,0 | 039665 | 1500,0 | 042186 | 2,0 |
| 000469 | 1,0 | 003002 | 1,5 | 004956 | 2,5 | 007980 | 10,0 | 011717 | 3,0 | 013298 | 2,0 | 016534 | 4,0 | 018518 | 1,5 | 022040 | 1,5 | 025046 | 1,0 | 028703 | 15,0 | 030758 | 1,5 | 033092 | 1,5 | 035856 | 5,0 | 039679 | 3,0 | 042206 | 1,0 |
| 000471 | 1,0 | 003011 | 1,5 | 004957 | 3,5 | 007984 | 15,0 | 011734 | 1,0 | 013311 | 1,0 | 016537 | 1,0 | 018522 | 4,0 | 022061 | 2,5 | 025052 | 1,5 | 028708 | 1,0 | 030777 | 1,0 | 033094 | 1,0 | 035870 | 1,5 | 039691 | 2,0 | 042229 | 5,0 |
| 000514 | 2,0 | 003043 | 1,0 | 004958 | 1,0 | 008308 | 1,0 | 011761 | 1,0 | 013312 | 3,0 | 016556 | 2,0 | 018526 | 1,0 | 022062 | 1,0 | 025130 | 1,0 | 028712 | 1,5 | 030778 | 2,0 | 033111 | 2,0 | 035883 | 1,0 | 039693 | 2,0 | 042234 | 1,0 |
| 000516 | 5,5 | 003047 | 1,5 | 004961 | 2,0 | 008341 | 2,0 | 011771 | 3,5 | 013317 | 1,5 | 016564 | 1,5 | 018542 | 2,0 | 022103 | 3,0 | 025145 | 1,5 | 028719 | 1,0 | 030780 | 1,0 | 033117 | 1,5 | 035890 | 3,5 | 039712 | 1,5 | 042236 | 1,5 |
| 000521 | 1,0 | 003073 | 1,0 | 004962 | 1,0 | 008355 | 1,0 | 011793 | 2,0 | 013322 | 1,5 | 016565 | 3,5 | 018565 | 2,0 | 022108 | 3,5 | 025148 | 3,5 | 028731 | 2,0 | 030789 | 1,5 | 033132 | 1,0 | 035899 | 2,0 | 039721 | 2,5 | 042241 | 1,0 |
| 000542 | 2,0 | 003076 | 1,5 | 004976 | 2,0 | 008368 | 2,0 | 011811 | 1,5 | 013352 | 1,5 | 016582 | 5,5 | 018599 | 2,0 | 022141 | 5,5 | 025149 | 1,5 | 028744 | 1,0 | 031232 | 3,5 | 033145 | 4,0 | 035906 | 6,5 | 039736 | 2,0 | 042243 | 1,5 |
| 000543 | 4,0 | 003093 | 1,0 | 004978 | 1,5 | 008369 | 2,5 | 011812 | 3,0 | 013361 | 1,0 | 016583 | 1,5 | 019503 | 1,0 | 022164 | 1,5 | 025150 | 7,5 | 028762 | 1,5 | 031305 | 7,0 | 033154 | 1,0 | 035911 | 1,0 | 039756 | 4,0 | 042250 | 7,0 |
| 000547 | 1,5 | 003094 | 5,0 | 005002 | 2,0 | 008381 | 1,0 | 011831 | 4,5 | 013391 | 1,0 | 016606 | 3,0 | 019504 | 2,0 | 022169 | 1,5 | 025163 | 1,5 | 028771 | 1,5 | 031307 | 1,0 | 033404 | 1,5 | 035915 | 1,5 | 039765 | 4,0 | 042251 | 1,5 |
| 000549 | 2,0 | 003106 | 12,5 | 005006 | 4,5 | 008387 | 1,5 | 011834 | 2,0 | 013401 | 2,0 | 016631 | 2,0 | 019529 | 1,0 | 022191 | 1,5 | 025183 | 6,5 | 028782 | 1,0 | 031312 | 2,0 | 033425 | 1,5 | 035924 | 1,5 | 039779 | 1,5 | 042274 | 1,5 |
| 000559 | 1,0 | 003113 | 1,0 | 005016 | 4,0 | 008402 | 1,5 | 011835 | 1,5 | 013403 | 2,0 | 016633 | 5,0 | 019544 | 1,0 | 022202 | 1,5 | 025187 | 1,0 | 028793 | 1,0 | 031324 | 1,0 | 033426 | 2,0 | 035940 | 2,0 | 039794 | 5,0 | 042322 | 1,5 |
| 000564 | 1,5 | 003117 | 1,0 | 005018 | 4,0 | 008403 | 1,5 | 011841 | 2,0 | 013405 | 1,5 | 016649 | 1,5 | 019551 | 1,0 | 022207 | 1,0 | 025231 | 1,5 | 028803 | 2,0 | 031328 | 2,0 | 033447 | 2,0 | 035942 | 2,0 | 039806 | 2,5 | 042344 | 1,0 |
| 000579 | 1,0 | 003125 | 2,0 | 005033 | 2,0 | 008409 | 3,5 | 011843 | 1,0 | 013409 | 1,5 | 016665 | 1,0 | 019573 | 3,5 | 022277 | 1,5 | 025281 | 1,5 | 028830 | 1,5 | 031345 | 1,0 | 033456 | 1,5 | 035949 | 4,0 | 039855 | 10,0 | 042346 | 5,0 |
| 000585 | 4,5 | 003131 | 1,0 | 005044 | 1,5 | 008410 | 3,0 | 011845 | 7,0 | 013431 | 2,5 | 016682 | 1,0 | 019581 | 1,5 | 022286 | 1,5 | 025292 | 2,0 | 028842 | 1,0 | 031348 | 1,0 | 033460 | 1,5 | 035973 | 1,0 | 039862 | 2,0 | 042367 | 1,0 |
| 000599 | 1,5 | 003159 | 2,5 | 005073 | 1,5 | 008416 | 1,0 | 011864 | 2,0 | 013497 | 1,0 | 016686 | 5,5 | 019591 | 7,5 | 022292 | 1,0 | 025308 | 3,5 | 028862 | 1,0 | 031350 | 6,5 | 033461 | 1,5 | 035974 | 1,0 | 039885 | 1,5 | 042371 | 2,0 |
| 000600 | 1,0 | 003163 | 3,5 | 005089 | 1,0 | 008417 | 4,0 | 011876 | 1,5 | 013504 | 6,5 | 016698 | 2,0 | 019608 | 1,5 | 022302 | 3,5 | 025321 | 2,0 | 028884 | 1,0 | 031386 | 3,5 | 033470 | 1,0 | 035979 | 5,5 | 039886 | 1,0 | 042427 | 1,0 |
| 000602 | 1,0 | 003172 | 1,5 | 005108 | 1,0 | 008419 | 1,0 | 011878 | 4,5 | 013508 | 1,0 | 016706 | 2,0 | 019615 | 1,5 | 022319 | 1,0 | 025329 | 2,5 | 028894 | 1,0 | 031403 | 2,5 | 033471 | 1,5 | 035982 | 1,5 | 039891 | 15,0 | 042432 | 1,5 |
